PDF Eraser Free

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი*

**სსიპ კოლეჯის „იბერია“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების**

**ავტორიზაციის სტატუსის მოპოვების თაობაზე ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე: ზაირა ბერიძე

**წევრები:**

მაია ომიაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი;

მაია ხურცილავა - დარგის ექსპერტი "ბუღალტრული აღრიცხვა";

მაგული მებონია - დარგის ექსპერტი - "ელექტროობა";

მანანა კობალაძე - დარგის ექსპერტი - "სამკერვალო წარმოება";

ნინო ბოკუჩავა - დარგის ექსპერტი - "თმის მომსახურება";



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ**

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „იბერია“

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

სახე:

- [ ] უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება
- [ ] ზოგად საგანმანათლებლო დაწესებულება
- [x] პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის დირექტორის ბრძანებით №395897 (15.04.2022წ) შეიქმნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა სსიპ - კოლეჯის „იბერია“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31 - ე მუხლით განსაზღვრულ ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება.

დაწესებულებას აქვს სასწავლო კორპუსი რამდენიმე მისამართზე. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შესაბამისი სტანდარტების შეფასება განახორციელა ქ. ბაღდათის მისამართზე არსებულ კორპუსზე. ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტების მიერ ინსტიტუციური სტანდარტების შემოწმება განხორციელდა 2022 წლის 2 და 3 მაისს, ხოლო პროგრამული სტანდარტის შემოწმება ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტებისა და დარგის ექსპერტების მიერ განხორციელდა 2022 წლის 4 მაისს. დაწესებულების ინფრასტუქტურისა და მატერიალური რესურსების დათვალიერება განხორციელდა, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტთა მიერ, ასევე დარგის ექსპერტების მიერ.

ცენტრის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისობის მიზნით ექსპერტთა ჯგუფის წევრებს შორის ჩატარდა წინასწარი შეხვედრა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების (ZOOM) გამოყენებით, სადაც განხილული იქნა დაწესებულების მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტაცია, შეჯერებული იქნა საყურადღებო საკითხები და შემუშავებული იქნა ვიზიტის განრიგი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტი ჩატარდა განრიგის შესაბამისად, რომლის ფარგლებში ექსპერტები დაწესებულებაში გაესაუბრნენ დაწესებულების ხელმძღვანელს, ხარისხის უზრუნველყოფაზე, სასწავლო პროცესის ორგანიზებაზე, მატერიალური რესურსების მართვაზე, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვაზე, შესყიდვებზე, საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელ პირებს, IT სპეციალისტებს, ბიბლიოთეკარსა და პროგრამის ხელმძღვანელებს *(ბუღალტრული აღრიცხვა“; „ელექტროობა“; „სამკერვალო წარმოება“; „თმის მომსახურება.“)* და სხვას. ექსპერტების

PDF Eraser Free

მიერ განხორციელდა ავტორიზაციის სტანდარტებთან და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში დოკუმენტაციის შესწავლა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზისა და ბიბლიოთეკის დათვალიერება და სხვა.

ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან დაზუსტდა ინფორმაცია მოკლევადიანი მომზადება / გადამზადების პროგრამების შესახებ. კოლეჯი ახორციელებს სხვადასხვა მიმართულებით ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად მოკლევადიან მომზადება / გადამზადების პროფესიულ პროგრამებს. ქ. ბაღდათის მისამართზე ვიზიტის პერიოდისათვის მხოლოდ ორი მოკლევადიანო მომზადების პროგრამის განხორციელების უფლება ჰქონდა დაწესებულებას, თუმცა გასაუბრებისას ფილიალის ადმინისტრატორმა აღნიშნა, რომ იწყებდნენ ახალ მოკლევადიან მომზადების პროგრამას მეღვინეობის მიმართულებით, რომლის განხორციელების უფლება უკვე ჰქონდათ მოპოვებული. დაწესებულეიების მიერ შემუშავებულია და 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, სადაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამების, მათ შორის, პროფესიული მომზადება / პროფესიული გადამზადების პროგრამის განვითარება, რაც ხორციელდება შემდეგ რეგულაციებსა და ინსტრუმენტებზე დაყრდნობით: პროგრამების დაგეგმვა, ახალი პროგრამების დამატება, კვლევების ჩატარება, მტკიცებულებათა ვერიფიკაცია და სხვა.

აღსანიშნავია რომ დასკვნის პროექტში ექსპერტების მიერ დაწესებულება მე-4 და მე-5-ე სტანდარტებთან მიმართებაში შეფასდა შეუსაბამოდ სტანდარტის მოთხოვნებთან, თუმცა დაწესებულებამ დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (ბრძ.№94-14.07.2022), რომლის შესწავლის შედეგად მე-4-ე და მე-5-ე სტანდარტის კომპონენტები ექსპერტებმა შეაფასეს მეტწილად.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

III. ავტორიზაციის პირველ, მე-3, მე-4 და მე-5 სტანდარტებთან შესაბამისობის ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 1) კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1) პსდ-ს მისია | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 1.2) პსდ-ს სტრატეგიული განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 3) პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდამჭერი ღონისძიებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1) პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 3.2) პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4) ადამიანური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 4.1) პერსონალის და პროცესების მართვა | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 4.2) პერსონალის განვითარება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5) მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 5.1) მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.2) საინფორმაციო რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 5.3) ფინანსური რესურსები | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა**

არ დაფიქსირებულა

**V. არსებობის შემთხვევაში, წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა**

დაწესებულებაში, ახალი სტანდარტების შესაბამისად ავტორიზაცია არ განხორციელებულა, გამომდინარე აქედან, ინსტიტუციური წარმოების დროს წინა რეკომენდაციების შესწავლა ამ მხრივ არ მომხდარა, ხოლო პროგრამულ ნაწილში, გასულიო რეკომენაციები დაწესებულების მხრიდან შესაბამისობაშია მოყვანილი.

**VI. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

-----------

**VII. რეკომენდაციების შეჯამება**

**შესაბამისობის რეკომენდაციები**

**ინდიკატორი 4.1.1.1**

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას არ ქონდა გაწერილი რეალურად ყველა თანამშრომლის ფუნქცია, ასევე თანამდებობრივ ინსტრუქციაში არ ქონდა გაწერილი და ერთმანეთისგან გამიჯნული არსებული თანამშრომლების ფუნქციები და სამუშაო აღწერილობები, დაწესებულების სტრუქტურა არ შეესაბამებოდა კოლეჯის ქ.ბაღდათის მისამართზე დასაქმებულ თანამშრომელთა რეალურ მონაცემებს/გარემოს.

დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022), რომლის თანახმად დაწესებულება შეიმუშავებს სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირების/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ

PDF Eraser Free

დოკუმენტს, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტთან. აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.1.1)*

**ინდიკატორი 4.1.1.2 - ინდიკატორი ფასდება შეუსაბამოდ**

გამომდინარე იქედან რომ დაწესებულებას არ ქონდა განსაზღვრული ყველა სტრუქტურული ერთეულის/პირის ფუნქცია, შესაბამისად, პასუხისმგებლობების განაწილება ხელს არ უწყობდა დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმადაც დაწესებულება შეიმუშავებს სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირების/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.1.2)*

**ინდიკატორი 4.1.1.3**

ვიზიტის დროს, ექსპერტთა მიერ ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას მიუხედავად იმისა, რომ შრომით ურთიერთობაში ჰყავდა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირები (ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტი), გაწერილი არ ქონდა ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტის ფუნქციები, რაც არ იძლეოდა ინტერესთა კონფლიქტის არსებობის გადამოწმების შესაძლებლობას. ასევე ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები საჭიროებდა გადახედვას ბაღდათის ლოკაციისთვის, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმადაც დაწესებულება შეიმუშავებს სტრუქტურას და რეალურად არსებული ყველა პირების/სტრუქტურების ფუნქციების, სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს,

PDF Eraser Free

აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.1.3)*

**ინდიკატორი 4.1.2.1**

ვიზიტის დროს, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან პერსონალის მართვის პროცესები არ ხორციელდებოდა მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად. კერძოდ, პერსონალის მართვის პროცესი (პერსონალის მოზიდვა) ვერ განხორციელდება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის და დადგენილი წესის შესაბამისად, რადგან ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, პერსონალის ეფექტური მართვისთვის ითვალისწინებს თითოეული პერსონალის მიმართ დადგენილი სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების ქონას, აღნიშნული აღწერილობები და მოთხოვნები დაწესებულებას შემუშავებული არ ქონდა. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმადაც დაწესებულება შეიმუშავებს სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.2.1)*

**ინდიკატორი 4.1.2.2**

ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულების მიერ შემუშავებული პერსონალის შერჩევის პროცედურული ნაწილი სრულად ასახავს კადრების მოზიდვის პროცესს, დაწესებულებას არა ქონდა გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები. გამომდინარე აქედან, პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

დასაქმებას, ვერ უზრუნველყოფდა ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმადაც დაწესებულება შეიმუშავებს სამუშაო აღწერილობების და საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.2.2)*

**ინდიკატორი 4.1.2.3**

ვიზიტის დროს ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულებას არ ქონდა გაწერილი საკვალიფიკაციო მოთხოვნები, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმადაც დაწესებულება შეიმუშავებს საკვალიფიკაციო მოთხოვნების აღმწერ დოკუმენტს, აღნიშნული აქტივობის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.2.3)*

**ინდიკატორი 4.2.1.1**

ვიზიტისი დროს, ინდიკატორი ფასდება შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება ვერ უზრუნველყოფდა პერსონალის საქმიანობის შეფასებას, თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022) რომლის თანახმად დაწესებულება შეიტანს ცვლილებას სამოქმედო გეგმაში და ერთ-ერთ პუნქტად დაამატებს თანამშრომელთა შეფასების განხორციელებას, რაც უზრუნველყოფს თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებას კოლეჯის მიერ დამტკიცებული „თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის" შესაბამისად აღნიშნული აქტივობის სრულყოფას მიმდინარე წლის დეკემბერში გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და

PDF Eraser Free

ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.2.1.1)*

**ინდიკატორი 5.1.1.5**

ვიზიტის დროს ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულას არ ჰყავდა კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ქ.ბაღდაათის ფილიალში, შემდეგ მისამართზე - ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქუჩა, N112, თუმცა არგუმენტირებულ წერილთან ერთად დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№94; 14.07.2022), რომლის თანახმად კოლეჯის მიერ გაფორმდება ხელშეკრულება კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიციერბულ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთან კოლეჯის სამივე ლოკაციაზე. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად. *(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.1.5)*

**ინდიკატორი 5.1.2.3**

დაწესებულებას აქვს საგანგებო სიტუაციის მართვის გეგმა, რომელიც არ იყო შეთანხმებული კომპეტენტურ ორგანოსთან. აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს შესაბამისობის გეგმა, სადაც აღნიშნული აქტივობის სრულყოფისათვის სავარაუდო დროდ გაწერილი აქვს მიმდინარე წლის სექტემბერი. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად *(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.2.3)*

**ინდიკატორი 5.2.1.3**

ვიზიტის დროს, ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ, რადგან დაწესებულება პროფესიულ სტუდენტებთან მიმართებით არ უზრუნველყოფდა პერსონალურ მონაცემთა დაცვას. თუმცა დაწესებულებამ წარმოადგინა გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა (№9;14.07.2022), რომლის თანახმადაც დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებისა და დამატებების შეტანას პროფესიულ სტუდენტთა ხელშეკრულების ფორმაში კოლეჯის ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის" შესაბამისად. აღნიშნული დოკუმენტის სრულყოფას დაწესებულება მიმდინარე წლის დეკემბერში

PDF Eraser Free

გეგმავს. ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა წარმოდგენილი დოკუმენტის და დასტურდება რომ დაწესებულების მიერ გაწერილი პერიოდი საკმარისია შესაბამისი დკუმენტის შესაქმნელად და ინდიკატორის სტანდარტთან შესაბამისობაში მოსაყვანად. ექსპერტების მხრიდან აღნიშნული ინდიკატორი ფასდება მეტწილად.

**განმავითარებელი რეკომენდაცია**

***ინდიკატორი 1.1.1.3*** - სასურველია ხედვა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ჩანდეს რისკენ ისწრაფის დაწესებულება და განისაზღვროს ხედვაში გაწერილი მისწრაფებების მიღწევის სავარაუდო პერიოდი. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 1.1.1.3)*

***ინდიკატორი 1.1.1.4*** - სასურველია, სამომავლოდ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას /ცვლილებისას შეხვედრის ოქმებში სამუშაო ჯგუფის წევრებს (დაინტერესებულ მხარეებს) სახელისა და გვარის გარდა მიეთითოს პოზიცია/სტატუსი, მათი იდენტიფიცირებისა და ჩართულობის დასადასტურებლად. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 1.1.1.4)*

**ინდიკატორი 1.2.2.1** - სასურველია დაწესებულებამ სამოქმედო გეგმის მონიტორინგი განხორციელდეს საანგარიშო წლის დასრულებამდე, გონივრულ ვადაში, რათა მიმდინარე პროცესებში ჩართულობა იყოს შეძლებისდაგვარად და საჭიროებისამებრ დროული. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 1.2.2.1)*

**ინდიკატორი 1.2.2.2** - ექსპერტების მხრიდან შესწავლილი იქნა გასული წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში და გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტი მეტად შინაარსობრივ მხარეს ფარავდეს, იყოს უფრო მეტად კომპლექსური ხასიათის, სადაც შეფასებული იქნება შესრულების ინდიკატორის ხარისხი და არა მხოლოდ ტექნიკური უზუსტობები *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 1.2.2.2)*

**ინდიკატორი 4.1.2.2** - სასურველია, გადაიხედოს ბაღდათის ფილიალის ადმინისტრატორის ფუნქცია - მოვალეობები, რადგან რომ მას აქვს სხვადასხვა ფუნქცია შეთავსებული როგორიცაა ადმინისტარტორის ფუნქცია, სასწავლო პროცესების ზედამხედველი, ბიბლიოთეკარი, იგი ასევე დატვირთულია სალექციო საათებით ორ სხვადასხვა პროგრამაზე (ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა) *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.1.2.2.)*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**ინდიკატორი 4.2.1.5** - სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების მექანიზმები *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 4.2.1.5)*

**ინდიკატორი 5.1.2.4** - სასურველია, *დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკრულებით გაწერილი სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 და მე-7 პუნქტების შესაბამისად (იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.1.2.4)*

**ინდიკატორი 5.2.1.4** - **ა)** დაწესებულებამ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის შეფასება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შესაბამისად და აღნიშნული ასახოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ხარისხის სამოქმედო გეგმებში.

**ბ)** შესაბამისობაში იქნას მოყვანილი IT სპეციალისტის მიერ შესრულებული საქმიონაბა და პასუხისმგებლობა სასწავლო ფილიალების მიხედვით. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.1.4)*

**ინდიკატორი 5.2.2.1** - დაწესებულებამ გაასწოროს საქმისწარმოების წესით გაწერილი ხელშეკრულებების აღრიცხვის მექანიზმში, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესი და შემოსულ კორესპონდენციაზე დაკავშირებული რეაგირების პროცედურაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები. *(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.2.1)*

**იდიკატორი 5.2.3.3** - სასურველია, დაწესებულებამ საზოგადოებასთან ურთიერთობის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს ინფორმაციის გაცემის წესი. *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.3.3)*

**ინდიკატორი 5.2.3.5** - ვებგვერდზე განთავსებულია ახალი საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი, თუმცა სასურველია იძებნებოდეს წინა წლის პროგრამების კატალოგ(ებ)ის არქივი*(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.3.5)*

**ინდიკატორი 5.2.3.6** - სასურველია, დაწესებულებამ უზრუნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექანიზმ(ებ)ის შემუშავება *(იხ. დეტალურად აღწერა ინდიკატორი 5.2.3.6)*

**საგანმანათლებლო პროგრამები**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**განმავითარებელი რეკომენდაციები**

**ოთხივე პროგრამისათვის**

**2.4.2.2 ინდიკატორი** - დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმის თანახმად გეგმავს ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარებას, თუმცა ექსპერტების მოსაზრებით არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია, სასურველია, დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა. **(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 2.4.2.2)**

**<u>საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“</u>**

**2.1.1.1 ინდიკატორი** - მიზანშეწონილია კოლეჯმა გაითვალისწინოს, თავად უზრუნველყოს ან გამოიყენოს არსებული შრომის ბაზრის კვლევა რეგიონალურ კონტექსტში, კონკრეტულად შეაფასოს შესაბამისი რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მაჩვენებლებით ადამიანური და მატერიალური რესურსი, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონიოლობა, რომ პროგრამა მხარდაჭერილი იყოს შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალით, მით უფრო, რომ კოლეჯი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ბარდათის ფილიალში. **(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 2.1.1.1)**

**2.1.1.3 ინდიკატორი** - მნიშვნელოვანია კოლეჯმა არსებულ რეგუალციასთან მიმართებაში შეაფასოს პროგრამისთვის რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში და დანართის სახით დაურთოს აღნიშნულ დოკუმენტს, რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან მიმართებაში. **(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 2.1.1.3)**

PDF Eraser Free

**2.2.1.2 ინდიკატორი** - პროგრამის მდგრადობის მიზნით სასურველია პროგრამას დაემატოს ერთი დარგის სპეციალისტი.(იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 2.2.1.2)

**საგანამანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“**

**2.2.1.1 ინდიკატორი** - დაწესებულებამ დროულად უზრუნველყოს c სასწავლო გარემოსთვის გამწოვის შეძენა (იხ.დეტალურად აღწერა ინდიკატორი 2.2.1.1)

**ტექნიკურ უზუსტობასთან დაკავშირებით გაცემული რეკომენდაცია**

- დაწესებულებას ეძლევა რეკომენდაცია გაასწოროს დოკუმენტებში უზუსტობები (დეტალურად იხილეთ დასკვნის აღწერილობითი ნაწილი)

VIII. სტანდარტების შეფასება

1. კოლეჯის მისია და სტრატეგიული განვითარება

1.1 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მისია

1.1.1 პსდ-ს გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცეში

PDF Eraser Free

1. პსდ-ს მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს;
2. მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები (პროფილი), მისი მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, რომლებიც განასხვავებენ მას სხვა პსდ-სგან;
3. დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები;
4. მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ***დაწესებულების მისია შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, კერძოდ:*** სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ მისია გამომდინარეობს პროფესიული განთლების შესახებ საქართველოს კანონიდან და შეესაბამება პროფესიული განათლების მიზნებს, რომლის თანახმად კოლეჯი, თავისი საქმიანობით, ხელს უწყობს ინდივიდის პიროვნულ, პროფესიულ და სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას; სსიპ კოლეჯის „იბერია“ მისიას წარმოადგენს ქართულ და საერთშორისო შრომით ბაზრებისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე სამუშაო ძალის მომზადებას, მათი ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობას. მისიით გაცხადებულია, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების ყველასთვის თანაბარ ხელმისაწვდომობას მთელი ცხოვრების განმავლობაში და კოლეჯის დაახლოებას და თავსებადობას ერთიან ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან.
2. ***მისიით განსაზღვრულია დაწესებულების საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, მახასიათებლები და როლი განათლების სისტემაში, კერძოდ:*** მისიაში ჩანს, რომ დაწესებულება ისწრაფვის უზრუნველყოს მაღალ კონკურენტიანი კადრების მომზადება ქართული და საერთაშორისო შრომით ბაზრებისთვის. აქცენტი გაკეთებულია ზოგადად ქვეყანაში, კონკრეტულად კი იმერეთის რეგიონში შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროგრამების დანერგვაზე, დასაქმების ხელშეწყობასა და პროფესიული განათლების პოპულარიზაციაზე. კოლეჯი,

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების პარალელურად, ახორციელებს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამებს, რომლებიც, დაწესებულების წარმომადგენელთა მოსაზრებით, არის უმოკლესი გზა დასაქმებისაკენ.

3. ***დაწესებულების მისიიდან გამომდინარე განსაზღვრულია დაწესებულების ხედვა და ღირებულებები, კერძოდ:*** დაწესებულებას აქვს შემუშავებული ხედვა, რომელიც ნაწილობრივ ასახავს კოლეჯში ამჟამინდელ მდგომარეობას და არა სამომავლო გეგმას, სადაც განსაზღვრული უნდა იყოს დაწესებულების როლი მომავალში, სადაც დაწესებულება რეალიზებას მოახდენს მისიით განსაზღვრული მისივე საქმიანობის. დაწესებულებას ხედვა რამდენიმე მიმართულებით აქვს გაწერილი, მაგ: კოლეჯის ხედვის შესაბამისად ჩანს, რომ კოლეჯი: „*ა)პროაქტიულად და ეფექტიანად ანვითარებს საგანმანათლებლო პროგრამებისა და შეთავაზებული სერვისების ხარისხს; ბ) იზიდავს, ანვითარებს და ინარჩუნებს მაღალკვალიფიციურ ადამიანურ რესურსს; გ) სტუდენტებს სთავაზობს მათ მოთხოვნებზე მორგებულ სერვისების, მათ შორის საერთო საცხოვრებელით მომსახურებას;“ ექსპერტთა მოსაზრებით, ამ ნაწილში სასურველია იკითხებოდეს არა პროცესი, არამედ დაწესებულების მიერ საკუთარი წარმატების შეფასება, შესაბამისად დაწესებულებას მიეცა* ***განმავითარებელი რეკომენდაცია,*** *რომ ხედვა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ ჩანდეს რისკენ ისწრაფვის დაწესებულება და განსაზღვროს ხედვაში გაწერილი მისწრაფებების მიღწევის სავარაუდო პერიოდი.* კოლეჯის ფუნქციონირების საფუძველსა და მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს სამი მთავარი ღირებულება: თავისუფლება, ეროვნულობა, ტოლერანტობა. კოლეჯის მიერ არჩეული ღირებულებები ხელს უწყობს პროფესიულ განათლებაში ისეთი მიდგომების დამკვიდრებას, როგორიცაა: ფოკუსირება მომხმარებელზე; ხარისხი და განვითარებისკენ სწრაფვა; თანაბარი შესაძლებლობები კოლეჯის ყველა სტუდენტის, მსმენელის, თანამშრომლის თუ დაინტერესებული პირისათვის; თანამშრომლობითი ურთიერთობის, კომფორტული და ესთეტიკური სასწავლო გარემოს შეთავაზება; ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირება; უწყვეტი განათლებით დაინტერესებული პირებისთვის პროფესიული განვითარებისა და წარმატებული კარიერის შექმნისთვის ხელშემწყობი საგანმანათლებლო საქმიანობის უზრუნველყოფა.

4. ***მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი, კერძოდ:*** დაწესებულების მიერ გამოგზავნილი დოკუმენტებით და ასევე ექსპერტთა მიერ ვიზიტის ფარგლებში ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან ჩატარებული

PDF Eraser Free

ინტერვიუს საფუძველზე დადასტურდა, რომ მისიის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესი იყო და შემუშავებაში ჩართული იყვნენ კოლეჯის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სტუდენტები, პარტნიორი ორგანიზაციები, რომლებთანაც დაწესებულების მიერ დაეგზავნათ შესაბამისი კითხვარი უკუკავშირის მიღების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა გაზიარების მექანიზმები. დაწესებულებამ მტკიცებულებად პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა გამოკითხვის ანალიზის შედეგები (2022 წელი) წარმოადგინა. კვლევა მოწმობს, რომ გამოკითხულთა დიდი უმრავლესობა იცნობს დაწესებულების მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. შემუშავების/ცვლილების პროცესში დაინტერსებული მხარეების ჩართულობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა დაწესებულებაში არსებული წინარე პრაქტიკა. კერძოდ, შეისწავლა ახალი მეთოდოლოგიის დამტკიცებამდე არსებული მარეგულირებელი დოკუმენტების ფუნქციონირების საკითხი. პსდ-მ მტკიცებულებად წარმოადგინა სსიპ კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის მუშაობის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019). სხდომაზე განხილულ იქნა მისიის, ხედვისა და ღირებულების შემუშავების საკითხები. თუმცა, კომისიის სხდომის ოქმში მითითებული პირების სატუსის/პოზიციის მაიდენტიფიცირებელი ინფორმაცია არ არის მითითებული. ***აღნიშნული ინდიკატორის ფარგლებში ექსპერტების მხრიდან გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *სასურველია, სამომავლოდ სტრატეგიული გეგმის შემუშავებისას /ცვლილებისას შეხვედრის ოქმებში სამუშაო ჯგუფის წევრებს (დაინტერესებულ მხარეებს) სახელისა და გვარის გარდა მიეთითოს პოზიცია/სტატუსი, მათი იდენტიფიცირებისა და ჩართულობის დასადასტურებლად*. დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. ამასთან მისია, ხედვა და ღირებულებები შეტანილია დაწესებულების კატალოგშიც. შესაბამისად, მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია დაინტერესებული მხარეების მიერ და საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული მისია, ხედვა და ღირებულებები;
- სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

- სატრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის მუშაობის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019);
- დაწესებულების კატალოგი;
- პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის კვლევის შედეგების ანალიზის დოკუმენტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**1.2 პსდ-ს სტრატეგიული განვითარება**

**1.2.1** პსდ-ში დანერგილია დაგეგმვის პრაქტიკა

1. პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას;
2. სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს;
3. დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

1. **პსდ განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს შვიდწლიანი, ციკლური სტრატეგიული განვითარებისა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმების შემუშავებისას, კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის 2022 წლის 2 თებერვალის, ბრძანება N17-ით დამტკიცებულია, სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია. ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ შესწავლილი იქნა აღნიშნული დოკუმენტი და ჩატარდა კოლეჯის ადმინისტრაციულ პერსონალთან გასაუბრება, რის შედეგადაც დადასტურდა, რომ სტრატეგიული პროცესის ეფექტიანად წარმართვისათვის, მათ მიერ შემუშავებული იქნა მეთოდოლოგია, რომლის მთავარ ორიენტირად მაქსიმალური ჩართულობა იქნა განსაზღვრული. აღნიშნული დოკუმენტი განსაზღვრავს სტარტეგიული დაგეგმვის მიზანს, სტრატეგიული დაგეგმვის პროცეს, გეგმის განვითარების სტრუქტურას, მონიტორინგს და შეფასებას. სტარტეგიული დაგეგმვის პროცესი უზრუნველყოფს დაინტერესებული პირების ჩართულობას კოლეჯის შეფასებისა და პრიორიტეტების განსაზღვრის დონეზე და ხელს უწყობს კოლეჯში ორგანიზაციული კულტურის განვითარებას. თუმცა, დაწესებულების სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია 29.04.2020 წლის N9 ბრძანებით, ძველი მეთოდოლოგიის საფუძველზე. ინდიკატორის შესაბამისობის დასტურად, დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი სახის დოკუმენტები: სტრატეგიული განვითრების მონიტორინგის ჯგუფის უფლება-მოვალეობები (05.03.2019, N 71 ბრძანება), მონიტორინგის ჯგუფის შექმნის საკითხი, სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის მიზნით კომისიის სხდომის ოქმი N1 (13.12.2019) და სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (10.03.2020, ოქმი N2) სსიპ კოლეჯის „იბერის“ 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის განხილვა-შეთანხმების შესახებ, 2019 წლის კვლევები სუდენტებთან მასწავლებელებთან და ადმინისტრაციასთან, ხოლო დირექტორის 25.02.2022 წლის N57 ბრძანებით განხორციელებულია ცვლილება. აღსანიშნავია რომ სტრატეგიულ გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ ბრძანების დანართი არის შეცდომაში შემყვანი, რადგან ბრძანების რეკვიზიტები არ იძლევა ინფორმაციას ცვლილების თაობაზე და დოკუმენტს წარმოადგენს, როგორც ახლად დამტკიცებულს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრებით დასტურდება რომ უზუსტობა ტექნიკურ ხასიათს ატარებს და არა შინაარსობრივს, შესაბამისად დოკუმენტში არის მხოლოდ ცვლილება განხორციელებული და არ მომხდარა მისი ახლად დამტკიცება, რაც

PDF Eraser Free

შინაარსობრივ დონეზე შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდანაც. 2022 წლის სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია ახალი მეთოდოლოგიის საფუძველზე (25.02.2022 N57) და მისი შემუშავების პროცესში დაწესებულებამ იხელმძღვანელა დადგენილი რეგულაციის თანახმად.

2. **სტრატეგიული დაგეგმარება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის/რეგიონის/თემის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, კერძოდ:** დაწესებულებას გათავისებული აქვს, რომ სტრატეგიული გეგმის შემუშავება თანამონაწილეობითი პროცესია და ითვალისწინებს ქვეყნის და რეგიონის პრიორიტეტებს და დაინტერესებული მხარეების მოლოდინს, რის საპასუხოდ იგი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შედგენისას იყენებს მეთოდოლოგიას, რომელშიც გაწერილია პროცესში დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა.
3. **დაგეგმვისას დაწესებულება განსაზღვრავს მისიასთან თავსებად მიზნებს, ამ მიზნების შესაბამის ამოცანებს, განხორციელების ვადებს და შესრულების ინდიკატორებს; ასევე სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელ აქტივობებს და საჭირო რესურსებს, კერძოდ:** დაწესებულების სტრატეგიული გეგმა მოიცავს შემდეგ ინფორმაციას: მისაღწევ მიზნებს, მიზნის მიღწევის გზებსა და ვადებს, პასუხისმგებელ პირებს/სტრუქტურებს, ჩართულ მხარეებს, რესურსებსა და ინდიკატორებს. სტრატეგიული გეგმის მიზნები, ამოცანები, ვადები და შესრულების ინდიკატორები თავსებადია კოლეჯის მისიასთან. სამოქმედო გეგმის შედგენისას დაწესებულება განსაზღვრავს განსახორციელებელი აქტივობების, ვადების, პასუხისმგებელი პირების/სტრუქტურების, აქტივობების შესრულების კრიტერიუმებს/ინდიკატორებს და საჭირო რესურსებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია (2022 წლის);
- სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია (2021 წლის);
- სტრატეგიული განვითარების მონიტორინგის ჯგუფის უფლება-მოვალეობები;
- სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში ცვლილების შეტანის მიზნით კომისიის შეხვედრის ოქმი N1 (13.12.2019);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის ოქმი (10.03.2020, ოქმი N2) სსიპ კოლეჯის „იბერის" 2019-2024 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ცვლილებების შეტანის განხილვა-შეთანხმების შესახებ.
- 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმები
- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები სტრატეგიული განვითარების გეგმის შესახებ (2019 წლის კვლევა).

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2.2 **პსდ-ში მოქმედებს გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. პსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
2. პსდ სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე;
3. სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულება ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შეფასებას, მათ შორის დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით, კერძოდ:** სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება დაწესებულების მიერ გაწერილი მეთოდოლოგიის შესაბამისად, მონიტორინგის პროცესის ეფექტიანად ორგანიზების მიზნით, კოლეჯის დირექტორის ბრძანებით იქმნება მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაწესებულების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

მეთოდოლოგიის შესაბამისად, უზრუნველყოფს კოლეჯის სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების მონიტორინგს. მონიტორინგის პროცესის კოორდინაციას ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, მონიტორინგი ხდება წლის გამნმავლობაში ერთხელ. აღსანიშნავია ასევე, რომ დოკუმენტის თანახმად, კოლეჯის დირექტორის ინიცირებითაც შეიძლება განხორციელდეს არაგეგმიური მონიტორინგი სტრატეგიული გეგმის, ხოლო სამოქმედო გეგმის ყველა აქტივობას, მონიტორინგის შედეგად, ენიჭება დამდგარი ფაქტის შესაბამისი სტატუსი: შესრულებულია, განხორციელების პროცესშია, არ განხორციელებულა, შეწყვეტილია. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ გასული წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშს, რომლის შემოწმების დრო მიმდინარე წლის თებერვლით თარიღდებოდა. *აღნიშნული ინდიკატორის მიმართებით ექსპერტების მხრიდან გაიცა* ***განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *რომ სასურველია სამოქმედო გეგმის შეფასება/ მონიტორინგი განხორციელდეს საანგარიშო წლის ბოლომდე, გონივრულ ვადაში, რაც ცალსახად მისცემს დაწესებულებას ცვლილების / კორექტირების საშუალებას. რადგან წლის ბოლოს და თან ერთჯერადი შეფასება, ვერ იქნება საკმარისი დაგეგმილი აქტივობების ხარისხის შესაფასებლად და საჭიროებებზე ორიენტირებული დროული რეგაირებისათვის.* შესრულებული მონიტორინგის ანგარიში წარედგინება კოლეჯის დირექტორს, ასევე იგი ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის და განთავსებულია დაწესებულების ვებგვრდზე.

2. **დაწესებულება სათანადოდ რეაგირებას განახორციელებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:** სამოქმედო გეგმის ანგარიშზე დაყრდნობით ჯგუფის მიერ მომზადდება: ა) შემდეგი წლის სამოქმედო გეგმა; ბ) მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი სისუსტეებზე რეაგირების შესახებ რეკომენდაციები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. აღნიშნული პროცედურა გაწერილია დაწესებულების შესაბამის მეთოდოლოგიაშიც. ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან მოხდა შესწავლა 2021 წლის სამოქმედო გეგმის, უკვე განხორციელებული მონიტორინგის ანგარიშის და შედგა ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებაც. შესაბამისად დასტურდება, რომ მიმდინარე წლის თებერვალში მოხდა გასული წლის, 2021 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშის შემუშავება და გაცემულია შესაბამისი რეკომენდაციები. რეკომენდაციები შეჯამდა და წარედგინა დირექტორს. თუმცა აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილ ანგარიშში გამოტანილი მიგნებები ტექნიკური ხასიათის მატარებელია, როგორიცაა მაგალითად: *„სამოქმედო გეგმაში ყოველი ამოცანისთვის*

PDF Eraser Free

*მითითებულია რამდენიმე პასუხისმგებელი პირი, რაც იწვევს გაურკვევლობას, თუ ვინ და კონკრეტულად რის განხორციელებაზეა პასუხისმგებელი, რაც გარკვეულწილად აისახება კიდეც დამდგარ შედეგებზეც."* გაწერილი რეკომენდაციებიც სწორედ მის გამოსწორებას გულისხმობს. აღნიშნულთან დაკავშირებით ექსპეტების მხრიდან გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია:** *რომ სასურველია სამუშაო ჯგუფის მიერ შესწავლილი დოკუმენტი და შემუშავებული ანგარიში, მეტად შინაარსობრივ მხარეს ფარავდეს, სადაც შეფასებული იქნება შესრულების ინდიკატორის ხარისხი.*

3. **სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები საჯაროდ ხელმისაწვდომია, კერძოდ:** დაწესებულების სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები ანგარიშის სახით განთავსებულია ვებგვერდზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სტრატეგიული გეგმების შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია
- 2020-2026 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2021 წლის სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიში;დაწესებულების ვებგვერდი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.პროფესიული სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.1 პროფესიული სტუდენტების უფლებების დაცვა**

PDF Eraser Free

**3.1.1** პროფესიული სტუდენტების უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. პსდ-ს შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს;
3. პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით;
4. პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა;
5. პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებას შიდა რეგულაციებით უზრუნველყოფილია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტუდენტის უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა, კერძოდ:** დაწესებულების დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილია მობილობის წესი, პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერება/სტატუსის აღდგენა; ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის, გაუქმების შემთხვევაში სტუდენტის შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები. ამავე დროს, პროფესიული სტუდენტებს აქვთ საგანმანათლებლო დაწესებულების/იურიდიული პირის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით ისარგებლოს მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკითა და სხვა სასწავლო რესურსებით. დაწსებულებას ასევე გაწერილი აქვს, სსსმ პირების უფლებების, ინდივიდუალური გეგმების, პროფესიულ სტუდენტთა უსაფრთხოებისა და სხვა საკითხები. გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშული წესი დაწესებულებას ახალი დამტკიცებული აქვს, სტუდენტთა კანონიერი უფლებების

PDF Eraser Free

დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა ინდიკატორის შესაბამისობა შეამოწმა დაწესებულების მიერ შემუშავებული 06.07.2020 „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ საფუძველზე. აღნიშნული წესის პრაქტიკაში გამოყენების გადამოწმების მიზნით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შერჩევითად შესწავლილი იქნა პროფესიული სტუდენტების პირადი საქმეები: სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის შემთხვევაში, სრულწლოვანი და არასრულწლოვანი პროფესიული სტუდენტების შემთხვევებში, სტუდენტის სტატუსი მინიჭების, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, აღსანიშნავია, რომ ისინი შესრულებული იყო სათანადოდ, რაც ადასტურებს, რომ დაწესებულება იცავს საკუთარი მარეგულირებელი წესების მოთხოვნებს.

2. **პროფესიული სტუდენტები იცნობენ და იყენებენ მათ უფლებებსა და კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმებს, კერძოდ:** პროფესიული სტუდენტების მიერ ხელმოწერით დადასტურებულია მათი უფლებებისა და კანონიერი დაცვის მექანიზმების გაცნობა პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებულ სასწავლო ხელშეკრულებაში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი (24.02.2022, N 54 ბრძანება, დანართი N2-ის, მე-6 მუხლის მე-3 ქვეპუნქტი), საჯაროდ ხელმისწავდომია კოლეჯის ვებგვერდზე და აღწერს პროფესიულ სტუდენტთა უფლება-მოვალეობებს, წახალისებასა და დისციპლინურ ღონისძიებებს. გამომდინარე იქედან რომ დაწესებუებას მარეგულირებელი დოკუმენტები განახლებული აქვს მიმდინარე წლის თებერვალში, ინდიკატორის შესაბამისობის დასადგენად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წინა პერიოდის მარეგულირებელი დოკუმენტები. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის მიღების სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. შეხვედრის თემა იყო: სასწავლო პროცესის თავისებურების, ქცევის, ეთიკის ნორმების, უსაფრთხოების, ზოგადად არსებული შესაძლებლობების და უფლებების, კანონიერი ინტერესების დაცვის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს სტუდენტთათვის მათი უფლებების გაცნობას და შესაბამისად, სტუდენტები იცნობენ საკუთარ უფლებებს.

3. **პროფესიული სტუდენტები ინფორმირებულნი არიან შეფასების სისტემის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, სარგებლობენ შეფასების შედეგების გასაჩივრების მექანიზმით, კერძოდ:** დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში (ბრძანება #39, 21.02.2022 წელი) გაწერილია შეფასების, განმეორებითი შეფასებისა და შეფასების გასაჩივრებასთან დაკავშირებული პროცედურები და ვადები. წესის თანახმად,

PDF Eraser Free

მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე, კოლეჯის პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აცნობს მოდულის სწავლის შედეგების შეფასების პირობებს. შეფასების გასაჩვრების უფლება წარმოეშობა შეფასების გაცნობიდან 10 სამუშაო დღის ვადაში, რისთვისაც, განცხადებით უნდა მიმართოს კოლეჯის დირექტორს, რომელიც ქმნის სააპელაციო კომისიას (განსაზღვრულია კომისიის შემადგენლობა და გადაწყვეტილების მიღების ვადები). სტუდენტს კომისიის გადაწყვეტილება ეცნობება წერილობითი ფორმით. სტუდენტებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი ინფორმირებული არიან შეფასების სისტემის შესახებ, თუმცა გასაჩვრების მექანიზმისთვის არ მიუმართავთ.

4. **პსდ-სა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, მათ შორის გათვალისწინებულია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა, კერძოდ:** ექსპერტთა შეფასებით პროფესიულ სტუდენტსა და დაწესებულებას შორის გაფორმებული ხელშეკრულება იცავს პროფესიული სტუდენტის უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს. სწავლის შესახებ ხელშეკრულებაში გათვალისწინებულია სწავლის პირობები, კოლეჯისა და პროფესიული სტუდენტის უფლებები და ვალდებულებები, სწავლის საფასური/დაფინანსების პირობები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები, სადაო საკითხების გადაწყვეტის წესი და სხვა. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და კოლეჯის შინაგანაწესის თანახმად, კოლეჯსა და პროფესიულ სტუდენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დაცულია პროფესიული სტუდენტის უფლებები და კანონიერი ინტერესები, ***უზურნველყოფილია არასრულწლოვან პირებთან ხელშეკრულების დადების სპეციფიკა,*** რაც დასტურდება სსიპ - კოლეჯში „იბერია“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩასარიცხად წარსადგენი აუცილებელი დოკუმენტების ნუსხით. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-20 მუხლის თანახმად გაწერილია პროფესიული სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად კოლეჯში წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხა, რაც მოიცავს შემდეგს: ა) პირადი (არასრულწლოვანის შემთხვევაში - მისი კანონიერი წარმომადგენლის, მხარდამჭერის) განცხადება; ბ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (არასრულწლოვნის/მხარდაჭერის მიმღების შემთვევაში მისი კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი); გ) არასრულწლოვანის შემთხვევაში დაბადების მოწმობის ასლი; დ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაშვების წინაპირობიდან გამომდინარე სრული ზოგადი/საბაზო ზოგადი განათლების

PDF Eraser Free

დამადასტურებელი დოკუმენტი, ან განათლების დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი, რომლის მიღებაც შეუძლებელი იქნებოდა საბაზო/სრული ზოგადი განათლების საფეხურის დაძლევის გარეშე; ე) 2 ფოტოსურათი 3x4-ზე; ვ) საჭიროების შემთხვევაში ნოტარიულად დამოწმებული დოკუმენტი (მინდობილობა); ზ) უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების შესახებ დოკუმენტი; თ) სხვა დოკუმენტები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე. პროფესიულ სტუდენტებთან და სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ პროფესიული სტუდენტები ყოველი ექსტრაკურიკულური აქტივობისა და სხვა ღონისძიებების წინ წერილობით ნებას გამოხატავენ მათი კანონიერი ინტერესების დაცვის ნაწილში და თანხობას აცხადებენ მათი პერსონალური ინფორმაციის დამუშავების, მათ შორის ფოტოს კოლეჯის ვებგვერდზე/საჯაროდ განთავსებაზე.

5. **პსდ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და სასწავლო მასალის ადაპტირების მეთოდოლოგია (26.02.2021, N47 ბრძანება), რაც გულისხმობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიულ სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას. სსსმ პროფესიული სტუდენტებისათვის კოლეჯი უზრუნველყოფს დაწესებულების ფიზიკური გარემოს ხელმისწავდომობას შესაბამისი ინფრასტრუქტურის მოწყობის გზით. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, ასისტენტებისა და სხვა კვალიფიციური კადრების მეშვეობით საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ/შშმპ საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერისა და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება შესაძლებელია განისაზღვროს მაშინ, როცა სსსმ/შშმ პროფესიული სტუდენტი სწავლობს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, მაგრამ ვერ აღწევს სწავლის შედეგებს; მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტისთვის, რომლის სწავლის შედეგები განსხვავებულია მიმღები დაწესებულების სწავლის შედეგებისგან; პროფესიული სტუდენტი, რომელსაც შეჩერებული ჰქონდა პროფესიული სტუდენტის სტატუსი და საჭიროებს სასწავლო პროცესში ჩართვას, პროფესიული სტუდენტის სტატუსის აღდგენის გზით; პროფესიული

PDF Eraser Free

სტუდენტი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებაში, ხოლო არასრულწლოვანი/მხარდაჭერის მიმღები პროფესიული სტუდენტის შემთხვევაში შესაძლოა ჩართულ იქნას მშობელი/კანონიერი წარმომადგენელი. დაწესებულებასთან ვიზიტის დროს, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ***კოლეჯის ბაღდათის ფილიალში არ ირიცხება არცერთი სსსმ პროფესიული სტუდენტი და*** ჯერ არ დამდგარა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესი მარეგულირებელი წესი (2022 წლის);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2020 წლის);
- აპლიკანტთა შერჩევისა და შეფასების მეთოდები და ეტაპები;
- შესარჩევი კომისიების ფორმირების, მათ მუშაობის, გადაწყვეტილების მიღების წესი;
- 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე შესარჩევი და სააპელაციო კომისიების შექმნის შესახებ დოკუმენტი;
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტებთან მოტივაციური გასაუბრების ინტერვიუს ფორმები, შემოქმედებით ტურის პრაქტიკული დავალებებისა და შეფასების კრიტერიუმები;
- პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი;
- სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სტუდენტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- სტუდენტთა პირადი საქმეები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების წესი და სასწავლო მასალის ადაპტირების მეთოდოლოგია;
- დაწესებულების ვერბგვერდი;
- ინტერვიუს შედეგი.

**შეფასება:**

PDF Eraser Free

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.2 პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებები**

**3.2.1** პსდ-ში ფუნქციონირებს პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის მომსახურება

1. პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
2. პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას;
4. პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას;
5. პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროფესიული სტუდენტი პსდ-სგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად, კერძოდ:** სსიპ - კოლეჯის „იბერია“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის (21.02.2022, N39 ბრძანება) 41-ე მუხლით გაწერილია პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების მიღწევების შეფასებისთვის დაწესებულების მიერ განსაზღვრული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების სახეებს. პროფესიული სტუდენტების სწავლის შედეგების გაუმჯობესებისა და შემდგომი განვითარებისათვის პროფესიული მოდულის განმახორციელებელი სისტემატურად უნდა მიმართავდეს განმავითარებელი შეფასების განხორციელებას. მარეგულირებელ წესში გაწერილია ასევე პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები, რომლის თანახმად პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მიიღოს პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მოდულის ფარგლებში დამატებითი კონსულტაცია აკადემიური მიღწევების

PDF Eraser Free

გასაუმჯობესებლად ყოველი შედეგის წინ საჭიროებისამებრ. პროფესიული განათლების მასწავლებელი მოდულის განხორციელების წინ კალენდარულ გეგმასთან ერთად კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერს წარუდგენს სწავლის შედეგების შეფასებისა და პროფესიული სტუდენტებისათვის კონსულტაციების ჩატარების გრაფიკს, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია საჯარო სივრცეში. კოლეჯი ასევე ითვალისწინებს ისეთი სასწავლო გარემოს შექმნას, სადაც ინდივიდუალური მიდგომების გათვალისწინებით პროფესიული სტუდენტი შეძლებს მიიღოს ხარისხიანი განათლება ინდივიდუალური მუშაობითა და შესაბამისი სასწავლო გეგმით. პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული გასაუბრებით, დადგინდა, რომ დაწესებულება მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე და გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური მიდგომები. გასაუბრებით ასევე დასტურდება რომ სტუდენტებს უსარგებლიათ მხარდაჭერის ღონისძიებებით მოდულის განმახორციელებლი მასწავლებლებისაგან საჭიროებისამებრ, რადგან ხშირ შემთხვევაში მაგ: „ელექტრიკოსის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები არიან დასაქმებული ამავდროულად და მათთვის დამატებითი კონსულტაციების ხელმისაწვდომობა არის მნიშვნელოვანი, რომლითაც სარგებლობენ კიდეც წარმატებით. აქვე აღსანიშნავია, ისიც რომ კოლეჯის 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით, გაწერილია პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის სისტემის სხვადასხვა ღონისძიებები.

2. **პსდ სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი (24.02.2022, N 53 ბრძანება, დანართი N2), რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტსა და კოლეჯს შორის არსებულ ურთიერთობას და კვალიფიციური კონსულტაციის გაწევას. გამომდინარე იქიდან, რომ პროფესიულ სტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი ახალი დამტკიცებულია, აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობის დასადგენად, ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა წინარე პრაქტიკა. დაწესებულებამ წარმოადგინა 2021 წლის პროფესიულ სტუდნთა მიღების ჯგუფებთან გაცნობით შეხვედრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლიდანაც ირკვევა, რომ შეხვედრის დროს დაწესებულების წარმომადგენელმა სტუდენტებს გააცნო ისეთი საკითხები, როგორიცაა: სასწავლო პროცესის თავისებურება, ქცევისა და ეთიკის ნორმები, უსაფრთხოება, ზოგადად არსებული შესაძლებლობები და უფლებები, კანონიერი დაცვის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო

PDF Eraser Free

გარემოსთან მათ ადაპტაციას ხელს უწყობენ პროფესიული პროგრამის განმახორციელებლები, პირველადი შეხვედრისას მიწოდებული ინფორმაციის დახმარებით რაც ასევე დასტურდება სტუდენტებთან გასაუბრების შედეგადაც. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში დისტანციურ სწავლებაზე გადასვლასთან დაკავშირებით შემუშავებულია ელექტრონული (დისტანციური) სწავლების შესაბამისი სასწავლო გეგმები. აღნიშნული მექანიზმის არსებობა მნიშვნელოვანია დისტანციური სწავლების ფორმატით განხორციელების შემთხვევაში, რათა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელი შეეწყოს პროფესიულ სტუდენტთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. პროფესიულ სტუდენტებთან ჩატარებული კვლევით, რომლის გაცნობის საშუალება ჰონდათ ექსპერტებს, დასტურდება რომ პროფესიული სტუდენტები იღებენ სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას, როგორც აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად ასევე აქვთ კოლეჯის მხრიდან შესაბამისი მხარდაჭერა სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით.

3. **პსდ პროფესიულ სტუდენტს გონივრულ ვადაში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას, კერძოდ:** დაწესებულების სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის, პროფესიულ სტუდენტთა შინაგანწესითა და პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის სამოქმედო გეგმით უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციული მხარდაჭერის მექანიზმები. სტუდენტებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ იციან ვის უნდა მიმართონ, უსარგებლიათ ადმინისტრაციული მხარდაჭერით და დახმარება მიუღიათ გონივრულ ვადაში. ექსპერტებმა რანდომული წესით შეისწავლეს პროფესიული სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის, დიპლომის გაცემისა და სხვა ადმინისტრაციულ წარმოებაზე წერილობითი მიმართვიანობები, რომლითაც დასტურდება რომ კოლეჯი გონივრულ ვადებში უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.
4. **პსდ უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და პროფესიული სტუდენტების ინიციატივების მხარდაჭერას, კერძოდ:** პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება რომ სტუდენტებს აქვთ მხარდაჭერა დაწესებულებისგან სხვადასხვა აქტივობების ორგანიზების პროცესში. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით, პროფორიენტაციისა და კარიერის დაგემვის მენეჯერის სამოქმედო და ექსტრაკურიკულური აქტივობების, გეგმებით უზრუნველყოფილია პროფესიულ სტუდენტთა ინიციატივებისა და პროექტების მხარდაჭერა. კოლეჯი ხელს უწყობს საგანამანათლებლო, შემოქმედებითი, სპორტული, საქველმოქმედო, საექსკურსიო და



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

სოციალური ინიციატივების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება კოლეჯის მიზნებსა და საქმიანობის სფეროს. ინიციატივის განხორცილებისათვის საინიციატივო ჯგუფი/პროფესიული სტუდენტი განცხადებით მიმართავს კოლეჯის დირექტორს ფილიალის ადმინისტრატორის მხარდაჭერით, რომელიც თანხმობის შემთხვევაში განსაზღვრავს ფინანსურ ან/და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერის ფორმას, სახესა და ზომას. პროფესიულ სტუდენტთა შინაგაწესის თანახმად პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია საკუთარი ინტერესების შესაბამისად თავისუფლად დააფუძნოს პროფესიული და სხვა სტუდენტური ორგანიზაციები ან/და გაერთიანდეს მათში. აქვე აღსანიშნავია რომ ფილიალში გამოყოფილია სტდუენტური სივრცე, რომელიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის და შესაძლებელია სხვადასხვა მიზნობრიობით, აქტივობების შესაბამისად, მისი გამოყენება. კოლეჯი 2022 წლის კლასგარეშე/ექსტრაკულიკური აქტივობების სამოქმედო გეგმით, აქტივობები გაწერილია კვარტლურად, კალენდარული წლის განმავლობაში და მოიცავს ისეთ აქტივობებს, როგორიცაა ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელს, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიაში ინოვაციური დანადგარების შესაძლებლოების გამოცდას, PR კამპანიებს ბრენდთან მიმართებაში, ეზოს ინფრასტრუქტორის პროექტს, ლაშქრობებს, ექსკურსიებს, მასტერკლასებს, შიდა კონკურსებს და სხვა.

5. **პროფესიულ სტუდენტთა უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს პროფესიული სტუდენტების მომსახურეობას, კერძოდ:**

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გათვალისწინებით ხორციელდება კოლეჯის საქმიანობისა და რესურსების უწყვეტი შეფასება/განვითარება ხარისხის შენარჩუნებისა და გაუმჯობესების მიზნით. კოლეჯის საქმიანობა მოიცავს ძირითად და დამხმარე პროცესებს. ძირითადი საქმიანობის ერთ-ერთი სამიზნეა სტუდენტური კორპუსის მართვა, ხოლო დამხმარე პროცესებისა - სტუდენტური სერვისები.

სტუდენტთა კორპუსის მართვის პროცესის ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შემდეგ პროცესებზე დაყრდნობით და ემსახურება სასწავლო პროცესის გამართულ ორგანიზებას:

- პროფესიულ სტუდენტთა სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის პროცედურები;
- გარე და შიდა მობილობის პროცედურები;
- კვალიფიკაციის მინიჭების და საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის პროცედურები;

PDF Eraser Free

- არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის/გაუქმების შემთხვევაში, შესაბამისი პროგრამის სტუდენტების შემდგომი განათლებით უზრუნველყოფის მექანიზმები;
- მონიტორინგის მექანიზმის განსაზღვრა.

პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებზე დაყრდნობით სასწავლო კორპუსის მართვასთან დაკავშირებული რეგულაციები, სასწავლო პროცესის გამართულად ორგანიზების მიზნით ექვემდებარება გადახედვას პროცესების სრულყოფის/გაუმჯობესების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებით გაწერილი პროცედურების თანახმად, პროფორიენტაციისა და კარიერის განვითარება ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტების გამოყენებით:

- პროფორიენტაციის ღონისძიებების განსაზღვრა;
- კურსდამთვარებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- კვლევის შედეგების ანალიზი.

პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება დირექტორს შემდგომი რეაგირებისათვის. კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები გამოყენებულია პროგრამების შემდგომი განვითარებისა და სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების მიზნით. კურსდამთავრებულთა გამოკითხვა საშუალებას აძლევს კოლეჯს დააკვირდეს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებასა და სტატუსს.

კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N37 ბრძანებით დამტკიცებულია პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის განხორციელების გზამკვლევს. კვლევის განხორციელების მიზნით შემუშავებულია გამოკითხვის ინსტრუმენტები/კითხვარები, რომელსაც კოლეჯი პერიოდულად იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესებისათვის. კვლევის შედეგების ანალიზი

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს ხარისხის შიდა სისტემის გაუმჯობესებას და ინსტიტუციის მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებთან ადეკვატურ მიღწევას. პროფესიულ სტუდენტთა კმაყოფილების კვლევის მიზანია მათგან უკუკავშირის მიღება შემდეგ საკითხებთან მიმართებაში:

- ინფასტრუქტურა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსები;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- სასწავლო პროცესი და სტუდენტური სერვისები.

რეგულაციის თანახმად კვლევის შედეგების გავრცელების არეალია დაინტერესებული პირები, რომლებიც მოიცავენ როგორც კოლეჯის წარმომადგენლებს (პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, ადმინისტრაციული პერსონალი, პროფესიული სტუდენტები), ასევე გარე დაინტერესებულ მხარეებს (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, დამსაქმებლები და სხვა). კვლევის შედეგები ასევე ემსახურება კოლეჯის მარკეტინგული აქტივობების განხორციელებას და ემსახურება კოლეჯის ინსტიტუციურ განვითარებას.

კოლეჯის მიერ შემუშავებული რეგულაციის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვა ჩატარდა 2022 წლის იანვარსა და თებერვალში, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ჯამში 57-მა პროფესიულმა სტუდენტმა, მათ შორის ქ.ბაღდათის მისამართზე არსებული ფილიალის სტუდენტებმა. გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, სტუდენტი კითხვარის შევსებას აგრძელებდა მხოლოდ მის მიერ გამოკითხვაში მონაწილეობის სურვილის დაფიქსირების შემთხვევაში. გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, google forms-ის გამოყენებით და მიზნად ისახავდა შეეფასებინა კოლეჯის საქმიანობის, მისი რესურსებისა და სასწავლო პროცესის მიმართ კმაყოფილება პროფესიული სტუდენტების მხრიდან, გამოეკვეთა გასაუმჯობესებელი/საყურადღებო საკითხები და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, დასახულიყო საქმიანობის განვითარების გზები.

კითხვარი მოიცავდა დებულებებს კოლეჯის საქმიანობისა თუ რესურსების სრულყოფილად შეფასებისთვის, გამოყენებული იყო ოთხდონიანი სკალა. პროფესიული სტუდენტები მოცემულ დებულებებს აფასებდნენ როგორც "სრულიად ვეთანხმები",„ვეთანხმები", „ნაწილობრივ ვეთანხმები", „არ ვეთანხმები" და გამოკითხვისას სრულად დაცული იყო რესპოდენტთა ანონიმურობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

წინამდებარე ინდიკატორის ფარგლებში პროფესიულმა სტუდენტებმა გამოკითხვის ფარგლებში ასევე შეაფასეს კარიერული მხარდაჭერის სერვისების ეფექტიანობა. კარიერულ მხარდაჭერასთან დაკავშირებით სტუდენტთა კმაყოფილება შეფასდა როგორც მაღალი (86%), რადგან კარიერულ მხარდაჭერასთან დაკავშირებულ დებულებებს პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა ეთახმება ან სრულიად ეთანხმება. მიუხედავად შედეგებისა დაწესებულებამ მაინც შეიმუშავა გარკვეული განმავითარებელი რეკომენდაციები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2022 წლის);
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (2020 წლის);
- დაგეგმილი საკონსულტაციო შეხვედრების გრაფიკები;
- სტუდენტებთან ჩატარებული გაცნობითი შეხვედრის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- პროფესიულსტუდენტთა/მსმენელთა შინაგანაწესი;
- სტუდენტური სერვისების კოორდინატორის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
- დაწესებულების სოციალური ქსელი.
- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციები.
- ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა 2022წ.
- ინტერვიუს შედეგი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

**3.2.2** პსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის მომსახურება

1. კარიერული მხარდაჭერის მომსახურება ხელმისაწვდომია არსებული და პოტენციური პროფესიული სტუდენტებისთვის;
2. პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან / ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით;
4. კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში ხელმისაწვდომია კარიერული მხარდაჭერის მომსახურება პროფესიული სტუდენტებისთვის, კერძოდ:** ვიზიტის დროს, ექსპერტების მხრიდან შედგა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება. პროფესიული სტუდენტები ადასტურებენ, რომ კოლეჯის ფილიალის ადმინისტრატორი, პროფეორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და პროგრამების ხელმძღვანელის ჩართულობით პირისპირ, ელექტრონული ფოსტის, კოლეჯის სოციალური ქსელისა და ვებგვერდის მეშვეობით უზრუნველყოფს კარიერული მხარდაჭერის მომსახურებას. აქვე აღსანიშნავია, რომ კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის სამოქმედო გეგმით უზრუნველყოფილია აღნიშნული სერვისის ხელმისწვოდმობა. შესაბამის პასუხიმგებელ პირთან ინტერვიურების შედეგად ექსპერტებმა დაადგინეს, რომ კოლეჯი აქტიურად ზრუნავს სხვადასხვა აქტივობების განსახორციელებლად, რისთვისაც მუდმივად აწყობს სოციალურ შეხვედრებს დამსაქმებლებთან, სოცილაურ პარტნიორებთან, დარგის სამიზნე კომპანიებთან. კოლეჯის ოფიციალური სოციალური ქსელისა და ვებგვერდის მეშვეობით, ასევე კოლეჯის სივრცეში არსებული საინფორმაციო დაფით, ხორცილედება სამუშაოს მაძიებელ პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა ინფორმირება შემოთავაზებული ვაკანსიების შესახებ. კოლეჯი ხელს უწყობს დამსაქმებელი ორგანიზაციისა და პროფესიული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

სტუდენტის/კურსდამთავრებულის შეხვედრების, დასაქმების ფორუმების ორგანიზებას და საჭიროებიდან გამომდინარე კონსულტაცის უწევს პროფესიულ სტუდენტებს კარიერული დაგეგმარების შესახებ (სამოტივაციო წერილებისა და რეზიუმეების შედგენა).

კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მე-2, მე-3 და მე-4 კვარტლის განმავლობაში უზრუნველყოფს დაინტერესებული პირებისთვის კარიერის დაგეგმვის ტრენინგების ჩატარებას სამუშაოს ძიების ტექნიკის, CV-ის და სამოტივაციო წერილის შედგენისა და ასევე, დამსაქმებლებთან გასაუბრების ტექნიკის შესახებ.

2. **პსდ მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, კერძოდ:** ექსპერტთა შეფასებით დაწესებულებაში არსებობს მექანიზმები კარიერული განვითარებისთვის. პროფორიენტაციისა და კერიერის დაგეგმვის მენეჯერი, სტუდენტური სერვისების კოორდინატორთან კოორდინირებით და ფილიალის ადმინისტრატორის მხარდაჭერით, მათ შორის პროგრამების ხელმძღვანელებთან, მუდმივად აწვდის პროფესიულ სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს განახლებულ ინფორმაციას დასაქმების შესაძლებლობებთან/ვაკანსიებთან და შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. შესაბამისი პასუხისმგებელი პირების მიერ ხორციელდება დასაქმების მსურველი სტუდენტების და კურსდამთავრებულების რეგისტრაცია და ინფორმირება კერძო და საჯარო ორგანიზაციების შესახებ, მუდმივი კომუნიკაცია სახელმწიფო და არასამთავრობო დაწესებულებებთან, იურიდიულ თუ ფიზიკურ პირებთან. გასცემენ რეკომენდაციებს დასაქმების მსურველ პროფესიულ სტუდენტებზე მათი აკადემიური მიღწევების შესაბამისად. კოლეჯი პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა კვლევის მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა გამოკითხვას წელიწადში ერთხელ, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის დასრულებიდან 1 (ერთი) წლის შემდეგ. აღნიშნული კვლევის საფუძველზე კოლეჯი უზრუნველყოფს თვალი ადევნოს კურსდამთავრებულთა პროფესიულ განვითარებას/სტატუსს და შეისწავლის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატუსს (მათ შორის პროფესიით), კურსდამთავრებულთა მიერ სამსახურის ძიების სტრატეგიებსა და კოლეჯის მიერ გაწეული სერვისით კამყოფილებას.

PDF Eraser Free

კოლეჯის პროფორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის სამოქმედო გეგმის თანახმად, მთელი კალენდარული წლის განმავლობაში უზრუნველყოფილია პროფესიული სტუდენტების/კურსდამთავრებულებისათვის ინფორმაციის მიწოდება დასაქმების შესაძლებლობების/ვაკანსიების შესახებ.

შერჩევის პრინციპით ექსპერტებმა გასაუბრება ჩაატარეს კოლეჯის პროფესიულ სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან და აღნიშნეს, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულებულთა დროულ ინფორმირებას დასაქმებასთან დაკავშირებით. ექსპერტების მხრიდან შესაძლებელი გახდა კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, რითაც დასტურდება, რომ ისინი დასაქმებულები არიან შესაბამისი პროფესიით და ინფორმაცია ვაკანსიის შესახებ სწორედ დაწესებულების წარმომადგენლებისგან (პროგრამის ხელმძღვანელი, პროფორიენტაციის მენეჯერი) მიიღეს.

3. **პსდ პერიოდულად ატარებს კვლევას პროფესიული სტუდენტების და კურსდამთავრებულების დასაქმებასთან დაკავშირებით, კერძოდ:** დაწესებულაბას შემუშავებული აქვს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია (21.02.2022, N37 ბრძანება). რომელის ერთ-ერთი პუნქტი დასაქმების მაჩვენებლის დადგენას ეხება. დაწესებულებამ წარმოადგინა კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, ასევე დამსაქმებელთა კვლევის შედეგები, მათ შორის კმაყოფილების კუთხით. პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერი აწარმოებს კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და დამსაქმებელთა ბაზებს. სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მიზნით, პერიოდულად ახრორციელებს ინფორმაციის მიწოდებას დამსაქმებლებისათვის. დაწესებულებამ წარმოადგნა 2019,2020, 2021, 2022 წლების დასაქმების მაჩვენებლი ბაზები, დასაქმების სტატისტიკა (სტატისტიკაში განსაზღვრულია პროფესიით დასაქმების მაჩვენებელიც). შესაბამისად, პსდ პერიდულად ატარებს პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულის დასაქმებასთან დაკავშირებულ კვლევებს.

4. **კარიერული მომსახურების კვლევის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე დაწესებულება აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, კერძოდ:** დაწესებულება აწარმოებს სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევას კარიერული მომსახურების კუთხით, კვლევის

PDF Eraser Free

შედეგების დოკუმენტი არ მოიცავს სარეკომენდაციო ნაწილს, რადგან სტუდენტები კმაყოფილებას გამოთქვამენ კარიერული მომსახურების კუთხით გაწეული მომსახურების თაობაზე.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პროფესიული სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვლევის მეთოდოლოგია;
- კურსდამთავრებულთა ბაზები (2019, 2020, 2021 , 2022 წწ);
- დამსაქმებელთა ბაზები;
- პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის საქმიანობის 2021 წლის ანგარიში;
- პროფორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის მენეჯერის 2022 წლის სამოქმედო გეგმა;
- კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგები;
- დაწესეულების ვებგვერდი და სოციალური ქსელი;
- დაწესებულების ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგი.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.ადამიანური რესურსები**

PDF Eraser Free

4.1 პერსონალის და პროცესების მართვა

**4.1.1** პსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. პსდ-ს სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას;
3. პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პსდ-ში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები არ არის მკაფიოდა განსაზღვრული, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2016 წლის 29 ივნისის N142 ბრძანებით დამტკიცებულია სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ თანმამდებობრივი ინსტრუქცია, რომელიც ეფუძნება „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონს, საქართველოს შრომის კოდექსს, ზოგად ადმინისტრაციულ კოდექსსა და სსიპ - საზოგადოებრივი კოლეჯის „იბერია“ წესდებას. თანმამდებობრივი ინსტრუქციის თანახმად, თანამშრომლები ექვემდებარებიან დირექტორს და ადმინისტრაციული მართვის სტრუქტურის შესაბამისად იმ პირებს, რომლებთანაც ძირითად სამსახურებრივი მოვალეობები გააჩნიათ. სტრუქტურა საჯაროდ ხელმისაწავდომია კოლეჯის ვებგვერდზე, რომლის თანახმად მმართველ რგოლს წარმოადგენს დირექტორი, რომელიც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს კოლეჯის თანამშრომელს. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტში არა არის გამიჯნული თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა და ფუნქციები, კოლეჯში მოქმედი <u>თანმამდებობრივი ინსტრუქცია არ შეესაბამება</u> კოლეჯის სტრუქტურით განსაზღვრულ პირთა სამუშაო აღწერილობებსა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გაწერილ აქტივობებზე პასუხიმგებელ პირებს. ხარისხის სპეციალისტისა და ზრდასრულთა განათლების კოორდინატორის პოზიციები არ ფიქსირდება კოლეჯის სტრუქტურასა და თანამდებობრივ ინსტრუქციაში. კოლეჯის

PDF Eraser Free

სტრუქტურაში არ იკითხება ასევე ქ, ბაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში დასაქმებული თანამშრომლები (ერთის გარდა- ფილიალის ადმინისტრატორი), ამასთან, თანმამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილი თანამდებობის დასახელებები შეუსაბამოა სტრუქტურით განსაზღვრულ პოზიციებთან, რაც თავის მხრივ წინააღმდეგობაში მოდის ადმიანური რესურსების მართვის პოლიტიკით გაწერილ პერსონალის ეფექტურ მართვასთან, პერსონალის მართვის პოლიტიკის არსთან და სცდება კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმას. დაწესებულების წარმომადგენლებმა, ვიზიტის დროს წარმოადგინეს სამუშაო აღწერილობის განახლებული ელექტრონული ვერსია და ასევე გასაუბრებითაც დადასტურდა რომ დოკუმენტი დამუშავების პროცესშია, დაწესებულება ჩართულია ერთ-ერთ დონორ ორგანზაციასთან ერთად პროექტში და სწორედ ამ პროექტის ფარგლებში იგეგმება და დაწეყებულია განახლება არსებული დოკუმენტების, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტების მხრიდან ვერ მოხერხდა შემოწმება და შესაბამისობის დადგენა,

**აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი ვიზიტის დროს, ფასდება შეუსაბამოდ**, *რადგან დაწესებულებას არ ქონდა გაწერილი თანამშრომელთა ფუნქციები, ასევე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „თანამდებობრივ ინსტრუქცია“-ში არ ქონდა გაწერილი და ერთმანეთისგან გამიჯნული ფუნქციები და სამუშაო აღწერიობები; დაწესებულების სტრუქტურა არ შეესაბამებოდა კოლეჯში დასაქმებულ პირებს/სტრუქტურებს. თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

2. **შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს ვერ უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, კერძოდ:** კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებით გაწერილ აქტივობებზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები და პასუხისმგებლობები **არ პასუხობს სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის გადანაწილებულ ფუნქციებსა და პასუხისმგებლობებს.** კოლეჯის სტრუქტურა

PDF Eraser Free

და თანამდებობრივი ინსტრუქცია არ მოიცავს ისეთი პოზიციების დასახელებას, როგორიცაა: ხარისხის სპეციალისტი, ზრდასრულთა განათლების კოორდინატორი, ამასთან, თანამდებობრივი ინსტრუქციით გაწერილი პოზიციების (ადმინისტრატორი, სპეციალური მომვლელი, ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი) არსებობა შესაბამისობაში არ მოდის სტრუქტურასთან. სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და პასუხისმგებლობები ისეა გადანაწილებული, რომ ხდება მათი გადაფარვა ან დუბლირება. შესაბამისად, თანამშრომელთა შორის გადანაწილებული ფუნქციები ვერ უზრუნველყოფს დაწესებულების ძირითადი საქმიანობის განხორცილებას. გარდა ამისა გასაუბრებით დასტურდება რომ ხარისხის მენეჯერი, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის სპეციალისტი, IT მენეჯერი და სხვა პასუხისმგებლები არიან ქ. ბაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში განხორციელებულ საქიმიანობაზე, თუმცა აღნიშნული არ იკითხება თითოეული მათგანის სამუშაო აღწერილობაში.

მიმდინარე წარმოების დროს ექსპერტებმა ინტერვიუირება მოახდინეს კოლეჯის ადმინისტრაციის თითქმის ყველა წარმომადგენელთან და მათი ფუნქცია-მოვალეობები შეისწავლეს სამოქმედო გეგმასთან და კომპეტენციასთან მიმართებით. ბაღდათის ფილიალის კოორდინატორთან გასაუბრებით დადგინდა, რომ ფილიალს ჰყავს ძირითადად ერთი თანამშრომელი, რომელიც პასუხისიმგებელია შემოსული კორესპონდენციის ორგანიზებაზე, სასწავლო პროცესის მართვასა და საბიბლიოთეკო მომსახურებით უზრუნველყოფაზე, თუმცა მისი ფუნქციონალური დატვირთვიდან ზემოაღნიშნული მოვალეოებები არ იკითხება. გარდა ამისა, ბაღდათის ფლიალის კოორდინატორთან დაკავშირებით, ექსპერტების მხრიდან ასევე გაიცა **განმავითარებელი რეკომენდაცია** *<u>რომ გადაიხედოს მისი ფუნქცია მოვალეობები, რადგან ადმინისტრაციული პროცესების პარალელურად, იგი ასევე დატვირთულია სალექციო საათებით, სხვადასხვა პროგრამებზე, (ბუღალტრული აღრიცხვა, ელექტროობა), შესაბმისად სხვა ფუნქციების პარალელურად (ზემოთ აღნიშნული ფუნქციებიდან გამომდინარე), ვერ მოხდება სხვა აქტივობებით მისი დატვირთვა.</u>*

მიმდინარე წლის იანვარში, გამოიკითხა დაწესებულების პერსონალი პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელბის ხელშეწყობასთან დაკავშირებით. მიუხედად იმისა, რომ კოლეჯის მიერ ჩატარებული კვლევის (იანვარი, 2022) თანახმად, 69% მონაწილეთა მოსაზრებით, კოლეჯში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები, ადმინისტრაციული პერსონალის შეხედულებით, მკაფიოდ არის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

განსაზღვრული და მათ შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელებას, არ შეესაბამება ვიზიტის პერიოდისათვის არსებულ მოცემულობას, **აღნიშნულიდან გამომდინარე ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ** *რადგან დაწესებულებას არ აქვს განსაზღვრული სტრუქტურული ერთეულების / პირების ფუნქციები, შესაბამისად  პასუხისმგებლობების განაწილება პსდ-ს ძირითადი საქმიანობის განხორციელბის მიზნით შეუსაბამოა. თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის  N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

**3.ექსპერტთა მიერ შესწავლილი დოკუმეტებით და ასევე ადგილზე ვიზიტის დროს წარმოებული გასაუბრებით, შეუსაბამოა და ვერ დასტურდება პსდ-ში მოქმედი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულის ფუნქციები რომ გამორიცხავს ინტერესთა კონფლიქტს, რადგან** დაწესებულებას ჰყავს ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირ(ებ)ი: ხარისხის მართვის მენეჯერი და ხარისხის სპეციალისტი. ხარისხის მართვის მენეჯერის ფუქნციები განისაზღვრება კოლეჯის თანამდებობრივი ინსტრუქციით, ხოლო იმავე დოკუმენტით ხარისხის სპეციალისტის თანამდებობრივი ინსტრუქცია გაწერილი არ აქვს კოლეჯს და შესაბამისად, ექსპერტთა მხრიდან ვერ იქნა შესწავლილი ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირების ფუნქციები ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის მიზნით. გარდა ამისა წარმოდგენილ დოკუმენტში არ იკითხება, ასევე ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხარისხის მართვის მენეჯერი უფლებამოსილია / დელეგირებულია კოლეჯის ქ. ბაღდათში არსებულ სასწავლო კორპუსშიც. აღსანიშნავია ისიც, რომ არსებული თანამდებობრივი ინსტრუქციით ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციები ფარავს დირექტორის მოადგილის, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერის ფუნქციონალურ დატვირთვას და დუბლირებულია. **აღნიშნულიდან გამომდინარე ვიზიტის დრო, ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ რადგან სასურველია გადაიხედოს ხარისხის მართვის მენეჯერის ფუნქციებს და ასევე დოკუმენტში გაჩნდეს ხარისხის უზრუნველყოფის**

PDF Eraser Free

**<u>სპეციალისტის ფუნციები, რათა უფრო ნათელი გახდეს მათ მიერ შესასრულებელი სამუშაები,</u>** *<u>თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.</u>*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თანამდებობრივი ინსტრუქცია;
- კოლეჯის წესდება;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- ხარისხის მართვის მექანიზმები;
- ხარისხის სამსახურის სამოქმედო გეგმა 2022 წელი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- შინაგანაწესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები.
- ინტერვიუს შედეგები;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.1.2** პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს ორგანიზაციის განვითარებას

1. პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად.
2. პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით;
3. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ში პერსონალის მართვის პროცესების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების, მათ შორის შინაგანაწესის, შესაბამისად ვერ შემოწმდა, კერძოდ:** ვიზიტის პერიოდში ექსპერტების მხრიდან შესწავლილი იქნა პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დოკუმენტთან, აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულების თანამშრომელბი იცნობენ პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, რაც დასტურდება შრომით ხელშეკრულებაზე ხელმოწერით. კოლეჯს 2022 წლის 24 თებერვლის N54 ბრძანებით დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც გაწერილია პერსონალის მართვის პროცესები. აღნიშნული რეგულაცია აყალიბებს კვალიფიციური კადრების შერჩევის, დასაქმებისა და შენარჩუნების არსებით საფუძვლებს და აერთიანებს ადამიანური რესურსების მართვასთან დაკავშირებულ ძირითად მიმართულებებს, პროცედურულ და მარეგულირებელ საკითხებს. ადამიანური

PDF Eraser Free

რესურსების მართვის პოლიტიკის მიზანია კოლეჯის კომპეტენტური და მოტივირებული პერსონალით უზრუნველყოფა. შექმნას ისეთი გარემო, სადაც თითოეულ თანამშრომელს მიეცემა საშუალება საკუთარი პოტენციალისა და მისწრაფებების რეალიზებისათვის კოლეჯის წინაშე დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევის პროცესში.

თუმცა აღნიშნული დოკუმენტი, ვერ ფასდება პრაქტიკულად, მხოლოდ მექანიზმის არსებობა დასტურდება, რადგან დოკუმენტი შექმნილია მიმდინარე წლის თებერვალში და ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ქონდა შესაბამისი აქტივობები ჯერ განხორციელებული, ახალი დოკუმენტის შესაბამისად. თუმცა გამომდინარე იქედან რომ ავტორიზაციის სტანდარტი 2020 წლიდან არის მოქმედი დაწესებულებას მოეთხოვება გარკვეული პროცესების უკვე არსებობა რაც ექსპერტების მხრიდან ვერ იქნა მოძიებული და მათ არ მიეცათ საშუალება ასევე უკვე არსებული პრაქტიკის შემოწმების. **ექსპერტთა შეფასებით მოცემული ინდიკატორი ვიზიტის დროს არ იყო შესაბამისი სტანდარტისა,** *რადგან დაწესებულებას მის მიერ გაწერილი დოკუმენტი „პერსონალის მართვის პროცედურები“ არ ქონდა შესაბამისობაში კოლეჯის მარეგულირებელ დოკუმენტებთან, თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

2. **წინამდებარე ინდიკატორის პსდ-ს პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, შესწავლა ვერ განხორციელდა ექსპერტთა ჯგუფის მიერ, რადგან:** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკისა (24.02.2022 , N 53 ბრძანება, დანართი N1) და კონკურსის ჩატარების წესის (24.02.2022, N 53 ბრძანება, დანართი N2) დოკუმენტებით, უზრუნველყოფილია პერსონალის მოზიდვის მექანიზმები. წინამდებარე რეგულაციის ძირითად ამოცანას წარმოადგენს კოლეჯის მიზნებიდან და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმებიდან გამომდინარე, უზრუნველყოს სამუშაოს მოთხოვნებთან შესაბამისი უნარ-ჩვევების, ცოდნისა და

PDF Eraser Free

გამოცდილების მქონე ადამიანთა მოზიდვა, გადარჩევა, დაქირავება და ორგანიზაციის სამუშაო გარემოში პირველადი ადაპტაცია-ორიენტაცია. არსებული პოლიტიკის თანახმად, კოლეჯი კვალიფიციური პერსონალის მოზიდვის მიზნით მიმართავს სხვადასხვა ფორმებს, როგორიცაა ვაკანსიების განთავსება სხვადასხვა ვებ პორტალებზე, დასაქმებული თანამშრომლების პირადი კონტაქტების გამოყენება, ადაპტირებული სამუშაო გარემოს შექმნა და მხარდაჭერა საჭიროებისამებრ და სხვა. ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის განსათავსებლად დაწესებულება გამოიყენებს შემდეგ საშუალებებს HR.GOV.GE, HR.GE და JOBS.GE.

ზემოაღნიშნული ინდიკატორის შემოწმების მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა მოახდინა ინტერვიუირება კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის მენეჯერთან და გასაუბრებით დადგინა, რომ დაწესებულებას არ აქვს შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კითხვის ნიშნის ქვეშ დგება პროცედურის ეფექტურად ფუნქიონირების საკითხი. აქვე აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას ახალი რეგულაციით პერსონალი ჯერ არ შეურჩევია, მხოლოდ გასულ წელს კოლეჯმა დაასაქმა ორი ადამიანი, ერთი დროებით მოვალეობის შემსრულებლად, მეორე - სტუდენტური სერვისების კოორდინატორი შტატგარე თანამშრომლად, რა დროსაც სტანდარტული პროცედურებისათვის არ მიუმართავს. კოლეჯში ადმინისტრაციულ პოზიციაზე არ გამოცხადებულა სხვა ვაკანსია და არ ყოფილა დაცული საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობა, დოკუმენტის არ არსებობსი გამო. აღსანიშნავია, რომ პერსონალის პირადი საქმების შესწავლით დგინდება, რომ თანამშრომლებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება, აკმაყოფილებს შრომის კოდექსის ყველა არსებით პუნქტს. თუმცა გამომდინარე იქედან, რომ დაწესებულებას საკვალიფიკაციო მოთხოვენები და სამუშაო აღწერილობები გაწერილი არ აქვს, ვერ მოხდა შესწავლა, რამდენად უზრუნველყოფს კოლეჯი შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოზიდვას და დასაქმებას, ობიექტურობის და გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით, გამომდინარე აქედან **ექსპერტთა მხრიდან, წინამდებარე ინდიკატორი ვიზიტის დროს შეფასადა შეუსაბამოდ.** *თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**3.პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას, აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება, კერძოდ:** გაწერილი არ აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები, **შესაბამისად აღნიშნული ინდიკატორი ექსპერტთა მხრიდან ვიზიტის დროს, შეფასდა შეუსაბამოდ.** *თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

**4. პსდ-ს პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს, კერძოდ:** დაწესებულებამ წარმოადგინა შემდეგი სახის მტკიცებულებები: ა) სსიპ კოლეჯის „იბერია“ სრული ავტორიზაციის პროცესის მომზადების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (16.12.2021, N277); ბ) ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცებისა და კომპეტენციების გადანაწილების შესახებ ბრძანება (03.02.2022, ბრძანება N18); გ) სხვადასხვა სამუშაო ჯგუფების შექმნის შესახებ ინფორმაცია (მაგ, ვერიფკაციის ჯგუფი); ზემოაღნიშნულის გარდა, სატრატეგიული და სამოქმედო გეგმბის პასუხისმგებლი და ჩართული პირების შესახებ ინფორმაცია მომწმობს, რომ პერსონალის მართვა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება გუნდურ და თანამონაწილოებით პრინციპებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- თანამდებობრივი ინსტრუქცია (29.06.2016 წ, ბრძ. N142);
- კოლეჯის წესდება;
- დაწესებულების სტრუქტურა;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები;
- შრომითი ხელშეკრულებები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- შინაგანაწესი;
- კონკურსის ჩატარების წესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- სსიპ კოლეჯის „იბერია“ სრული ავტორიზაციის პროცესის მომზადების მიზნით საკოორდინაციო ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება (16.12.2021, N277);
- ავტორიზაციის სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ანგარიშის მომზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცებისა და კომპეტენციების გადანაწილების შესახებ ბრძანება (03.02.2022, ბრძანება N18)
- ინტერვიუს შედეგები;
- კოლეჯის ვებგვერდით: www.iberia.edu.ge

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2 პერსონალის განვითარება**

**4.2.1** პსდ-ს მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. პსდ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით;

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით;
4. პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. პსდ-ში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ ვერ უზრუნველყოფს პერსონალის საქმიანობის შეფასებას და პროფესიული განვითარების საჭიროებათა კვლევას, კერძოდ:** კოლეჯის პერსონალის შეფასება ხორციელდება კოლეჯის მიერ შემუშავებული „თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის (24.02.2022, N53 ბრძანება, დანართი N3)“ შესაბამისად, ხოლო პროფესიული განათლების მასწავლებლის/პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განმახორციელებელი პირებისა - შესაბამისი კითხვარებით.დოკუმენტით განსაზღვრულია შეფასების პრინციპები, შეფასების პერიოდულობა (წელიწადში ორჯერ, 6 თვიანი შუალედით), შეფასების ფორმა და მეთოდოლოგია, შეფასების სტრუქტურა, შეფასების გასაჩივრების მექანიზმი. დაწესებულებას შემუშავებული აქვს შეფასების ფორმა და შეფასების კრიტერიუმები. **აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ვერ განხორციელდა ექსპერტთა მხრიდან,** ვინაიდან კოლეჯის 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით თანამშრომლების მომზადება-გადამზადების სისტემის განვითარების პერიოდი გაწერილია მე-2, მე-3 და მე-4 კვარტალში, ხოლო რეგულაციის 2022 წლამდე არ არსებობის გამო არ განხორციელებულა წინა წლების პრაქტიკული გამოცდილებისა და პროცესების შეფასება.
2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება პსდ-ს მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 24 თებერვლის N54 ბრძანებით დამტკიცებული თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქციის მიხედვით, შეფასების მიზანია დასაქმებული პერსონალის კარიერული განვითარების, პროფესიული უნარ-ჩვევების ამაღლების, განვითარების საჭიროებისა და წინაპირობების დადგენა, ასევე ორგანიზაციის საქმიანობის ეფექტიანობის გაზრდა. მიღწევების

PDF Eraser Free

აღრიცხვა, შეჯერება და დაფასება, მომავალი სამუშაო გეგმებისა და მიზნების ორმხრივად ჩამოყალიბება და შეთანხმება, საჭიროეაბათა იდენტიფიკაცია. სსიპ - კოლეჯში „იბერია“ შეფასების პროცესის ადმინისტირება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, 6 თვიანი ინტერვალით, კოლეჯის მიერ დადგენილი პერიოდულობის შესაბამისად. დოკუმენტის თანახმად, შეფასების შეჯამება განისაზღვრება წელიწადში ერთხელ და თითოეულ პირთან მიმართებაში გადაწყვეტილების მიღება ხდება შეფასების ინდივიდუალური შედეგებიდან გამომდინარე. შეფასების პროცესში მონაწილე სუბიექტები არიან შესაფასებელი პირი, მისი უშუალო ხელმძღვანელი და ადიამიანური რესურსების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ამასთან ახორციელებს შეფასების პროცესის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას. შეფასება არის ფორმალიზებული, სტრუქტურირებული სისტემა, რომელიც ზომავს შეფასების საგანს, განსაზღვრავს შეფასების პროცესში ჩართულ პირებს და პერიოდულობას. თანამშრომელთა საქმიანობის შეფასებისთვის გამოიყენება შეფასების კითხვარი, რომელიც მოიცავს საქმიანობის სპეციფიკის შესაბამის მნიშვნელოვან კრიტერიუმებს და იზომება პროცენტული მაჩვენებლით. დაწესებულებამ წარმოადგინა მის მიერ ჩატარებული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, რომელიც ჩატარდა 2022 წლის იანვარსა და თებერვალში, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 15-მა რესპოდენტმა. გამოკითხვაში მონაწილეობა იყო ნებაყოფლობითი, გამოკითხვა ჩატარდა ელექტრონულად, google forms-ის გამოყენებით. გამოკითხვა მიზნად ისახავდა შეეფასებინა კოლეჯის საქმიანობის, მისი რესურსებისა და სასწავლო პროცესის მიმართ ადმინისტრაციული პერსონალის დამოკიდებულება, გამოეკვეთა გასაუმჯობესებელი/საყურადღებო საკითხები და გამოკითხვის შედეგების ანალიზზე დაყრდნობით, მომზადებულიყო საქმიანობის განვითარებაზე მიმართული წინადებები. აღნიშნულ ინდიკატორთან დაკავშირებით დაწესებულების მიერ ჩატარებული კვლევით ირკვევა, რომ 53% ადასტურებს, რომ პერსონალის განვითარება ხორციელდება დაწესებულების მიერ გამოვლენილი საჭიროებების შესაბამისად შემუშავებული გეგმის მიხედვით, თუმცა შედარებით დაბალია შეფასება პროფესიული განვითარების საჭიროებების კველვასა და პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობასთან მიმართებაში. ექსპერტთა მხრიდან, ასევე შესწავლილი იქნა დაწესებულების მიერ შემუშავებული 2022 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით თანამშრომლების მომზადება-გადამზადების საკითხი, რის თანახმადაც, სამუშაო გეგმის შემუშავება გათვლილია მე-3 და მე-4 კვარტალში.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

3. **პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას კანონმდებლობით დადგენილი წესით, კერძოდ:** კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-20 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარების მექანიზმებს. რომელიც ითვალისწინებს შემდეგს:

- პროფესიული განვითარების ტრენინგები;
- სხვადასხვა პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ დაგეგმილ ტრენინგებში მონაწილეობა;
- ფინანსური რესურსების გამოყოფა სხვადასხვა ტრენინგებსა და კონფერენციებზე მონაწილეობისათის;
- პროფესიული მასწავლებლის კარიერული განვითარების ხელშეწყობა კნონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთან, დაწესებულებამ წარმოადგინა იფორმაცია სხვადასხვა დროს განხორციელბული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საქმიანობის შესახებ. კოლეჯის სტრატეგიული განვითარების გეგმის თანახმად ადამიანური რესურსების(მათ შორის პროფესიული განატლების მასწავლებლის) განვითარების სისტემა გაწერილია შვიდივე წელზე და ფინანსური რესურსი უზრუნველყოფილია დაახლოებით 16000 ლარით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის გამოკითხვის შედეგების ანალიზით კვლევაში მონაწილეთა 13% ადასტურებს, რომ კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ხელშეწყობას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებამ წარმოადგინა გარკვეული მტკიცებულებები, მაგალითად: 2018 წელს 23 მასწავლებელმა გაიარა მასწავლებლის სახლის მიერ ორგანიზებული ტრენინგი შემდეგ რამდენიმე თემაზე , სადაც პროფესიული პედაგოგებისათვის ტპდს-ის მხრიდან ორგანიზებული ტრენინგების ფარგლებში მონაწილეებს მიენიჭათ შესაბამისი კრედიტები. დაწესებულებამ ასევე უზრუნველყო კვლიფიკაციის ასამაღლებელი სტაჟირების პროგრამების განხორციელება პარტნიორი ორგანიზაციების ხელშეწყობით. სხვადასხვა წლებში კოლეჯის მასწავლებლემა სტაჟრება გაიარეს ესტონეთის ქალაქ რაკვერეს პროფესიულ სკოლაში, პოლონეთის ქალაქ პოზნანის პროფესიულ ტექნიკურ სკოლებში. გასაუბრებით დასტურდება რომ კოლეჯი გამოთქვამს მზაობას შეფასების შედეგებზე რეაგირებასა და დინამიკაში დაკვირვებაზე.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**4.პსდ უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან, კერძოდ:** კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით უზრუნველყოფილია ახალი თანამშრომლის ინტეგრაციის/ადაპტაციის მექანიზმები. ადაპტაციის მიზანია ხელი შეუწყოს ახლად დანიშნული თანამშრომლის სამუშაო პროცესებში სწრაფ და ეფექტიან ჩართვას, დაწესებულების მიზნების, სტრატეგიული/სამოქმედო გეგმების და მოქმედი პოლიტიკის, პროცედურებისა და რეგულაციების შესახებ ცნობიერების გაზრდას. კოლეჯის საქმისმწარმოებელი და ადამიანური რესურსების მენეჯერი უზრუნველყოფენ ახალი თანამშრომლის ადაპტაციას, წარდგინებას კოლეჯის დირექტორისა და სხვა თანამშრომლების წინაშე. წინამდებარე პოლიტიკის დოკუმენტით კოლეჯის მმართველი რგოლი და არსებული პერსონალი ვალდებულია ხელი შეუწყოს ახალ თანამშრომელს შესაბამისი სამუშაო გარემოს შექმნაში. ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგად დგინდება, რომ კვლევაში მონაწილეთა 73% ადასტურებს ახალი თანამშრომლის სამუშაო გარემოში ადაპტაციის დადებითობას.

ადაპტაციის პროგრამა მოიცავს:

ა) ახალი თანამშრომლის წარდგენას კოლეჯის პერსონალისათვის;

ბ) თანამდებობრივი ინსტრუქციისა და შინაგანაწესის გაცნობას;

გ) პოზიციიდან გამომდინარე მნიშვნელოვანი დოკუმენტების გადაცემას;

დ) შრომის უსაფრთხოების პოლიტიკის გაცნობას შრომის დაცვისა და ტექნიკური უსაფრთხოების მენეჯერის მიერ.

**5.პსდ-ში არსებულის მექანიზმის თანახმად, წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები, კერძოდ:** ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი ითვალისწინებს თანამშრომელთა ინიციატივების გამოვლენისა და განხორციელების საკითხს, რაც ასევე დასტურდება კოლეჯის თანამშრომლებთან გასაუბრებითაც. დაწესებულების შრომის შინაგანაწესის დოკუმენტით განსაზღვრულია თანამშრომელთა წახალისების ფორმები:

- მადლობის გამოცხადება წერილობით ფორმით;
- საჯარო აღიარების ფორმით საუკეთესო თანამშრომლად დასახელება;

PDF Eraser Free

- სამახსოვრო საჩუქარი;
- ფულადი ჯილდო/პრემია;
- დისციპლინური პასუხისმგებლობის ვადაზე ადრე მოხსნა;
- დამატებითი საშვებულებო დღეებით სარგებლობის უფლების მინიჭება;
- პროფესიული განვითარების დაფინანსება.

თუმცა, არ არის პროცედურულად გაწერილი ინიციატივების წარდგენის მექანიზმი: ინიციატივის არსებობის შემთხვევაში ვის და რა ფორმით მიმართავს ინიციატორი, რა ვადებში ხორციელდება ინიციატივის განხილვა, გადაწყვეტილების მიღება და ინიციატორის ინფორმირება. *ექსპერტთა მხრიდან **გაიცა განმავითარებელი რეკომენდაცია,** რომ სასურველია, დაწესებულებამ დეტალურად გაწეროს პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წარდგენისა და განხორციელების პროცედურა.*

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სტრატეგიული გეგმა;
- ინფორმაცია განხორციელებული ტრენინგებისა და კვალიფიკაციის ასამაღლებელი საქმიანობის შესახებ;
- თანამშრომელთა საქმიანობის შეფასების ინსტრუქცია;
- ინტერვიუს შედეგებით;

**შეფასება:**

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ არ შეესაბამება

5. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

5.1 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

5.1.1 პსდ-ს მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის;
3. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში დაცულია და სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები;
4. შენობა-ნაგებობა უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით;
5. დაწესებულებაში მოქმედებს კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები;
6. დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები;
7. ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას;
8. პსდ-ს შენობა-ნაგებობაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები, რომლებიც მუდმივად მარაგდება წყლით, აქვს უწყვეტი განათება და ვენტილაცია, სათანადოდ მოწესრიგებულია, უზრუნველყოფს პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობას და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის;
9. ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა;
10. სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას;

PDF Eraser Free

11. მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების საქმიანობა უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურითა და მატერიალური რესურსით მინიმუმ ავტორიზაციის ვადით. კერძოდ:** სსიპ კოლეჯს „იბერია“ საკუთრებში აქვს სამი სასწავლო კორპუსი: ქ.ქუთაისში, ორი სასწავლო კორპუსი და ერთი სასწავლო კორპუსი - ქ. ბაღდათში. ბაღდათის მუნიციპალიტეტში არსებული სასწავლო კორპუსის ფლობა დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერებით (მიწის საკადასტრო კოდი: ბაღდათის მუნიციპალიტეტი,ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის 112 - მიწის საკადასტრო კოდი: N 30.11.32.092 ფართობი 35000.00კვ.მ). დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ფუნქციონირებისთვის განკუთვნილი სივრცეების შესახებ შევსებული სპეციალური ფორმა, რომლის შესწავლის საფუძველზე და ვიზიტის ფარგლებში ადგილზე ვიზუალური დათვალიერებით დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტში მოცემული ინფორმაციის სისწორე. ასევე წარმოდგენილია აზომვითი ნახაზი და მატერიალური რესურსის, მათ შორის, მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. სასწავლო კორპუსში სივრცეებს მინიჭებული აქვთ შემდეგი ფუნქციური მნიშვნელობა:

- ფოიე;
- A გარემოები თეორიული სწავლებისთვის;
- კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი B გარემოები;
- პროფესიული პროგრამების განხორციელებისთვის მინიმალური აღჭურვილობით დაკომპლექტებული C გარემოები;
- სივრცე ადმინისტრაციისთვის;
- სამუშაო სივრცე პროგრამის განმახორციელებელი პირებისათვის;
- ბიბლიოთეკა;

PDF Eraser Free

- სამედიცინო კაბინეტი;
- სამუშაო და შემოქმედებითი სივრცე პროფესიული სტუდენტებისათვის, შესაბამისი ინვენტარით მოწყობილი;
- სივრცე არქივისთვის;
- სველი წერტილები, მათ შორის შშმ პირებისათვის.

დაწესებულება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია მატერიალური რესურსით, რაც დასტურდება მატერიალური, სასწავლო რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით (ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება ქონების/რესურსების ბალანსზე არსებობა, შესყიდვის აქტები და სხვა.).სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია სწავლის პროცესისთვის საჭირო ყველა რესურსით, როგორიცაა პროფესიული სტუდენტისა და მასწავლებლის სამუშაო მაგიდები და სკამები, დაფა, ქსელში ჩართული კომპიუტერი, პროექტორი, სათავსოები. ასევე, თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად, სასწავლო აუდიტორიები აღჭურვილია პროგრამით გათვალისწინებული მატერიალური რესურსით. დაწესებულებაში მოწყობილია კომპიუტერული კლასები, რომლებიც უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერებით და საჭირო პროგრამული უზრუნველყოფით. პროფესიულ სტუდენტებს/პროფესიული განათლების მასწავლებლებს შეუძლიათ შეუფერხებლად ისარგებლონ აღნიშნული სივრცით. ბიბლიოთეკა აღჭურვილია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილი ყველა სასწავლო რესურსით, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური სახით. დაწესებულების ადმინისტრაციის ოთახი უზრუნველყოფილია კომპიუტერებით, სამუშაო ინვენტარით, სათავსოებით, ქსეროქსისა და პრინტერის აპარატებით.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი დაწესებულების მიერ დადგენილი წესით ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის. კერძოდ:** კოლეჯს შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს (ბრძანება 27; 18.02.22) მატერიალური რესურსების განკარგვის წესი, რომლის თანახმად პროფესიული სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ დაწესებულების ინფრასტრუქტურით, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეებით: მაგ: შემოქმედებითი

PDF Eraser Free

საქმიანობისათვის გამოყოფილი ფართით და მატერიალური რესურსით. ინტერვიუს დროს პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ იცნობენ მარეგულირებელ წესს და მათ არ ჰქონიათ რაიმე შეფერხება რესუსების გამოყენების კუთხით.

3. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული სასწავლო კორპუსში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. კერძოდ:** კოლეჯს ბაღდათის მისამართზე ჰყავს დამლაგებლები, რომლებიც რეგულარულად ახორციელებენ საგანმანათლებლო სივრცის დასუფთავებას. დაწესებულების დირექტორის 18.02.2022 წლის N 32 ბრძანებით დამტკიცებულია სამუშაო ადგილების/სივრცეების და სანიტარული წერტილების დასუფთავების წესი, რომლის თანახმადაც, დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ყველა სივრცეში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვა ევალება დამლაგებელს. ვიზიტის დროს როგორც საგანმანათლებლო სივრცეში, ისე სანიტარულ კვანძებში დაცული იყო სისუფთავე, განლაგებული იყო ხელსაბანი სითხე, საშრობი ქაღალდი და სხვა საჭირო რესურსები. დაწესებულებამ წარმოადგინა სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით შესაბამისი მატერიალური რესურსების და მასალების შეძენის დოკუმენტაცია. ინტერვიუს დროს სტუდენტებმა და თანამშრომლებმა დაადასტურეს, რომ კოლეჯში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები.

4. **შენობა-ნაგებობა სასწავლო კორპუსში უზრუნველყოფილია ცენტრალური გათბობის სისტემით, კერძოდ**: ბაღდათის მისამართზე დაწესებულება უზრუნველყოფილია ცენტრალულრი გათბობის სისტემმით რაც დასტურდება ადგილზე ვიზუალური დათვალიერებითა და კომუნალური გადახდების ქვითრების გადამოწმებით; **დაწესებულებაში არის შემუშავებული კანონმდებლობით დადგენილი შრომის უსაფრთოხების უზრუნველყოფის მექანიზმები/შრომის უსაფრთხოების დებულება, თუმცა შესაბამისი კომპეტენტური პირი / სერტიფიცირებული სპეციალისტი ბაღდათის მისამართზე დაწესებულებას არ ჰყავდა შრომით ურთიერთიბაში.** შრომის უსაფრთოხოების უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას შემუშავებული აქვს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები (02-07-2019 წლის N238 ბრძანანება): სსიპ კოლეჯი „იბერიას“ პოლიტიკა შრომის უსაფრთხოების სფეროში, შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის. დოკუმენტებში გაწერილია შრომის უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით საჭირო მექანიზმები და პროცედურები, კოლეჯისა და დასაქმებულთა ვალდებულებები უსაფრთხოების უზრუნველყოფის კუთხით. განსაზღვრულია შორმის უსაფრთხოებაზე

PDF Eraser Free

პასუხისმგებელი პირის ვალდებულებები. პსდ-მ წარმოადგინა ჟურნალი შორმის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თაობაზე სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის (დოკუმენტით დგინდება, რომ დაწესებულებამ რეგულაციით განსაზღვრული ინსტრუქტაჟები ჩატარა როგორ სტუდენტებისა და პროგრამის განმახორციელებლებისათვის, ასევე დაწესებულების ადმისნისტრაციული პერსონალისთვისაც. ინსტრუქტაჟი ჩატარებულია 2019 და 2022 წლებში). საქართველოს ორგანული კანონი შრომის უსაფრთხოების შესახებ დაწესებულებას ავალდებულებს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის/ ინსპექტორის ყოლას. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელთან გასაუბრებით და ასევე არსებული ხელშეკრულებით, დაწესებულებას ყავს თანამშრომელი ქ. ქუთაისის მისამართზე, თუმცა იმავე ხელშეკრულებაში არევალება სხვა მისამართებზე არსებული სასწავლო კორპუსების კურირებაც და სამუშაო ადგილად მითითებულია მხოლოდ ქ. ქუთაისის მისამართი. **ექსპერტთა მხრიდან ინდიკატორი, ვიზიტის დროს, შეფასდა შეუსაბამოდ,** *რადგან დაწესებულებას არ ყავდა კანონმდებლობის შესაბამისად სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

5. **დაწესებულებაში მოქმედებს სასწავლო პროცესის საჭირო მასალებითა და ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის მექანიზმები, კერძოდ:** დირექტორის მიერ დამტკიცებულია ბრძანება N27 (18 თებერვალი, 2022 წელი), რომელიც მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის წესებს. აღნიშნული დოკუმენტის დანართი N1 არეგულირებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო პროცესის მასალა/ ნედლეულით შეუფერხებელი უზრუნველყოფის, მისი შენახვის, გამოყენების და სასწავლო პროცესის ფარგლებში შექმნილი პროდუქტის შენახვის და განკარგვის რეგულაციებს და ასევე, ტექნოლოგიური პროცესის ფარგლებში წარმოშობილი ნარჩენების მართვის წესს. დოკუმენტში გაწერილია თითოეული აქტივობის შესაბამისი პროცედურები და შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. გასაუბრებით დასტურდება, რომ მოდულის განმახორციელებელ პირს მოდულის დაწყებამდე გადაეცემა საჭირო მასალა, ნედლეული, ხოლო

PDF Eraser Free

დასრულების შემდგომ მოდულის განმახორციელებელი პირისა და შესაბამისი პასუხისმგებელი პირის/ების მიერ ხორციელდება გახარჯული მასალებისა და ნედლეულის შესახებ ანგარიშგება.

6. **ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმი ითვალისწინებს დაწესებულების რესურსების რეგულარულ შეფასებასა და განვითარებას, კერძოდ:** დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ახორციელებს მუდმივ მონიტორინგს ავტორიზაციის პირობების შესრულებაზე. დებულებაში გაწერილია მატერიალური რესურსების შეფასების პროცედურა და შემუშავებულია მატერიალური რესურსების შეფასების ფორმა, რომელიც ითვალისწინებს დაინტერესებულ მხარეთა კვლევის კომპონენტს რესურსების არსებობასთან, საკმარისობასთან და ეფექტიანობასთან დაკავშირებით. ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წარმოდგენილი იქნა პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიული განათლების მასწავლებელთა და ადმინისტრაციული პერსონალის გამოკითხვის შედეგები, რომელიც მოიცავდა დაწესებულების რესურსების შეფასებას. დაწესებულების მიერ აღნიშნული კვლევის საფუძველზე ხარისხის უზრუნველყოფის სამოქმედო გეგმაში გაწერილი აქვთ მატერიალური რესურსების განახლების აქტივობები. აწესებულებამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა რესურსების შეფასების შევსებული ფორმა. გარდა არსებული მექანიზმის და კითხვარების შედეგების გაცნობისა, ექსპერტების მიერ მოხდა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გასაუბრება, რომელიც შედგა დაწესებულების პროფესიულ სტუდენტებთან და პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამების განმახორციელებლებთან, რომლებმაც დაადასტურეს რომ დაწესებულების მხრიდან შეუფერხებლად მიეწოდებათ საჭირო რესურსები პროგრამების განხორციელების პროცესში.

7. **დაწესებულებაში მოწყობილია გამიჯნული სანიტარული კვანძები ქალებისა და მამაკაცებისთვის, რომლებშიც უზრუნველყოფილია მუდმივი წყლით მომარაგება, უწყვეტი განათება, ვენტილაცია, პირადი ჰიგიენის დაცვის შესაძლებლობა და ხელმისაწვდომია ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, მათ შორის შშმ სტუდენტებისთვის, კერძოდ:** დაწესებულების სამივე სართულზე აქვს სველი წერტილები, მათ შორის გამიჯნული გოგოებისთვის და ბიჭებისთვის, თითოეულ სველ წერტილში განთავსებულია ჰიგიენის საშუალებები, ხელის ელექტროსაშრობები, ქაღალდის პირსახოცის დისპანსერი, ასევე ნარჩენებისთვის უკონტაქტო კალათა. დაწესებულებაში ქ. ბაღდათში შშმ

PDF Eraser Free

პირებისთვის მოწყობილია პანდუსები და ადაპტირებული ლიფტი, რომელთა გამოყენებითაც მათ წვდომა ექნებათ დაწესებულების ნებისმიერ აუდიტორიასთან, ადმინისტრაციის კაბინეტთან, ბიბლიოთეკასთან თუ სხვა დანიშნულების ფართებთან.

8. **ყველა სასწავლო ფართს და ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზს აქვს როგორც ბუნებრივი (გარდა სპეციფიური მიზნებისთვის გამოყენებული აუდიტორიებისა), ისე ხელოვნური განათების შესაძლებლობა, კერძოდ:** ქ. ბაღდათში, კოლეჯის ყველა სასწავლო გარემოში, ფოიეში, ბიბლიოთეკაში, ადმინისტრაციის სამუშაო სივრცეებში არის როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათება. დაწესებულებამ წარმოადგინა მოხმარებული ელექტროენერგიის გადახდის დოკუმენტაცია.
9. **სათავსოებისა და სივრცეების განლაგება ხელს უწყობს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესის წარმართვას, კერძოდ:** - კოლეჯში ქ. ბაღდათში სასწავლო, სამუშაო სივრცეები ისეა გადანაწილებული, რომ ხელი არ შეეშალოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების წარმართვას
10. **მომხმარებლისთვის ხელმისაწვდომია პსდ-ს ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული სტუდენტებისთვის და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებლებისათვის დაწესებულებაში ხელმისაწვდომია შესაბამისი მატერიალური რესურსები, კერძოდ: ქ. ბაღდათში დაწესებულების ბიბლიოთეკის როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსი, რომელიც დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად, აღნიშნული რესურსის გამოყენება რეგულირდება დაწესებულებაში არსებული ბიბლიოთეკის დებულებით, ბიბლიოთეკის სარგებლობის წესით. ბიბლიოთეკებში სამკითხველო დარბაზები მოწესრიგებულია, განთავსებულია განათების საშუალებები, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსის, პრინტერის და სკანერის აპარატები. დაწესებულებაში დასაქმებული ბიბლიოთეკის თანამშრომლი, პასუხისმგებლი არის ბიბლიოთეკაში არსებული როგორც მატერიალურ, ისე ელექტრონული საგანმანათლებლო რესურსის ხელმისაწვდომობაზე. საბიბლიოთეკო წესის შესაბამისად ხორციელდება წიგნების აღრიცხვა, ტექნიკურად მოწესრიგება, ჟურნალში გატარება და კატალოგში დამატება. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. დაწესებულება სისტემატიურად ახორციელებს სტუდენტთა გამოკითხვას საბიბლიოთეკო რესურსებთან დაკავშირებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

პროფესიულმა სტუდენტებმა და მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს დადებითად შეაფასეს ბიბლიოთეკის მომსახურება. დაწესებულების ვერგვერდზე არის ჩაშნებული ორი გრაფა, საიდანცა შესაძლებელია როგორც არსებული ელ.სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა ერთიან პლატფორმაში, რომელიც GOOGLE DRIVE საშუალებით აქვს დაწსებულებას შემუშავებული და ასევე ელ.ბიბლიოთეკის ლინკი, ორივე შემთხვევაში პროფესიული სტუდენტები მინიჭებული კოდების გამოყენებით სარგებლობენ ელ. რესურსებით **Error! Hyperlink reference not valid.**

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- აზომვით ნახაზები;
- საინვენტარო აღწერილობა 01.01.2022 მდგომარეობით;
- სამუშაო ადგილების/სივრცის და სანიტარული წერტილების დასუფთავების წესი;
- შრომითი ხელშეკრულებები (მედდა, დამლაგებელი);
- სამუშაო ადგილების/სივრცეების და სანიტარული წერტილების დასუფთავების აღრიცხვის ჟურნალი;
- პერიოდული დეზინფექციის ჩატარების შემოწმების ჟურნალი;
- სსიპ კოლეჯი „იბერიას“ პოლიტიკა შრომის უსაფრთოების სფეროში;
- შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის პირადი საქმე;
- შრომის უსაფრთხოების ზოგადი მოთხოვნები დასაქმებულთათვის;
- ჟურნალი შორმის უსაფრთხოების ინსტრუქტაჟის თაობაზე (სტუდენტებისა და მასწავლებლებისათვის);.
- სასწავლო პროცესში შექმნილი პროდუქტის შენახვის, განკარგვის და სახარჯი მასალების მომარაგების/აღრიცხვა/გაცემის და უტილიზაციის წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- მასალა-ნედლეული მოთხვნისა და მიება-ჩაბარების დამდასტურებელი აქტები;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხსი სამოქმედო გეგმა 2022;
- პროფესიულ სტუდენტთა და თანამშომელთა კითხვარები;
- ბიბლიოთკი დებულება და ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- დათვალიერების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.1.2 პსდ-ში დაცულია პერსონალისა და პროფესიული სტუდენტების უსაფრთხოება**

1. დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები;
2. დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;

PDF Eraser Free

3. დაწესებულებაში მოქმედებს საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი;
4. დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ ყველა ფართში დაცულია უსაფრთხოების ზომები, კერძოდ:** დაწესებულებამ, წარმოადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ - ს მიერ გაცემული უსაფრთხოების (მდგრადობის) დასკვნა N004578420) ქ. ბაღდათში არსებული სასწავლო კორპუსის შესაბამისობის შესახებ, რომლის მიხედვითაც შენობის მდგრადობა დასტურდება. ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულების წარმომადგენლებთან ინტერვიუს დროს დადგინდა, რომ დაწესებულება ახორციელებს გარკვეულ აქტივობებს უსაფრთხების მიმართულებით. კერძოდ, გამოკრული აქვს საევაკუაციო გეგმა, პერიმეტრზე განლაგებულია ცეცხლმაქრები და ხარძარსაწინააღმდეგო ინვენტარი, საავარიო სახანძრო ონკანები, დანიშნული ჰყავთ პირი, რომელიც პასუხისმგებელია უსაფრთხოების დაცვაზე დაცვის სამსახურთან თანამშრომლობით. სახანძრო უსაფრთხოების ფარგლებში დაწესებულებას ჩატარებული აქვს დასაქმებულებისათვის და პროფესიული სტუდენტებისათვის პრაქტიკული სწავლება/ინსტრუქტაჟი. ვიზიტის დროს წარმოდგენილ იქნა აღნიშნული აქტივობების დამადასტურებელი მტკიცებულებები. ასევე, ქ.ბაღდათში დაწესებულებას აქვს დასკვნა შენობა ნაგეგობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შენობა ნაგებობის უსაფრთოების შესახებ, სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის მიერ დადასტურებული N155 აქტით, (საიდენტიფიკაციო ნომერი: 212682051).

2. **დაწესებულებაში მოქმედებს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები, კერძოდ:** დაწესებულებას დირექტორის N25 ბრძანებით, 18.02.2022, დამტკიცებული აქვს „პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები“, სადაც გაწერლია შესაბამისი აქტივობები, ასევე პასუხისმგებელი პირები. დოკუმენტში გაწერილია მედდის ვალდებულებები შესასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფის მექანიზმები. დოკუმენტს აქვს დანართი 1-ს სახით „პირველადი დახმარების გაწევის მეთოდები“. დაწესებულებას ქ.ბაღდათის მისამართზე

PDF Eraser Free

არსებულ სასწავლო კორპუსში, ყავს პირველად გადაუდებელ დახმარებაზე პასუხისმგებელ პირი, მათთან აქვთ ხელშეკრულება გაფორმებული კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია 112-ის ტელეფონის ნომერი, რომელზეც უნდა მოხდეს დაკავშირება პირველადი გადაუდებელი დახმარების საჭიროების შემთხვევაში. კოლეჯის სამედიცინო პერსონალი აწარმოებს ჟურნალში მომართვიანობის აღრიცხვას, რაც დადასტურდა როგორც გასაუბრებებით, ისე ადგილებზე სამედიცინო კაბინეტების ვიზუალური დათვალიერებით. კაბინეტი აღჭურვილია პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენისათვის ყველა საჭირო და აუცილებელი ინვენტარით თუ რესურსით. სტუდენტები და კოლეჯში დასაქმებული პირები ინფორმირებულნი არიან პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმების შესახებ.

3. **დაწესებულებას შემუშავებული და შესათანხმებლად წარდგენილი აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, კერძოდ:** მიმდინარე წლის 2022 წლის 23 თებერვალს, დაწესებულებას, კორესპოდენცია N0186901 შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სასმსახურის უფროსთან, აქვს მიწერილობა გაკეთებული საგანგებო სიტუციების მართვის გეგმის დამტკიცების მიზნით. კოლეჯმა აღნიშნულთან დაკავშირებით **წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა,** სადაც აღნიშნული აქტივობის შესასრულებლად მაქსიმალური დრო მიმდინარე წლის 21 სექტემბერი აქვს აღნიშნული, ექსპერტების მიერ მოხდა დოკუმენტის შესწავლა და დასტურდება რომ შესაძლებელია მოცემული პერიოდისათვის (6 თვე) აღნიშნული აქტივობის შესრულება. **ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტი და აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა მეტწილად.**

4. **დაწესებულება საგანმანათლებლო მიზნებისათვის გამოყენებულ მის საკუთრებაში/მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას.** დაწესებულებაში შემუშავებულია და დამტკიცებულია დაწესებულების შინაგანაწესი, რომლის გაცნობის ვალდებულება აქვს როგორც დაწესებულების დასაქმებულ ყველა პირს, ასევე ყველა პროფესიულ სტუდენტს. დაწესებულების საკუთრებაში, ქ. ბაღდათის მისამართზე, არსებულ მთელ პერიმეტრზე წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით დაწესებულებას ყავს დარაჯი, რომელიც აკონტროლებელ შენობისა და ადამიანების უსაფრთხოებას 24 საათის განმავლობაში. დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-4 მუხლში - სამუშაო ადგილი და დრო - ყველა დარაჯის შემთხვევაში მითითებულია 09:00 – 18:00, თუმცა დარაჯები რეალურად ცვლიანობის პრინციპით მუშაობენ. აღნიშნულთან მიმართებით, ექსპერტთა მხრიდან გაიცა ***განმნავითარებელი რეკომენდაცია:*** *დაწესებულებამ დარაჯების შრომითი ხელშკერულებით გაწერილი*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

*სამუშაო დრო განსაზღვროს შემუშავებული ცვლიანობის განრიგის შესაბამისად და დასვენების ხანგრძლივობა გაწეროს საქართველოს შრომის კოდექსის 24-ე მუხლის მე-4-ე და მე-7-ე პუნქტების შესაბამისად*

კოლეჯის შენობა-ნაგებობის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია ვიდეოჩანაწერის შენახვის ფუნქციით აღჭურვილი უსაფრთხოების კამერები. დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნით, შემუშავებულია ვიდეოთვალთვალის დროს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი (22.02.2022 ბრძანება N48) დოკუმენტით განსაზღვრულია ვიდეოთვალთვალის მიზნები და მოცულობა. კოლჯეს განსაზღვრული ჰყავს უფლებამოსილი პირი და მისი ფუნქციები. წესის შესაბამისად, დაწესებულების შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები 30 დღიანი ჩანაწერის შენახვის შესაძლებლობით. შენობა-ნაგებობებში თალსაჩინო ადგილასაა განთავსებული ვიდეო ჩანაწერის მიმდინარეობის მაფრთხილებელი ნიშნები.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის და ფაქტობრივი მდგომარეობის გადამოწმებით დასტურდება, რომ დაწესებულება მის მფლობელობაში არსებულ მთელ პერიმეტრზე უზრუნველყოფს წესრიგის დაცვას. კოლეჯების სტუდენტები და ადმინისტრაციული პერსონალი ინფორმირებულია წესრიგის დაცვის მექანიზმების შესახებ.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- კომპეტენტური ორგანოს მიერ გაცემული დასკვნა შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ;
  სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება შენობებში სახანძრო და დაცვის (ვიდეო სამეთალყურეო სისტემა) სიგნალიზაციის მონტაჟის შესახებ;
- სახანძრო უსაფრთოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი N 24 (24.03.2021)
- სახელმწიფო სახანძრო და სამოქალაქო უსაფრთხოების ზედამხედველობა - მიწერილობა N1010 (20.07.2020) - სახანძრო უსაფრთხოების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი;
- მიღება-ჩაბარების აქტი ხანძარსაწინააღდეგო მოწყობილობების შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების შესახებ;

PDF Eraser Free

- პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები;
- საგანგებო სტუაციების მართვის გეგმა;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- შს სამინისტროს სსდ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის უფროსის სახელზე გაგზავნილი წერილი;
- მედდის შრომით ხელშეკრულება;
- სამედიცინო ინვენტარის ფლობის დამდასტურებელი დოკუმენტაცია;
- დაცვის კომპანიასთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- დარაჯებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვიდეოთვალთვალის დროს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- მიღება -ჩაბარების აქტი ვიდეოსათვალთალოს სისტემების მონტაჟის თაობაზე;
- ინტერვიუს შედეგი;
- დათვალიერების შედეგი.

შეფასება:

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

### 5.2 საინფორმაციო რესურსები

#### 5.2.1 პსდ-ს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

PDF Eraser Free

1. პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს;
2. პსდ ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას;
4. პსდ აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას;
5. პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია პსდ-ს IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება;
6. პსდ უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პსდ-ში შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, კერძოდ:** კოლეჯში, ქ. ბაღდათის მისამართზე, შექმნილი IT ინფორმაციის ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა შეესაბამება დაწესებულების პროცესებს, რადგან აღჭურვილია ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესისათვის საკმარისი სათანადო პარამეტრების მქონე კომპიუტერებით. დაწესებულებაში არსებული კომპიუტერების პროგრამული უზრუნველყოფა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესის შეუფერხებელ წარმართვას. კოლეჯში ხელმისაწვდომია როგორც უკაბელო, ასევე კაბელიანი ინტერნეტი, რაც დასტურდება ინტერნეტ პროვაიდერთან გაფორმებული ხელშეკრულებით და ვიზიტის დროს ადგილზე გადამოწმებით. ასევე, წარმოდგენილია გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტიც.

**2.დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას. კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები (დამტკიცებულია 24.02.2021 წლის N 23 ბრძანებით) და სსიპ კოლეჯი „იბერია“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტურად მართვის წესი (05.11.2020 წ, N

PDF Eraser Free

250 ბრძანება). სისტემის მართვაზე პასუხისმგებელია ქსელის ადმინისტრატორი. კოლეჯის IT სპეციალისტებთან გასაუბრებით და არსებული დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება რომ: დაწესებულება ახორციელებს საინფორმაციო ტექნოლოგიების IT რისკების მართვას, ამისათვის დაწესებულებაში შექმნილია კომპიუტერული ქსელი, ხდება მისი მართვა და სისტემატიური განახლება, მისი უსაფრთხოების დაცვა, ახალი მომხმარებლების ჩართვისათვის საჭირო სამონტაჟო და პროგრამული სამუშაოების ჩატარება; ხორციელდება კოლეჯის ოფიციალური ვებ–გვერდის მუდმივი განახლება, მასალების მომზადებაში მონაწილეობის მიღება და ვებ–გვერდზე განთავსება; კოლეჯის კომპიუტერული ტექნიკისათვის პროგრამული უზრუნველყოფის ინსტალაცია, სისტემური და პროგრამული დარღვევების აღმოფხვრა, ვირუსებისგან გაწმენდა, კომპიუტერული ტექნიკის მოდერნიზაცია და რემონტი; კომპიუტერული ლაბორატორიების გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა; პრეზენტაციებისათვის, სხვადასხვა ღონისძიებებისათვის შესაბამისი აპარატურის მომზადება და გამართული ფუნქციონირება; ელექტრონული მასალების მომზადებაში ადმინისტრაციის ხელმძღვანელობისათვის და ადმინისტრაციის სხვა საშტატო ერთეულებისთვის დახმარების გაწევა; კომპიუტერული და სხვა ტექნიკის საგარანტიო უზრუნველყოფის ექსპერტიზა და მისი განხორციელების მონიტორინგი; ინტერნეტის მიწოდების უზრუნველყოფა და საჭიროების შეზღუდვა.

კრიტიკულად მნიშვნელოვანი ინფორმაციის უსაფრთხოებისა და დაცვის მიზნით, ქსელის ადმინისტრატორს მიერ ხორციელდება NAS სერვისი კონფიგურაცია და ინფორმაციის მასზე განთავსება, ასევე დაწესებულების თანამშრომლებს აქვთ საშუალება მნიშნელოვანი ინფორმაციის რეზერვირება მოახდინონ Office 365- ის პლატფორმაზე. სრულფასოვანი შეუფერხებელი მუშაობისათვის ქსელი დაცულია ქსელთაშორისი ფაიერვოლით.

3.**დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს პერსონალურ მონაცემთა დაცვას, კერძოდ:** დირექტორის 2020 წლის 27 ივლისის ბრძანება N146 დამტკიცებულია „პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ წესი, რაც შესაბამისობაშია „პერსოანლურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონთან. და რომლის მიხედვით ირკვევა, რომ პრფესიული სტუდენტის/მასწავლებლის შესახებ პირადი ინფორმაციის გაცემა შეზღუდულია. პირადი ინფორმაცია შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სასწავლო, ან საავტორიზაციო მიზნებისთვის, რომელიც დასტურდება თანხმობის დოკუმენტზე ხელმოწერით. წესის მე-3 მუხლის თანახმად, დაწესებულება უფლებამოსილია დაამუშაოს პერსონალური მონაცემები იმ

PDF Eraser Free

შემთხვევაში, თუ კი მას მიღებული აქვს სუბიექტისგან წინასწარი თანხმობა. პერსონალური მონაცემთა შესახებ კოლეჯის თანამშრომელთა შრომით ხელშეკრულებებში აღნიშნული მოთხოვნა გათვალისწინეულია. სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვის შემთხვევაში, დაწესებულებამ წარმოადგინა პროესიულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრის დამდასტურებელი ოქმები, რომელზე ხელმოწერითაც სტუდენტებმა დააფიქსირეს საკუთარი თანხმობა ფოტო მასალის დამუშავება/გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნული სრულად არ მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესის მექანიზმებს. აღნიშნულთან დაკავშირებით, **ინდიკატორი შეფასდა შეუსაბამოდ**, *რადგან* სტუდენტთა პერსონალური მონაცემების დაცვის შემთხვევაში, დაწესებულებამ მართალია, წარმოადგინა პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობითი შეხვედრის დამდასტურებელი ოქმები, რომელზე ხელმოწერითაც სტუდენტებმა დააფიქსირეს საკუთარი თანხმობა ფოტო მასალის დამუშავება/გამოყენებასთან დაკავშირებით, თუმცა, აღნიშნული სრულად არ მოიცავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესის აღსრულებას, ვინაიდან პროფესიულ სტუდენტთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში, ან ცალკე შეთანხმებაში არ ჩანს სტუდენტის თანხმობა, მისი პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ.

*თუმცა, დაწესებულებამ არგუმენტირებულ წერილთან ერთად გამოაგზავნა დირექტორის N94 ბრძანებით, 14.07.2022, დამტკიცებული გაუმჯობესების სამოქმედო გეგმა,რომლის თანახმადაც აღნიშნული ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის სავარაუდოდ დრო მიმდინარე წლის 15 დეკემბერია გაწერილი, რაც შესწავლილი იქნა ექსპერტების მხრიდან და აღნიშნული პერიოდი საკმარისია დოკუმენტის შესაქმნელად, შესაბამისად ექსპერტების მხრიდან ინდიკატორი ფასდება მეტწილად.*

4.**დაწესებულება აფასებს საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობას, კერძოდ:** ინფორმაციული ტექნოლოგიების, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების საჭიროების იდენტიფიცირება ხდება კოლეჯის შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის საჭიროებიდან გამომდინარე, კოლეჯში დანერგილი სერვისებისა და სისტემების ოპტიმიზაციის ან/და განვითარების საჭიროებიდან გამომდინარე. ამისათვის დაწესებულება ახორციელებს სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვას. რის შემდეგაც ხდება იდენტიფიცირებული საჭიროების განხილვა-ანალიზი. პროცესში მონაწილეობენ სისტემის მომსახურებაში ან/და გამოყენებაში ჩართული სტრუქტურული ერთეულების წარმომადგენლები. ინფორმაციულ ელექტრონულ სისტემებში ცვლილებების

PDF Eraser Free

განხორციელება ან/და ახალი სისტემის დანერგვა სრულდება წინასწარ დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად. აქვე აღსანიშნავია, რომ კოლეჯს ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო (18.02.2022, N34 და N36 ბრძანებები) და ხარისხის სამოქმედო გეგმა 2022. აღნიშნულ დოკუმენტებში საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემის ეფექტიანობის შეფასების საკითხები არ არის გარკვევით გაწერილი. დაწესებულებას მიეცა **განმავითარებელი** ***რეკომენდაცია:*** *სასურველია, დაწესებულებამ საინფორმაციო ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტიანობის შეფასება განახორციელოს ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელოს შესაბამისად და აღნიშნული ასახოს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებსა და ხარისხის სამოქმედო გეგმებში.* აღნიშნული მიმართულებით დაწესებულებას ჰყავს სპეციალური სამსახური ქ. ქუთაისში არსებულ კოლეჯის მისამართზე, თუმცა მის ფუნქციაში არ იკითხება დაწესებულების ფილიალებში მომსახურების გაწევა, მაგრამ გასაუბრებით დასტურდება რომ ქ.ზაღდათის ფილიალი სარგებლობს IT მომსახურებით და რომ მუდმივი თანამშრომლობაა IT სპეციალისტთან სხვადასხვა მიმართულებით. აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია*** *შესაბამისობაში იქნას მოყვანილი IT სპეციალისტის მიერ შესრულებული საქმიონაბა და პასუხისმგებლობა სასწავლო ფილიალების მიხედვით.*

**5.პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის მუდმივად ხელმისაწვდომია კოლეჯის IT ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და მომსახურება, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსების განკარგვის წეს (18.02.2022, N27), რომელიც არეგულირებს მატერიალური რესურსებით სარგებლობის საკითხს როგორც პროფესიული სტუდენტების, ისე დაწესებულების პერსონალისათვის. მარეგულირებელის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით სარგებლობას. პერსონალისათვის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრქსტრუტურა ხელმისაწვდომია ადმინისტრაციული პეროსნალისა და საგანმანათლებო პროგრამების განამხრციელებელი პირებისათვის განაკუთვნილ სამუშაო სივრცეებში. სტუდენტებს შეუძლიათ ისარგებლონ ბიბლიოთეკის სამკითხველო სივრცეში განთავსებული ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურით, რაც დასტურდება, ქ.ზაღდათის მისამართზე განხორციელებული ვიზიტის დროს, როგორც დაწესებულების პერსონალთან, ასევე პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**6.კოლეჯი უზრუნველყოფს პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის ინფორმირებას ერთიანი ელექტრონული საკომუნიკაციო მექანიზმით/სისტემით. კერძოდ,** პერსონალისთვის და პროფესიული სტუდენტებისთვის შექმნილია კოლეჯის დომეინით ელ-ფოსტის ...@iberiad.edu.ge. მისამართები. ასევე, ახალი თანამშრომლების შემთხვევაში მყისიერად ხორციელდება მისთვის მონაცემების მიწოდება ელ-ფოსტების შექმნის მიზნით. ინტერვიუს საფუძველზე ირკვევა, რომ Facebook-სა და Messenger-ში შექმნილია ჯგუფები, რომლითაც ასევე ხორციელდება პროფესიულ სტუდენტთა ინფორმირება და დასტურდება, რომ კოლეჯი რეალურად იყენებს მას პროფესიულ სტუდენტებთან კომუნიკაციის ერთ-ერთ საშუალებად. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ ზოგადად კოლეჯი სარგებლობს GOOGLE-საგანმანათლებლო პლატფორმით, სადაც უკვე ინტეგრირედება პროფესიული საგანმანათლებლო რესურსები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პროცედურები;
- სსიპ კოლეჯი „იბერია“ IT რისკების მართვის პოლიტიკის, ინფორმაციული ინფრასტრუქტურისა და IT პროცესების სისტემების ეფექტურად მართვის წესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ წესი;
- პერსონალთან გაფორმებული შრომით ხელშეკრულებები;
- პროფესიულ სტუდენტებთან გაცნობით შეხვედრის დამდასტურებელი დოკუმენტები;
- მატერიალური რესურსების განკარგვის წესი;
- სტუდენტთა და პერსონალთა გამოკითხვის შედეგების ანალიზი (2022 წელი)
- ვიზუალური დათვალიერების შედეგი;
- ინტერვიუს შედეგი. პსდ-ს სერვისებისათვის გამიზნული, ერთიანი საკომუნიკაციო სისტემის არსებობისა და პროფესიული სტუდენტების და პერსონალისათვის ხელმისაწვდომობის შემოწმების შედეგი.(google drive, messenger, facebook-ის შიდა ჯგუფები)

**შეფასება:**

PDF Eraser Free

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.2 პსდ-ში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. პსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. პსდ-ს მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის;
3. პსდ უზრუნველყოფს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სრულყოფილი ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას;
4. პსდ დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1.**კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების ერთიანი წესები, კერძოდ:** კოლეჯში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი საქმისწარმოების წესი, რომელიც დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 21 თებერვლის N38 ბრძანებით. აღნიშნული წესის მიხედვით, საქმისწარმოება აკმაყოფილებს საქმის წარმოების ინდიკატორის მოთხოვნებს. საქმისწარმოების წესში დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა პროცედურა, მათ შორის: დოკუმენტბრუნვის ორგანიზება, კორესპონდენციის მიღება-რეგისტრაცია, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტებისა და ხელშეკრულებების აღრიცხვიანობა, ინდექსისა და რიგითი ნომრის მინიჭება, ბეჭდის გამოყენების წესი და დოკუმენტების არქივისთვის გადაცემის რეგულაციები. დაწესებულება სასწავლო პროცესს ახორციელბს ორ სხვადასხვა

PDF Eraser Free

ქალაქში, ამათგან ქ. ბაღდათში არის დაწესებულების მეორე სასწავლო კორპუსი. დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალი წარმოდგენილია პირველ სასწავლო კორპუსში ქ. ქუთაისში, ხოლო ქ, ბაღდათში არსებულ სასწავლო კორპუსში ასევე წარმოდგენილია დაწესებულების ადმინისტრაციული თანამშრომელი, რომელიც საჭიროებისამებრ ახდენს ადგილზე მომსახურებას პროფესიული სტუდენტებისათვის. ავტორიზაციის ექსპერტებს ჰქონდათ საშუალება დაწესებულების საქმისწარმოების სპეციალისტთან გასაუბრების, სადაც დეტალურად მოხდა პროცედურების განხილვა თუ რა თანმიმდევრობით, დროის რა დიაპაზონით და რა სიხშირით ხდება რეაგირება როგორც შიდა დოკუმენტზე, ასევე შემოსულ კორესპოდენციაზე.

რიგი დოკუმენტების შესწავლისას, სხვადასხვა მიმართულებებით ექსპერტებმა გამოავლინეს გარკვეული უზუსტობები, მაგ: ადამიანური რუსურსების მენეჯერის მერ მოხდა მატერალური დოკუმენტების გაცნობა ექსპერტებისათვის, სადაც გარკვეული შეუსაბამობა დასტურდება, კერძოდ: პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალთა ხელშეკრულებები არ მოიცავს კოლეჯის საქმისწარმოების წესით გაწერილ ინდექსაციას, რომელიც სასწავლო ხელშეკრულების ნაწილში გულისხმობს აღნიშვნას „ს“, ხოლო შრომითი ხელშეკრულების ფარგლებში - „შ“. ამასთან, კოლეჯის დირექტორის მიერ გამოცემული რიგი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტების საკონსტატაციო ნაწილები, პროფესიული სტუდენტის შეჩერების, შეწყვეტის, მობილობის შემთხვევაში აცდენილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით გაწერილ შესაბამის მუხლთან/პუნქტთან. ჩარიცხვის პროცედურები მუხლობრივად აცდენილია გაწერილ პროცედურასთან და დაინტერესებული პირისთვის არის შეცდმაში შემყვანი. მაგალითისთვის, სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-7 მუხლი არეგულირებს შერჩევის პროცედურას მხოლოდ ქართულ ენაზე, გარდა ამ წესის 24-ე მუხლით გათვალისიწნებული შემთხვევისა, რომელიც რეალურად საგამონაკლისო ვითარების ნაცვლად მოიცავს პროფესიული სტუდენტის/მსმენელის სტატუსის შეწყვეტის გარემოებებს.

ვიზიტის დროს, ექპერტთა მხრიდან შემოწმდა სარეგისტრაციო ჟურნალი, რომელიც იყო დანომრილი, უფლებამოსილი პირის მიერ ხელმოწერილი, ბეჭედდასმული და აკინძული, თუმცა იყო რიგი ტექნიკური ხარვეზები. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დაწესებულებას აქვს შემუშავებული მექანიზმი, რაც კანონმდებლობასთან შესაბამისობაშია, თუმცა შესწავლილი პროცესებით დასტურდება რომ ტექნიკური უზუსტობებია ერთთმანეთთან შემუშავებულ წესსა და განხორციეელებულ აქტივობებს/პროცესებს შორის. აქედან გამომდინარე, დაწესებულებას



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

PDF Eraser Free

ექსპერტთა მხრიდან <u>**მიეცა განმავითარებელი რეკომენდაცია:**</u> დაწესებულებამ გაასწოროს საქმისწარმოების წესით გაწერილი ხელშეკრულებების აღრიცხვის მექანიზმში, სარეგისტრაციო ჟურნალების წარმოების წესში და შემოსულ კორესპონდენციაზე დაკავშირებული რეაგირების პროცედურაში დაშვებული ტექნიკური უზუსტობები.

**2.დაწესებულების მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის, ელექტრონული საქმისწარმოებისთვის**, **კერძოდ:** კოლეჯი ჩართულია და მართვაში იყენებს Eflow-ს სისტემას, რომლის გამოყენება დასტურდება ვიზიტის ფარგლებში ვიზუალური დათვალიერებით.

**3.კოლეჯი ჩართულია პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში და ახორციელებს მასში ინფორმაციის კანონმდებლობით დადგენილი წესით შეტანას**, **კერძოდ**ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა მისი შევსების სისრულე. ვიზიტის დროს ექსპრეტები გაესაუბრნენ რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელო პირს, შესაბამისად ნახეს პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (რეესტრის მონაცემები) სიზუსტე, შედეგად დადასტურედა, რომ დაწესებულება რეალურად ახდენს რეესტრის სწორად წარმოებას.

4. **დაწესებულება დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან, რაც დასტურდება** მათ მიერ მიღებული დავალებებისა და გაგზავნილი კორესპოდენციის და პასუხების საფუძველზე, ძირითადად შემოსულ კორესპოდენციაზე პასუხოსმგებლობა ენიჭება საქმისმწარმოებელს, რომელსაც მოეთხოვება გონივრულ ვადებში შემოსული დოკუმენტაციის ადრესირება. ექსპერტების მიერ გასაუბრება შედგა კომპეტენტურ პირთან, რითიც დასტურდება ყოველივე ზემოაღნიშნული.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- პსდ საქმისწარმოების წესი;
- პროფესიული განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა;
- მიღებული და გაგზავნილი კორესპონდენცია;
- ვიზუალური დათვალიერება;

PDF Eraser Free

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.2.3 პსდ მიზანმიმართულად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს;
2. დაწესებულებას, რომლის მისიაშიც განსაზღვრულია საერთაშორისო თანამშრომლობის პრიორიტეტი ან უცხოენოვანი პროგრამის განხორციელება, აქვს იმ ენის შესაბამისი ვებგვერდიც, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
3. პსდ უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
4. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას პსდ-ის საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ;
5. პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად, ასევე პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად;
6. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პსდ-ს ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს**

PDF Eraser Free

**ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს, კერძოდ:** დაწესებულების ოფიციალური ვებგვერდი და სოციალური ქსელის გვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს. კერძოდ: დაწესებულების ვებ-გვერდი http://iberia.edu.ge/# და სოციალური ქსელი (https://www.facebook.com/college.iberia) იძლევა მარტივი ნავიგაციისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მთავარ გვერდზე ხელმისაწვდომობის შესაძლებლობას; ვებგვერდი ასრულებს ორ ძირითად ფუნქციას და ითვალისწინებს ინფორმაციის გონივრულ ვადაში მიღების ინტერესს: ა)საკომუნიკაციო პლატფორმა და ბ) საინფორმაციო ფუნქცია. ვებგვერდზე შესაძლებელია მარტივი ნავიგაცია, ამისთვის ინფორმაცია განთავსებულია ლოგიკურად დაჯგუფებულ და დასათაურებულ რუბრიკებში, არსებობს სიტყვების ძებნის ფუნქციაც. დაწესებულების ვებ გვერდზე განთავსებულია: დაწესებულების არსებული სტრუქტურა; საგანამანთლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაცია, მათ შორის ანონსი ახალი პროგრამების შესახებ; დაწესებულების მისია, ხედვა და ღირებულებები; ბიბლითეკის ელ.კატალოგი; ვებ-გვერდზე განთავსებული დაწესებულების მისია, საქმიანობა, სტრუქტურა, დებულებები, შიდა ნორმატიული აქტები, ინფორმაცია პროგრამების შესახებ, მათ შორის მოსალოდნელი სწავლის შედეგები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები, სამოქმედო გეგმების ანგარიშები და სხვ. ვებ-გვერდზე განთავსებულია ბიბლიოთეკის ელექტრონული კატალოგი, პროფესიული სტუდენტებისთვის, სასწავლო და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია;

2. დაწესებულებას **აქვს უცხოენოვანი ვებგვერდი.**

**3. დაწესებულება უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ:** კოლეჯში დამტკიცებულია კოლეჯის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი(28.02.2022, N60 ბრძანება). მარეგულირებლის თანახმად, საზოგადოებასთნ ურთიერთობას/კომუნიკაციას წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, რომელსაც ევალება კოლეჯის მიმდინარე და დაგეგმილი ღონისძებების, პროგრამებისა და პროექტების შესახებ საზოგადოების გონივრულ ვადებში მიწოდებას. დაწესებულება ინფორმაციის მისაწოდებლად მუდმივად იყენებს კოლეჯის ვებ-გვერდს - http://iberia.edu.ge/# კორპორატიულ ელექტრონულ ფოსტას - info@iberia.edu.ge და ოფიციალურ გვერდს სოციალურ ქსელებში

PDF Eraser Free

https://www.facebook.com/college.iberia დაწესებულების გვერდებზე და სოციალურ გვერდზე დაწესებულება უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. თუმცა საზოგადოებასთან ურთიერთბის/კომუნიკაციის წესში არ იკითხება ისეთ საკითხი, როგორიცაა ინფორმაციის გაცემის წესი, აღნიშნულთან დაკავშირებთ, ექსოერტთა მხრიდან გაიცა **განმავითარებელი** ***რეკომენდაცია, რომ*** *სასურველია დაწესებულებამ საზოგადოებასთნ ურთიერთობის მარეგულირებელ დოკუმენტში ასახოს ინფორმაციის გაცემის პროცედურა.*

4. **საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი ემსახურება დაინტერესებული პირების ინფორმირებას დაწესებულების საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ, კერძოდ:** იგი მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: კოლეჯის შესახებ, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურებისა და კრედიტების მინიჭების შესახებ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნების, მისანიჭებელი კვალიფიკაციის, დასაქმების შესაძლებლობის, კრედიტების, სწავლის შედეგების და სხვა ყველა აუცილებელი ინფორმაციის შესახებ რაც წინასწარ უნდა იცოდეს აპლიკანტმა და/ან მისმა მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა;

5. **პროგრამების კატალოგი ახლდება წლიურად,კეძოდ: ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამების კატალოგი 2022** - http://iberia.edu.ge/catalogue/, თუმცა ვეგვერდზე არ იძებნებოდა პროგრამების კატალოგის არქივი, აღნიშნულთან დაკავშირებით დაწესებულებას მიეცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ სასურველია*** *ვებგვერდზე იძებნებოდეს წინა წლის პროგრამების კატალოგების არქივი*.

6. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირს პსდ იყენებს მისი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, კერძოდ:** დაწესებულების საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერთან გასაუბრებით ირკვევა, რომ კოლეჯი მუდმივად იყენებს სხვადასხვა არხებიდან მიღებულ უკაკავშირს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, თუმცა აღნიშნული საკითხი არ არის დარეგულირებული და გაწერილი შესაბამისი დოკუმენტით., შესაბამისად ექსპერტთა მხრიდან გაიცა **განმავითრებელი** *რეკომენდაცია სასურველია, დაწესებულებამ უზურნველყოს უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების მექნიზმების შემუშავება.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საზოგადოებსათან ურთიერთობის წესი;
- დომენის / ჰოსთინგის ხელშეკრულებები;
- დაწესებულების ვებგვერდი;
- დაწესებულების ვებგვერდის შემოწმების შედეგები (ელ.კატალოგი, მარტივი ნავიგაცია, მარეგულირებელი დოკუმენტები, საკონტაქტო ინფორმაცია და სხვა);

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**5.3 ფინანსური რესურსები**

**5.3.1 დაწესებულება ფინანსურად მდგრადია**

1. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება;
2. საოპერაციო ხარჯები უზრუნველყოფილია ფინანსური რესურსით;
3. დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას;
4. დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე.

PDF Eraser Free

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **დაწესებულების ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. კერძოდ:** კოლეჯი იღებს საბიუჯეტო, როგორც პროგრამულ, ისე ვაუჩერულ დაფინანსებას. კოლეჯის დაფინანსების ძირითადი წყაროა საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო. საბიუჯეტო პროცესი არის საჯარო და გულისხმობს დამტკიცებული ბიუჯეტის, მისი შესრულების ანგარიშის გამოქვეყნებას, ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯების საჯაროობას. სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგება ყოველი წლის ბიუჯეტისა და შესყიდვების გეგმა, დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმაში ჩადებულია დაფინანსების დინამიკა, რომელიც ასახავს საპროგნოზო ბიუჯეტს, რომელზე დაყრდნობით შესაძლებელია ითქვას, რომ ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელება. ვიზიტის ფარგლებში ავტორიზაციის ექსპერტთა მიერ დაწესებულების ფინანსური რესურსით სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების უზრუნველყოფის დადასტურების მიზნით გადამოწმებული იქნა კოლეჯის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები, და შესაბამისი ბიუჯეტი. გადამოწმებისას დადგინდა, რომ სამოქმედო გეგმებში გათვალისწინებული აქტივობებისთვის, ცალ-ცალკე დოკუმენტურად გაწერილია ხარჯვითი ნაწილი, რესურსები გაწერილია სრულყოფილად.

2. დაწესებულების საოპერაციო ხარჯები უზურველყოფილია ფინანსური რესურსით, რაც შედგება ვაუჩერიდან და პროგრამული/მიზნობრივი პროგრამული დაფინანსებიდან მიღებული შემოსავლებით. ამასთან, კოლეჯი აწარმოებს ბოლო წლების დაფინანსების დინამიკას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, ისე საკუთარი შემოსავლებიდან მიღებული ფინანსების გათვალისწინებით.

3.**დაწესებულება უზრუნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას. კერძოდ:** საქართველოს კანონი ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირების ანგარიშგების საკითხებს. კანონის მე-2 მუხლის ე) ქვეპუნქტისა და მე-9 მუხლის მე-5 ქვეპუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს არ აქვს ვალდებულება საკუთარი ფინანსური ანგარიში გამოაქვეყნოს ფინანსური აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ანგარიშგების პორტალზე. დაწესებულების გასული წლის ფინანსური ანგარიშგება განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზე:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

(http://iberia.edu.ge/%e1%83%a4%e1%83%98%e1%83%9c%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%a1%e1%83%a3%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%90%e1%83%9c%e1%83%92%e1%83%90%e1%83%a0%e1%83%98%e1%83%a8%e1%83%94%e1%83%91%e1%83%98/). ამასთან, დაწესებულება აწარმოებს გასული წლების შემოსავლებისა და ხარჯების დინამიკას. შესაბამისად, დაწესებულება უზრნველყოფს საკუთარი ფინანსური მდგრადობის ობიექტურ შეფასებას.

4.**დაწესებულება სათანადოდ რეაგირებს შეფასების შედეგებზე, კერძოდ:** დაწესებულება, დადგენილი შიდა რეგულაციის თანახმად, ყოველი წლის ბოლოს ამზადებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს, რომელსაც ანთავსებს დაწესებულების ვებგვერდზე. სტრატეგიული გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის მეთოდოლოგია ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშსა და მომავალი წლის გეგმის შემუშავების პროცედურას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის მონიტორინგის ანგარიშს ახლავს მცირე რეკომენდაციები, რომელიც 2022 წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს ასახავს. ამასთან, პსდ-ს წარმომადგენლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ყოველი მომავალი წლის სამოქმედო გეგმის შემუშავებისას ითვალისწინებს წინა წლის შედეგებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- დაწესებულების ვებგვერდზე განთავსებული სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, ფინანსური ანგარიშგება;
- სამოქმედო და სტრატეგიული გეგმები;
- დაწესებულების ბიუჯეტი;
- 2018-2022 წლების შემოსავლების დინამიკა;
- 2022-2025 წლის საიუჯეტო განაცხადი;
- ფინანსური აღრიცხვის ანგარიშები;
- ინტერვიუს შედეგი.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

*IX. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ*

***„სამკერვალო წარმოება“***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სამკერვალო წარმოება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია სამკერვალო წარმოებაში / Basic Vocational Qualification in Sewing Industry |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0723 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ.ბაღდათი, შოთა რუსთაველის N112 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 პროფესიული სტუდენტი |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 100 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 115 |

*X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

**XI. სტანდარტის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:** სსიპ კოლეჯი ,,იბერია“ აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას“. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნად აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, იგულისხმება როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულების მიერ „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია, იმერეთის რეგიონში პროფესიისადმი მოთხოვნილებით. სამკერვალო წარმოება სერიოზულ შესაძლებლობას წარმოადგენს დასაქმებისა და თვითდასაქმების კუთხით და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ქალებს მისცემს

PDF Eraser Free

დასაქმებისა და საკუთარი ბიზნეს საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. კოლეჯი საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული „სამუშაოს მაძიებელთა და პრობაციონერთათვის მოკლევადიან მომზადება-გადამზადების პროგრამის"და „საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში" სამკერვალო წარმოების მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამის განხორციელებაშიც. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** „სამკერვალო წარმოების" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აპლიკანტებმა პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს დაწესებულების მიერ ორგანიზებული საგამოცდო პროცედურების საფუძველზე.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემო. დაწესებულებამ, „სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო (მისამართზე ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112) არსებული ფართი: A გარემო - 33კვმ, B გარემო - 49 კვმ, და C გარემო - 65კვმ. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტით, ორი სასწავლო ჯგუფის ოდენობით - თითოეულში 15-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. სწავლა შესაძლებელია



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

განხორციელდეს როგორც ორ მიღებაზე, ასევე ორ ცვლაში, თუმცა ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას ერთი შემოდგომის ჯგუფი ჰყავდა მხოლოდ. ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული სასწავლო გარემოებების ვიზუაური დათვალიერება და დაწესებულების წარმომადგენელთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, რითაც დასტურდება რომ გამოყოფილი სსწავლო სივრცეები შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნულ გარემოში ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაძლებელია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** კოლეჯის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.

5. საგანმანათლებლო პროგრამის **არჩევითი მოდულები არ აქვს.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის" თანახმად, პროგრამას ამტკიცდებს დაწესებულების დირექტორი, შესაბამისად პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება" დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „იბერია" დირექტორის მიერ.

**7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** „სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „სამკერვალო წარმოების" ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია 2021 წლის 20 თებერვლის ბრძ.№140303 დამტკიცებული „სამკერვალო წარმოების“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 07120-პ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2 – 15 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 6 ზოგად მოდულს, და 16 პროფესიულ მოდულს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №39; 21.02.2022 წ.);
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისია;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები, სასწავლო გეგმა);
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით( №41 24.03.2021 ბოლო ცვლილება №28 18.02.2022);



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- სსიპ კოლეჯ „იბერიაში "პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით"(დამტკ.ბრძ.№19; 28.01.2020წ );
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით
- გასაუბრების შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ: დაწესებულებას ქ. ბაღდათის მისამართზე პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით: აუდიტორია №204 –A გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის (ერთ ცვლაში), მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. აუდიტორია №303 –B გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერ(ებ)ი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა.

სამკერვალო წარმოების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემო აუდიტორია №201-C, სადაც განთავსებულია მასწავლებლის მაგიდა და სკამი, ლეპტოპი, პროექტორი, დაფა, ლაბორატორიული მაგიდა (საგამომჭრელო), სამძაფიანი ჯაჭვური გვირისტის მანქანა, ხუთძაფიანი, ორნემსიანი მანქანა (სამრეწველო), მცირე გაბარიტიანი ელექტრონული საგამომჭრელო მანქანა დისკური დანით, საუთოო წნეხი ვაკუუმის

PDF Eraser Free

გამწოვით (IRON PRESS), მეტრიანი სახაზავი, საუთაო მაგიდა და პირველადი სამედიცინო დახმარების ყუთი,15 ცალი ერთ-ნემსინი უნივერსალური საკერავი მანქანა, ღილკილოს მანქანა, ზეწვის მანქანა. ექსპერტების მხრიდან ვიზუალური დათვალიერების პარალელურად, შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, მატერიალური რესურსის მათ შორის მასალა ნედლეულის შეუფერხებლად გამოყენების დაზუსტების მიზნით, აღნიშნული მათ მხრიდან შეფასდა შესაბამისად და დასტურდება ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში. პროგრამის ყველა სწავლის შედეგი მიიღწევა დაწესებულებაში.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 9 მასწავლებელი, აქედან 6 ზოგადი და 3 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. შესწავლილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთულობა კვირაში არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ფორმას, რაც ასევე გადამოწმდა ემისის ბაზების მონაცემებითაც.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ როგორც დარგის, ასევე მოდულის სწავლების შესაბამისობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. პროფესიული მოდულების განმახორციელებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ჰქონდათ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, აცნობიერებენ

PDF Eraser Free

მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიურობას და ჩართულები არიან დაწესებულების მიერ პერსონალის სწავლების ტრენინგებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ,,პერსონალის სწავლების წლიური გეგმა" და ტერნინგის მონაწილეთა დასწრების ფურცელით, აღსანიშნავია რომ წინა ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის დამატების დროს აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ექსპერტების მხრიდან რაც ვიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას უკვე ჰონდა გათვალისწინებული და შესაბამისი ღონისძიებები გატარებული. გარდა ამისა, დაწესებულებასთან ინტერვიუს დროს გაირკვა, რომ იგეგმება პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლება მოდულების ,,ეროვნული სამოსის დეკორატიული გაფორმება" და ,,ეროვნული სამოსის მასალაში შესრულება" ფარგლებში.

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით", პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „სამკერვალო წარმოების" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამას „სამკერვალო წარმოება" ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დათვალიერება

PDF Eraser Free

ბიბლიოთეკის და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზეც. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სტუდენტებთან მიმდინარე მოდულებში აღნიშნული სახელმძღვანელობის გამოყენების ხელმისაწვდომობა და დასტურდება, რომ განმახორციელებელი პირების მხრიდან დამატებით რესურსებთან ერთად, იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ საგანამანათლებლო რესუსრს, რომელიც თანხვედრაშია მოდულებით გათვალისწინებულ საგანამანათლებლო რესურსებთან.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის შენობა ადაპტირებულია, რომელიც იძლევა სხვადასხვა საჭიროების მქონე პრიების სასწავლო პროცესში ჩართვის საშუალებას. კოლეჯში სსსმ პირების სასწავლო პროცესში ჩართვასთან დაკავშირებული საჭიროებები და მოთხოვნილებები რეგულირდება სსიპ კოლეჯის ,,იბერია“ დირექტორის 2021 წლის 26 მარტის N47 ბრძანებით ,,ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესისა და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“. სსსმ პროფესიულ სტუდენტთა სასწავლო პროცესში სრულყოფილ ინტეგრირებას კოლეჯი ახორციელებს ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტების, სსსმპ ასისტენტის და კვალიფიციური პედაგოგების მეშვეობით. საჭიროების შემთხვევაში კოლეჯი უზრუნველყოფს სსსმ პირთა საგანმანათლებლო პროცესში ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის (ტრანსპორტირებით უზრუნველყოფა) და სპეციალური მომვლელის ჩართვას. ასევე, საჭიროების შემთხვევაში, სსსმ სტუდენტისთვის საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მუშავდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულს და წარმოადგენს მის

PDF Eraser Free

მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტისთვის დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. ინდივიდუალური საჭიროებებიდან გამომდინარე, ხდება სწავლების განსხვავებული ხერხებისა და სტრატეგიების გამოყენება; სტუდენტისთვის ეფექტური სწავლა-სწავლების, ინსტრუქტაჟის მეთოდების შერჩევა; ისგ-ს საფუძველზე შესაძლებელია სტუდენტისთვის საათების განაწილების განსხვავებული, ინდივიდუალური სქემის დადგენა; საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება დამატებითი ადაპტირებული ტექნიკური აღჭურვილობა, სასწავლო რესურსი, მასალა და ნედლეული. ამ მიზნით კოლეჯს წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებსი გაწერილი აქვს სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის: ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის; ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის; გ) სხვა ხარჯების დასაფარად. პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **182640** ლარს. სულ ხარჯი არის **139000** ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“ (დამტკ.ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- მატერიალური რესუსის შესყიდვისა და მირება ჩაბარების დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესუსრი;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

PDF Eraser Free

1. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 18 თებრვალს N 34 ბრძანებით დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დოკუმენტის თანახმად მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ხარისხის მარტვის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- “დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო

რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის სპეციალისტთან ერთად. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება შემდგომი რეაგირებისთვის. სსიპ კოლეჯის „იბერია“ ქ. ბაღდათის სასწავლო კორპუსში განხორციელბული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“, ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო შეფასებული, ვინაიდან 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე დაკომპლექტდა სასწავლო ჯგუფი, შესაბამისად ამ ეტაპისთვის პროგრამის ფარგლებში ამ მხრივ მონიტორინგი არ განხორცილებეულა.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ თანახმად, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა,

PDF Eraser Free

დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღსანიშნავია რომ ვიზიტის ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა ახალ დაწყებული იყო (შემოდგომის მიღების ჯგუფი), შესაბამისად გარკვეული ცვლილები და შეფასებები ჯერ არ იყო განხორციელბული.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“
- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია; (სისტემის მოდელი: დაგეგმვა-განხორციელება-შეფასება-გადახედვა/გაუმჯობესება ან სხვა ალტერნატივა);
- განმახორციელებლებთან ინტერვიუს შედეგები.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „სამკერვალო წარმოება“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულის დაწყებამდე შემუშავებულია კალენდარულ გეგმები დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც, თუ რომელ მოდულს გადიოდნენ ვიზიტის მიმდინარეობისას, რაც თანხვედრაში მოდიოდა სასწალო გეგმასთან.
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:** დაწესებულებამ სასწავლო პროგრამა „სამკერვალო წარმოება“, ქ.ზაღდათის მისამართზე, დაიმატა გასული წლის საშემოდგომო მიღებისათვის. პირველი წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებელობა შეძლებისდაგვარად მოდულებიდან გამომდინარე, მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებას უკვე ჰონდა გათვალისწინებული მიღებული რეკომენდაცია. გარდა ამისა დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. თუმცა, არსებული ხელშემწყობი ღონისძიებები პროგრამის ხანგრძლივობას არ უნდა აღემატებოდეს. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ მზაობის მიუხედავად, დაწესებულებას ამ ეტაპისათვის არსებული საჭიროება არ ქონიათ.
3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** „სამკერვალო წარმოება“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო მეთოდოლოგია. პროგრამის ხელმძღვანელმა და

PDF Eraser Free

პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ შესაბამისი გამოცდილება სფეროში მუშაობის, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს და მუდმივად ცდილობენ მიიღონ დარგის შესაბამისი სიახლეები, რაც მეტად დაეხმარებათ მათ სასწავლო პროცესში და სტუდენტებს მაქსიმალურად დაახლოებს მიმდინარე საჭიროებებთან. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს პრაქტიკა კურსდამთავრებულების მიერ უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენების და შესაბამისი რეაგირების.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** სსიპ კოლეჯს „იბერია“ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების. დაწესებულებას, ქ.ზაღდათის მისამართზე, სსსმ სტუდენტი არ ყოლია, შესაბამისად ვიზიტის დროს მხოლოდ მექანიზმის შეფასება მოხდა.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არ დასტურდება რადგან:** დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში არ ყავთ პრაქტიკის ობიექტი, რადგან კოლეჯი ,,სამკერვალო წარმოების“ პროგრამის პრაქტიკის კომპონენტს ახორციელების კოლეჯის ბაზაზე, დარგის შესაბამისი უახლესი მატერიალური რესურსით აღჭურვილ C სასწავლო გარემოში.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობილია შესაბამისი უსაფრთხოების წესის დაცვის ინსტრუქცია და ასევე „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო/სამუშაო C გარემოში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკრულია საკერავ მანქანასთან და ტენთბურ დანადგარებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“, რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს

PDF Eraser Free

შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას.პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულეების ვერიფიკაცია. **ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება,** თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. ***განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.*

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზე ვერიფიკაცია ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო განხორციელებული, რადგან შემოდგომის მიღების ჯგუფია და შესაბამისად პირველი სასწავლო წლის ფარგლებში გათვალისწინებული მოდულების უმრავლესობა არ იყო დასრულებული. ვიზიტის დროს შემოწმდა რამდენიმე დასრულებული ზოგადი მოდულების შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც მათივე წესისამებრ იყო შემუშავებული.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/

PDF Eraser Free

ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში; პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში;სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული

PDF Eraser Free

სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი. ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროგრამების განვითარების მიზნით. პროფესიული მასწავლებელი შედეგის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარსხის სამსახურს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური, სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასებისინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ინდივიდუალური უკუავშირის მიღება თუმცა გარკვეული ცვლილებები პროგრამის ფარგლებში ვიზიტის მიმდინარეობისას ჯერ არ იყო განხორციელებული, რადგან ამ ეტაპისათვის დარგობრივი მოდულების მიმდინარეობა იყო და არა დასრულებული პროცესი, მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოდულების ფარგლებში ქონდათ შედეგები დადასტურებული, რაც ერთიან სურათს არ იძლეობა შესაფასებლად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

PDF Eraser Free

- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | თმის მომსახურება |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია თმისა და სილამაზის მომსახურებაში / Basic Vocational Qualification in Hair and Beauty Services |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 1012 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ.ბაღდათი, რუსთაველის N112 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 58 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 73 |

### *X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

**XI. სტანდარტის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:** სსიპ კოლეჯი „იბერია“ აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას“. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნად აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, იგულისხმება როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დაწესებულების მიერ „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის

PDF Eraser Free

დამატების მიზანშეწონილობა დასაბუთებულია, იმერეთის რეგიონში პროფესიისადმი მოთხოვნილებით. „თმის მომსახურება“ სერიოზულ შესაძლებლობას წარმოადგენს დასაქმებისა და თვითდასაქმების კუთხით და ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფლებში მცხოვრებ ქალებს მისცემს დასაქმებისა და საკუთარი ბიზნეს საქმიანობის დაწყების შესაძლებლობას. დაწესებულების მიერ “თმის მომსახურების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების მიზანშეწონილობის დასაბუთება დაფუძნებულია პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის ,,თმის სტილისტის“ განხორციელების მრავალწლიან გამოცდილებაზე. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა თვითდასაქმებადი პროგრამაა, კურსდამთავრებულები ასევე წარმატებულად საქმდებიან არსებულ სილამაზის სალონებში და საირმის კურორტზე, დაწესებულების კურსდამთავრებულთა კვლევის მასალების თანახმად დასაქმებულია 65%. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებას პრაქტიკის ოთხი მემორანდუმიდან ორი საკუთარ კურსდამთავრებულთან აქვს გაფორმებული. დაწესებულება, ,,თმის სტილისტის“ საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პარალელურად, აქტიურად იყო ჩართული „სამუშაოს მაძიებელთა და პრობაციონერთათვის მოკლევადიან მომზადება- გადამზადების პროგრამის“ და „საჯარო სკოლებში პროფესიული უნარების განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში“ თმის მომსახურების მოკლევადიანი სასერთიფიკატო პროგრამის განხორციელებაშიც. ეკონომიკის სამინისტროს შრომის ბაზრის კვლევის 2018-2020 წლის მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნული პროფესია დღეისათვის მოთხოვნადია დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება დაწესებულების მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** „თმის მომსახურება“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება

PDF Eraser Free

უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას; პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აპლიკანტებმა პროგრამაზე სწავლის უფლება მოიპოვეს დაწესებულების მიერ ორგანიზებული საგამოცდო პროცედურების საფუძველზე.

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია", რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემო და ასევე 4 (ოთხი) პრაქტიკის ობიექტი. დაწესებულებამ, „თმის მომსახურება" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო (მისამართზე ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112) არსებული ფართები: A გარემო - 33კვმ, B გარემო - 33კვმ და C გარემო - 63კვმ. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტით, ორი სასწავლო ჯგუფის ოდენობით - თითოეულში 15-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის განხორციელება შესაძლებელია როგორც ორ ცვალში, ასევე ორ მიღებაზე, თუმცა აღსანიშნავია რომ ვიზიტის დროს დაწესებულებას მხოლოდ ერთი ჯგუფი ყავდა აღნიშნულ პროგრამაზე. ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული სასწავლო გარემოებების ვიზუაური დათვალიერება და დაწესებულების წარმომადგენელთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, რითაც დასტურდება რომ გამოყოფილი სასწავლო სივრცეები შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნულ გარემოში ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაძლებელია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** კოლეჯის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

5. საგანმანათლებლო პროგრამის **არჩევითი მოდულები არ აქვს.**

**6.საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, პროგრამას ამტკიცდებს დაწესებულების დირექტორი, შესაბამისად პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „თმისა და სილამაზის მომსახურების“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია „თმისა და სილამაზის მომსახურების“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 10119-პ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2 – 15 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს, 7 საერთო დარგობრივი მოდულს და 7 პროფესიულ მოდულს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №39; 21.02.2022 წ.);
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისია;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები, სასწავლო გეგმა);
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით( №41 24.03.2021 ბოლო ცვლილება №28 18.02.2022);
- სსიპ კოლეჯ „იბერიაში “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“(დამტკ.ბრძ.№19; 28.01.2020წ );
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით
- გასაუბრების შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

*1.* **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** დაწესებულებას ქ. ბაღდათის მისამართზე პროგრამის განხორციელებას გეგმავს ორ ჯგუფად, ორ მიღებაზე. პროგრამის ფარგლებში

PDF Eraser Free

გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით: აუდიტორია №103 –A გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. აუდიტორია №202 –B გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერ(ებ)ი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. სამკერვალო წარმოების პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემო აუდიტორია №102-C გარემო, განთავსებულია 8 სამუშაო ადგილი, 8 ორ კარიანი კარადა, მასწავლებლის მაგიდა, სკამი, კომპიუტერი, პროექტორი, პრინტერი და „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "თმის მომსახურება" განხორციელებისთვის საჭირო C გარემოსთვის აუცილებელი აღჭურვილობა, მათ შორის თმიანი თავის მანეკენები ფენი პროფესიონალური, კერამიკული; სუშუარი ტაიმერით, თერმოსტატით, სიჩქარის გადამრთველით და გამჭირვალე დიფუზორით აღჭურვილი; თმის ფორმის მიმცემი ელექტრო მოწყობილობები (პლოიკა); თმის პროფესიონალური უთო, კერამიკული, ტურმალინის ზედაპირით; პროფესიონალური მოხმარების კლიმაზონი, თმის მკურნალობის, ქიმიური დახვევის და შეღებვის პროცესის დასაჩქარებელი; ელექტროსასწორი; მშრალი სტერილიზების ელექტრო ღუმელი. აღნიშნული მატრიალური რესურსი სრულად უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, გარდა ამისა ამ მიმართულებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს საწარმოო პრაქტიკისთვის მემორანდუმები პარტნიორ ორგანიზაციებთან. შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია როგორც დაწესებულების ისე პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. ექსპერტების მხრიდან ვიზუალური დათვალიერების პარალელურად, შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ სტუდენტებთან, მატერიალური რესურსის მათ შორის მასალა ნედლეულის შეუფერხებლად გამოყენების დაზუსტების მიზნით, აღნიშნული მათ მხრიდან შეფასდა შესაბამისად და დასტურდება ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში. ვიზუალური დათვალიერებისას არ იყო გამწოვი პროგრამის C გარემოში, თუმცა გასაუბრების დროს პროგრამის

PDF Eraser Free

ხელმძღვანელის მიერ და ასევე შსყიდვების სპეციალისტის მიერ დადასტურად რომ მიმდინარე პროცესია აღნიშნული დანადგარის შეძენა და შესაბამისი მოდულის დაწყებამდე უზრუნველყოფილი იქნება, თუმცა დარგის ექსპერტმა და პროგრამის ხელმძღვანელმა ასევე დაადასტურეს რომ ბუნებრივი ვინტილაციის პროცესის შესაძლებლობა თუ არის სახელოსნოში, სასწავლო პროცესის წარმართვა შესაძლებელია. მიუხედავად ამისა დაწესებულებას მიეცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია*** *აღნიშნული დანადგარის დროულად უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.*

*2.* **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 18 მასწავლებელი, აქედან 10 ზოგადი და 8 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. შესწავლილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთულობა კვირაში არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ფორმას, რაც ასევე გადამოწმდა ემისის ბაზების მონაცემებითაც.

*3.* **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებლებსს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ როგორც დარგის, ასევე მოდულის სწავლების შესაბამისობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. პროფესიული მოდულების განმახორციელებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ჰქონდათ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, აცნობიერებენ მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიურობას და ჩართულები არიან დაწესებულების მიერ პერსონალის სწავლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

ტრენინგებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით, ,,პერსონალის სწავლების წლიური გეგმა“ და ტერნინგის მონაწილეთა დასწრების ფურცელით, აღსანიშნავია რომ წინა ვიზიტის ფარგლებში, პროგრამის დამატების დროს აღნიშნული რეკომენდაცია გაიცა ექსპერტების მხრიდან, რაც ვიზიტის მიმდინარეობისას დაწესებულებას უკვე ჰონდა გათვალისწინებული და შესაბამისი ღონისძიებები გატარებული.

*4.* **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით“, პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამას „თმის მომსახურება“ ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია.

*5.* **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დათვალიერება ბიბლიოთეკის და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით

PDF Eraser Free

CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზეც. შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სტუდენტებთან მიმდინარე მოდულებში აღნიშნული სახელმძღვანელობის გამოყენების ხელმისაწვდომობა და დასტურდება, რომ განმახორციელებელი პირების მხრიდან დამატებით რესურსებთან ერთად, იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ საგანამანათლებლო რესუსრს, რომელიც თანხვედრაშია მოდულებით გათვალისწინებულ საგანამანათლებლო რესურსებთან.

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის ლიფთით, პანდუსით, სველი წერტილებით და სხვა. ***აღსანიშნავია რომ დაწესებულებას ქ.ბაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში სსსმ სტუდენტი არ ჰყავს.***

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის: ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის; ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის; გ) სხვა ხარჯების დასაფარად. პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **102990**

PDF Eraser Free

ლარს. სულ ხარჯი არის **54360** ლარი.კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია" (დამტკ.ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- მატერიალური რესუსის შესყიდვისა და მირება ჩაბარების დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესუსრი;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1. პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

2. **პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 18 თებრვალს N 34 ბრძანებით დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დოკუმენტის თანახმად მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ხარისხის მარტვის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- “დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო

რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით;

პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის სპეციალისტთან ერთად. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება შემდგომი რეაგირებისთვის. სსიპ კოლეჯის „იბერია“ ქ. ბაღდათის სასწავლო კორპუსში განხორციელბული, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო შეფასებული,



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

ვინაიდან 2021 წლის საშემოდგომო მიღებაზე დაკომპლექტდა სასწავლო ჯგუფი, შესაბამისად ამ ეტაპისთვის პროგრამის ფარგლებში ამ მხრივ მონიტორინგი არ განხორციელებეულა.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი" თანახმად, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. აღსანიშნავია რომ ვიზიტის ფარგლებში, აღნიშნული პროგრამა ახალ დაწყებული იყო (შემოდგომის მიღების ჯგუფი), შესაბამისად გარკვეული ცვლილები და შეფასებები ჯერ არ იყო განხორციელბული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“
- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;
- გასაუბრება

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

PDF Eraser Free

4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „თმის მომსახურება" შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულის დაწყებამდე შემუშავებულია კალენდარულ გეგმები დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის" ფორმის შესაბამისად. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც, თუ რომელ მოდულს გადიოდნენ ვიზიტის მიმდინარეობისას, რაც თანხვედრაში მოდიოდა სასწალო გეგმასთან.
2. **პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:** დაწესებულებამ სასწავლო პროგრამა „თმის მომსახურება", ქ.ბაღდათის მისამართზე, დაიმატა გასული წლის საშემოდგომო მიღებისათვის. პირველი წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებლობა შეძლებისდაგვარად მოდულებიდან

PDF Eraser Free

გამომდინარე, მიმდინარე წარმოების ფარგლებში დაწესებულებას უკვე ჰონდა გათვალისწინებული მიღებული რეკომენდაცია. გარდა ამისა დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. თუმცა, არსებული ხელშემწყობი ღონისძიებები პროგრამის ხანგრძლივობას არ უნდა აღემატებოდეს. აქვე აღსანიშნავია ისიც რომ მზაობის მიუხედავად, დაწესებულებას ამ ეტაპისათვის არსებული საჭიროება არ ქონიათ.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** „თმის მომსახურება“ პროგრამა აღჭურვილი ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო მეთოდოლოგია. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ შესაბამისი გამოცდილება სფეროში მუშაობის, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს და მუდმივად ცდილობენ მიიღონ დარგის შესაბამისი სიახლეები, რაც მეტად დაეხმარებათ მათ სასწავლო პროცესში და სტუდენტებს მაქსიმალურად დაახლოებს მიმდინარე საჭიროებებთან. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს პრაქტიკა კურსდამთავრებულების მიერ უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენების და შესაბამისი რეაგირების, თუმცა აღსანიშნავია რომ დაწესებულების ქ. ბაღდათის მისამართზე საგანმანათლებლო პროგრამა „თმის მომსახურება“ პირველად ხორციელდება და პროგრამის ჭრილში გარკვეული ცვლილებები ჯერ არ განხორციელებულა, თუმცა პროგრამის ხელმძღვანელთა გასაუბრებით დასტურება რომ მას შემდეგ რაც გარკვეული ძირიეული მოდულები დაიფარება, იგეგმება სტუდენტების გამოკითხვა და მიმდინარე სასწავლო პროცესის შეფასება, შემდგომი რეაგირების მიზნით.

4. **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** სსიპ კოლეჯს „იბერია“ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

a) შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
b) სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
c) მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
d) წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
e) პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების

PDF Eraser Free

მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების. დაწესებულებას, ქ.ბაღდათის მისამართზე, სსსმ სტუდენტი არ ყოლია, შესაბამისად ვიზიტის დროს მხოლოდ მექანიზმის შეფასება მოხდა.

5. **პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „თმის მომსახურება“ „გაცნობითი პრაქტიკის“ და „პრაქტიკული პროექტის“ მოდულების განხორციელებისა და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას 2021 წლის 24 თებერვალს გაფორმებული აქვს მემორანდუმები:.

1. შპს „მედ სერვისთან“, ობიექტი მოემსახურება 5 პროფესიულ სტუდენტს;
2. ი/მ ეკა მერებაშვილთან, მოემსახურება 5 პროფესიულ სტუდენტს;
3. ი/მ ზინა თოდაძესთან, მოემსახურება 4 პროფესიულ სტუდენტს;
4. ი/მ მაკა ქარჩხაძესთან, მოემსახურება 4 პროფესიულ სტუდენტს;

მემორანდუმები გაფორმებულის 6 წლის ვადით; მიუხედავად იმისა რომ პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხდება ადგილზე დაწესებულების ბაზაზე, ხოლო ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ორი მოუდულის: ა) გაცნობითი პრაქტიკა და ბ) პრაქტიკული პროექტი, განხორციელება იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე.

6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობილი აქვს შესაბამისი უსაფრთხოების წესის დაცვის ინსტრუქცია და ასევე „თმის მომსახურება“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო C გარემოში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკრულია შესაბამისი უსაფრთხოების წესები.

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- უსაფრთხოების წესი/ ინსტრუქცია პროგრამის ფარგლბში სასწავლო გარემოს შესაბმისად;
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი.

   პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო, გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი

PDF Eraser Free

ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას. პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით" განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმაში ცვლილება. ***განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესი. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.*

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამეზე ვერიფიკაცია ვიზიტის პერიოდში ჯერ არ იყო განხორციელებული, რადგან შემოდგომის მიღების ჯგუფია და შესაბამისად პირველი სასწავლო წლის ფარგლებში გათვალისწინებული მოდულების უმრავლესობა არ იყო დასრულებული.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

ვიზიტის დროს შემოწმდა რამდენიმე დასრულებული ზოგადი მოდულების შეფასების ინსტრუმენტები, რომელიც მათივე წესისამებრ იყო შემუშავებული

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში; პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი. ადგილზე ვიზიტის დროს დოკუმენტების შესწავლისას და ინტერვიუს დროს დადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ:** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროგრამების განვითარების მიზნით. პროფესიული მასწავლებელი შედეგის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარსხის სამსახურს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური, სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასებისინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ინდივიდუალური უკუავშირის მიღება თუმცა გარკვეული ცვლილებები პროგრამის ფარგლებში ვიზიტის მიმდინარეობისას ჯერ არ იყო განხორციელებული, რადგან ამ ეტაპისათვის დარგობრივი მოდულების მიმდინარეობა იყო და არა დასრულებული პროცესი, მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოდულების ფარგლებში ქონდათ შედეგები დადასტურებული, რაც ერთიან სურათს არ იძლეობა შესაფასებლად.

PDF Eraser Free

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამა „ელექტროობა“**

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ელექტროობა |
| პროფესიული განათლების დონე | მესამე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | საბაზო პროფესიული კვალიფიკაცია ელექტროობაში |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0713 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ.ბაღდათი, რუსთაველის N112 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 52 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 67 |

*X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | შესაბამება | მეტწილად შესაბამება | ნაწილობრივ შესაბამება | არ შესაბამება |
|---|---|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

**XI. სტანდარტის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;

2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;

5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;

6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;

7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;

8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:** სსიპ კოლეჯი ,,იბერია“ აცნობიერებს რა თავის სოციალურ პასუხიმგებლობას, საზოგადოებრივ საქმიანობებში ჩართულობით, ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის პროფესიულ, კულტურულ, სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას. დაწესებულებას სტრატეგიული განვითარების გეგმის პირველ მიზნად აქვს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროგრამების განხორციელება, რომლის მიზნებსაც წარმოადგენს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშემწყობი პროგრამების განხორციელება, იგულისხმება როგორც გრძელვადიანი ისე მოკლევადიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. ,,ელექტროობის“ (მესამე საფეხური) პროგრამის მიზანია, მოამზადოს და შრომის ბაზარს შესთავაზოს კვალიფიცირებული სპეციალისტი, რომელიც ფლობს ელექტროტექნიკური სისტემების, შენობის ელექტროგაყვანილობისა და განათების,

PDF Eraser Free

ხანძარსაწინააღმდეგო, დამცავი სიგნალიზაციების, ასაფრენ-სასაფრენი ბილიკების განათების, მზის ენერგიის ელექტრული კოლექტორების მონტაჟის უნარ-ჩვევებს.

ამასთანავე, კურსადამთავრებულებს აქვთ თვითდასაქმების მაღალი შესაძლებლობაც. აღნიშნული სპეციალობის კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკური მაჩვენებელი ადასტურებს მნიშვნელოვან ინტერესს აღნიშნული პროფესიისადმი.

**2.საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** „ელექტროობა“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ეფუძნება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტს. პროფესიულ სგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობაა საბაზო განათლება, შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** დაწესებულებას შემუშავებული აქვს „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“, რომლის თანახმად პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება: A, B და C სასწავლო გარემო. დაწესებულებამ, „ელექტროობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღო (მისამართზე ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112) არსებული ფართი: A/ C (ინტეგრირებული) გარემო - 48,96კვმ, B გარემო - 32.45 კვმ. აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა დაწესებულებას განსაზღვრული აქვს 30 პროფესიული სტუდენტით, ორი სასწავლო ჯგუფის ოდენობით - თითოეულში 15-15 პროფესიული სტუდენტის გათვალისწინებით. ვიზიტის დროს მოხდა აღნიშნული სასწავლო გარემოებების ვიზუაური დათვალიერება და დაწესებულების წარმომადგენელთან, მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრება, რითაც დასტურდება რომ

PDF Eraser Free

გამოყოფილი სსწავლო სივრცეები შესაბამისობაშია სტანდარტთან და აღნიშნულ გარემოში ჯამში 30 პროფესიული სტუდენტის სასწავლო პროცესის უზრუნველყოფა შესაძლებელია.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** „ელექტროობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის, დაწესებულებას უზრუნველყოფილი აქვს, საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც შესაბამისობაშია ჩარჩო-დოკუმენტის მინიმალურ ტექნიკურ აღჭურვილობასთან. აღსანიშნავია რომ დაწესებულებამ ქ. ბაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში, აღნიშნული პროგრამა გასული წლის შემოდგომაზე დაიწყო, შესაბამისად გარკვეული მონიტორინგი პროგრამის შეფასების მიზნით, ამ მიმართულებით ვიზიტის მიმდინარეობისას არ იყო განხორციელებული, თუმცა სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება რომ ამ ეტაპზე მიმდინარე მოდულების შესაბამისად, ხელმისაწვდომი აქვს საჭირო რესურსები, სასწავლო პროცესი მიმდინარებს შეუფერხებლად და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო რესურსი იძლევა მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის საშუალებას.
5. საგანმანათლებლო პროგრამის **არჩევითი მოდულები არ აქვს.**
6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, პროგრამას ამტკიცდებს დაწესებულების დირექტორი, შესაბამისად პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ელექტროობა“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ.
7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** „სამკერვალო წარმოების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია „ელექტროობა“ ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

8. **პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. პროგრამის შემუშავების საფუძველია „ელექტროობა“ ჩარჩო დოკუმენტი, სარეგისტრაციო ნომერი 07313-პ. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მოცულობა და ხანგრძლივობა, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, მიზნები, სწავლის შედეგები, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, კურსდამთავრებულთა კარიერული შესაძლებლობანი; სტრუქტურა და მოდულები. მოდულების ბლოკში გათვალისწინებულია ქართული ენის მოდულიც (A2 – 15 კრედიტი). საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 4 ზოგად მოდულს, 4 საერთო პროფესიულ მოდულს,და 6 დარგობრივ მოდულს. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით თან ერთვის სასწავლო გეგმა, რომლის მიხედვითაც ხდება სასწავლო პროცესის ორგანიზება და რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების გათვალისწინებით. პროფესიული სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის ვადები. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დამტკ. კოლეჯის დირექტორის ბრძ. №39; 21.02.2022 წ.);
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისია;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები, სასწავლო გეგმა);
- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სსიპ კოლეჯ „იბერიაში “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- ➢ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით
- ➢ გასაუბრების შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

3. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
4. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
5. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
6. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;

PDF Eraser Free

7. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
8. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
9. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** დაწესებულება პროგრამის განხორციელებას ორ სხვადასხვა მიღებაზე ახდეს, 15 პროფესიული სტუდენტით დაკომპლექტებული ორი ჯგუფით. დაწესებულებას ქ. ბაღდათის მისამართზე პროგრამის ფარგლებში გამოყოფილი აქვს საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკით გათვალისწინებული A, B და C გარემო. A და B გარემო უზრუნველყოფილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული საჭირო აღჭურვილობით: A გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა და სკამი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. B გარემო: განთავსებულია 15 მაგიდა, სკამი და კომპიუტერ(ებ)ი პროფესიული სტუდენტისათვის, მაგიდა და სკამი პროფესიული განათლების მასწავლებლისთვის, ლეპტოპი, პრინტერი, პროექტორი, დაფა. „ელექტროობა" პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის გახორციელებისათვის საჭირო თანამედროვე სტანდარტის შესაბამისი აღჭურვილობით უზრუნველყოფილია კოლეჯის სასწავლო გარემო აუდიტორია C, სადაც განთავსებულია მასწავლებლის მაგიდა და სკამი, ლეპტოპი, პროექტორი, დაფა, საპრეზენტაციო დაფა /მაგიდა და სხვა პროგრამით გათვალისწინებული და დანართის შესაბამისი სასწავლო რესურსი. ექსპერტების მხრიდან ვიზუალური დათვალიერების პარალელურად, შედგა გასაუბრება პროგრამის განმახორციელებლებთან და პროფესიულ

PDF Eraser Free

სტუდენტებთან, მატერიალური რესურსის მათ შორის მასალა ნედლეულის შეუფერხებლად გამოყენების დაზუსტების მიზნით, აღნიშნული მათ მხრიდან შეფასდა შესაბამისად და დასტურდება ხელმისაწვდომობა სასწავლო პროცესში.

დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში აქვს გაფორმებული მემორანდუმი „ააიპ ბაღდათის კეთილ მოწყობისა, დასუფთავებისა და მუნუციპალური სერვისების განვითარების გაერთიანებასთან. მემორანდუმი ითვალისწინებს ორი მოდულის ფარგლებში თანამშრომლობას, გაცნობითი პრაქტი და საინჟინრო პროექტი . მემორანდუმში გათვალისწინებულია სტუუდენტების რაოდენობა და ასევე თანხმობა სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით შესაბამის მატერიალურ რესურსზე. ასევე პროგრამის მიმდინარეობისას პრაქტიკის ობიექტზე უზრუნველყოფილი იქნება შესაბამისი პასუხისმგებელი პირი.

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** აღნიშნული პროგრამის განხორციელებაში ჩართულია პროფესიული განათლების 7 მასწავლებელი, აქედან 3 პროფესიული მოდულის განმახორციელებელია. შესწავლილი დოკუმენტებით პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთულობა კვირაში არ აღემატება შრომის კანონმდებლობით დადგენილ ფორმას, რაც ასევე გადამოწმდა ემისის ბაზების მონაცემებითაც.

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა მიერ შემოწმებულ იქნა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელთა პირადი საქმეები. პირად საქმეებში პროგრამის განმახორციელებს წარმოდგენილი დოკუმენტაციით უდასტურდებათ დარგის შესაბამისობა. ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში ჩატარდა მათთან გასაუბრება. პროფესიული განათლების მასწავლებლებმა დაადასტურეს, როგორც საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, ასევე, მისი განვითარების მიზნით დაწესებულების აქტივობებში მონაწილეობა. მათთან ინტერვიუს მიმდინარეობისას თვალნათელი იყო, რომ იცნობდნენ მოდულის შინაარსს, გააჩნდათ მისი განხორციელების კომპეტენცია, გააზრებული ჰქონდათ მოდულის განხორციელების მიდგომები, იცნობდნენ ინტერაქტიული სწავლების მეთოდებს და შეფასების წესებს, რაც უზრუნველყოფილი იქნა

PDF Eraser Free

დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერის მიერ. პროფესიული მოდულების განმახორციელებლებმა კიდევ ერთხელ აღნიშნეს, რომ ჰქონდათ საგნობრივი პროგრამების განხორციელების გამოცდილება, აცნობიერებენ მოდულური პროგრამების სწავლების სპეციფიურობას და ჩართულები არიან დაწესებულების მიერ პერსონალის სწავლების ტრენინგებში, რაც დასტურდება წარმოდგენილი დოკუმენტით.

**4.საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით", პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამას „ელექტროობა" ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია.

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** ვიზიტისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ მოხდა დათვალიერება ბიბლიოთეკის და განხორციელდა გასაუბრება ბიბლიოთეკართან, „ელექტროობა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში მითითებული ლიტერატურა ხელმისაწვდომია კოლეჯის ბიბლიოთეკაში მატერიალური და ელექტრონული სახით CD დისკზე, ელექტრონული სახელმძღვანელოები ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში და განთავსებულია კოლეჯის ვებ გვერდზეც. შერჩევითი

PDF Eraser Free

პრინციპით გადამოწმდა სტუდენტებთან მიმდინარე მოდულებში აღნიშნული სახელმძღვანელობის გამოყენების ხელმისაწვდომობა და დასტურდება, რომ განმახორციელებელი პირების მხრიდან დამატებით რესურსებთან ერთად, იყენებენ ბიბლიოთეკაში არსებულ საგანამანათლებლო რესუსრს, რომელიც თანხვედრაშია მოდულებით გათვალისწინებულ საგანამანათლებლო რესურსებთან.

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის ლიფთით, პანდუსით, სველი წერტილებით და სხვა. აღსანიშნავია რომ დაწესებულებას ქ.ზაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში სსსმ სტუდენტი არ ჰყავს.

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის: ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის; ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის; გ) სხვა ხარჯების დასაფარად. პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **69810** ლარს. სულ ხარჯი

PDF Eraser Free

არის **37960** ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია" (დამტკ.ბრძ. №47; 26.03.2021წ.)
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- მატერიალური რესუსის შესყიდვისა და მირება ჩაბარების დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესუსრი;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

2.პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია" დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 18 თებრვალს N 34 ბრძანებით დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი". დოკუმენტის თანახმად მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ხარისხის მარტვის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა") განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე" ციკლის შესაბამისად. აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- "დაგეგმე" - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე" - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

- „შეამოწმე" - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;
- „განავითარე" - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო

რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით;

პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის სპეციალისტთან ერთად. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება შემდგომი რეაგირებისთვის. ვიზიტის დროს ექსპერტების მიერ შემოწმდა პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შეფასების ინსტრუმენტები. აღსანიშნავია რომ დაწესებულებამ მიმდინარე წლის თებერვლიდან მოახდინა მარეგულირებელი დოკუმნეტების განახლება, გამომდინარე აქედან შესწავლილი შეფასების ინსტრუმენტი ვერ მოდის თანხვედრაში შემუშავებულ/განახლებულ მექანიზმებთან, რის გამოც ექსპერტების მიერ შეფასდა მხოლოდ დოკუმენტის არსებობა და წარმოებული პროცესი და არა შესრულების ხარისხი. ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებით, ასევე დასტურდება რომ გასული წლის დეკემბერში შერჩევითი პრონციპით (გაწერილი რეგულაციის მიხედვით) შედგა პროგრამის ვერიფიკაცია და მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელსაც გაეცნო პროგრამის ხელმძღვანელი და ასევე, დოკუმენტი წარედგინა დაწესებულების დირექტორსაც.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

თბილისი,2022

PDF Eraser Free

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ თანახმად, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“

PDF Eraser Free

- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;
- გასაუბრება

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;

2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;

4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;

PDF Eraser Free

5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ელექტროობა“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულის დაწყებამდე შემუშავებულია კალენდარულ გეგმები დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც, თუ რომელ მოდულს გადიოდნენ ვიზიტის მიმდინარეობისას, რაც თანხვედრაში მოდიოდა სასწალო გეგმასთან.

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:** დაწესებულებამ სასწავლო პროგრამა „ელექტროობა“, ქ.ბაღდათის მისამართზე, დაიმატა გასული წლის საშემოდგომო მიღებისათვის. პირველი წარმოების ფარგლებში დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია გათვალისწინებული ყოფილიყო პროგრამის დისტანციურად განხორციელების შესაძლებელობა შეძლებისდაგვარად მოდულებიდან გამომდინარე.

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** „ელექტროობა“ პროგრამა აღჭურვილია ყველა იმ მატერიალური რესურსით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტით. გამოიყენება შესაბამისი თანამედროვე ტექნოლოგიები და სასწავლო მეთოდოლოგია. პროგრამის ხელმძღვანელმა და პროფესიული განათლების



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

მასწავლებელმა ინტერვიურებისას აღნიშნეს, რომ აქვთ შესაბამისი გამოცდილება სფეროში მუშაობის, კარგად ფლობენ დარგში არსებულ ტექნოლოგიებს და მუდმივად ცდილობენ მიიღონ დარგის შესაბამისი სიახლეები, რაც მეტად დაეხმარებათ მათ სასწავლო პროცესში და სტუდენტებს მაქსიმალურად დაახლოებს მიმდინარე საჭიროებებთან. გარდა ამისა დაწესებულებას აქვს პრაქტიკა კურსდამთავრებულების მიერ უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაციის გამოყენების და შესაბამისი რეაგირების. აღსანიშნავია რომ მიმდინარე ჯგუფში პროფესიული სტუდენტების უმრავლესობა უკვე დასაქმებულები არიან და ამავდროულად დიდი გამოცდილების მქონეც, შესაბამისად პროგრამის ფარგლებში მათ აქვთ საშუალება მუდმივი სიახლეების გაცნობის და დარგში მისი გამოყენების, რომლის შესახებაც კითხვარების ფარგლებში ასევე აწვდიან დაწესებულებას შესაბამის ინფორმაციას.

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** სსიპ კოლეჯს „იბერია“ შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და განახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების. დაწესებულებას, ქ.ბაღდათის მისამართზე, სსსმ სტუდენტი არ ყოლია, შესაბამისად ვიზიტის დროს მხოლოდ მექანიზმის შეფასება მოხდა.

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან არ დასტურდება რადგან:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ელექტროობა" „გაცნობითი პრაქტიკის" და „პრაქტიკული პროექტის" მოდულების განხორციელებისა და შემდგომი დასაქმების უზრუნველსაყოფად დაწესებულებას 2020 წლის 10 სექტემბერს გაფორმებული აქვს მემორანდუმი:. ააიპ „ბაღდათის კეთილმოწყობის, დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების

PDF Eraser Free

განვითარების გაერთიანებასთან“. მემორანდუმები გაფორმებულის 6 წლის ვადით; მიუხედავად იმისა რომ პროგრამის ფარგლებში, პრაქტიკული კომპონენტის განხორციელება ხდება ადგილზე დაწესებულების ბაზაზე, ხოლო ხელშეკრულების ფარგლებში მხოლოდ ორი მოუდულის: ა) გაცნობითი პრაქტიკა და ბ) პრაქტიკული პროექტი, განხორციელება / სასწავლო ექსკურსია იგეგმება პრაქტიკის ობიექტზე.

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს პროფესიული სტუდენტებისათვის გაცნობილი აქვს შესაბამისი უსაფრთხოების წესის დაცვის ინსტრუქცია და ასევე „ელექტროობა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო C გარემოში პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე გამოკრულია დანადგარებთან მუშაობის უსაფრთხოების წესები.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი;
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

PDF Eraser Free

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებულია ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები", რომელიც არეგულირებს პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემას და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას. რეგულაციის შესაბამისად, შეფასებამდე 2 კვირით ადრე პროფესიული განათლების მასწავლებელი სასწავლო პროცესის მენეჯერს წარუდგენს შემუშავებულ შეფასების ინსტრუმენტს დამტკიცებული ფორმის შესაბამისად. წარმოდგენილ ინსტრუმენტს აფასებს სასწავლო პროცესის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი/ობიექტური; შეფასების სისტემა ვალიდურია, რადგან გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტი რელევანტურია იმ სწავლის შედეგის დადასტურებისათვის, რაც ფასდება. ასევე შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტი იძლევა სწავლის შედეგის შეფასების შესაძლებლობას ყველა კრიტერიუმის მიხედვით. შეფასების სისტემა სანდოა, რაც გამყარებულია განხორციელებული შეფასების შედეგები სათანადო მტკიცებულებებით. შეფასების სისტემა გამჭვირვალეა, რადგან შეფასების პროცესი და დადასტურების პირობები, მოთხოვნები, ასევე შეფასების შესახებ სხვა საჭირო ინფორმაცია წინასწარ არის ცნობილი ყველა შესაფასებელი პირისთვის. შეფასების სისტემა სამართლიანია, რასაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის იმგვარად ორგანიზებულობა (მათ შორის შეფასების დრო, შეფასების გარემო,

PDF Eraser Free

გამოყენებული მასალები, აღჭურვილობა და სხვა პირობები)., რომ შესაფასებელ პირს მიეცეს საშუალება, დაადასტუროს მიღწეული სწავლის შედეგები. ასევე შეფასებისას ყველა შესაფასებელი პირი ერთნაირ პირობებში არის ჩაყენებული, რაც უზრონველყოფს შეფასების სისტემის ობიექტურობას. პროფესიული სტუდენტებისთვის ასევე ცნობილია გასაჩივრების პროცედურები, თუმცა ამის საჭიროება არ ჰქონიათ. ასევე, აქვთ ინფორმაცია, განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება ერთჯერ, მათ შორის მოდულური პროგრამის მიმდინარეობის პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას შედეგის დაუდასტურებლობის შემთხვევაში, თუ დაუდასტურებელი მოდულის დაძლევა შემდგომ მოდულზე დაშვების წინაპირობაა, სტუდენტს ეძლევა დამატებით შეფასებაზე გასვლის შესაძლებლობა ორი კვირის ვადაში, ხოლო თუ მოდული არ არის სხვა მოდულზე დაშვების წინაპირობა, პროფესიული სტუდენტი უფლებამოსილია განმეორებით დადასტურებაზე გავიდეს პროგრამი ამოწურვამდე.

2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2022 წლის 18 თებერვლის N34 ბრძანებით დამტკიცებული ,,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმებს. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში შევიდეს გეგმაში ცვლილება. დარგის სპეციალისტი, რომელმაც შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში მიიღო მონაწილეობა, ვერ შეამოწმებს იგივე ინსტრუმენტს.კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულეების ვერიფიკაცია. **ვერიფიკაციისას არ განიხილება ყველა პროფესიული სტუდენტის მტკიცებულება,** თუმცა ხდება საკმარისი რაოდენობის ნამუშევრების შერჩევა იმისთვის, რომ მოდულის ფარგლებში დადგინდეს, რამდენად ობიექტურია პროფესიული განათლების მასწავლებლის შეფასება და რამდენად იცავს ის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

სტანდარტს. შერჩევის რაოდენობაზე გავლენას ახდენს რისკ-ფაქტორები. ***განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.*

ვიზიტის დროს პროგრამის ფარგლებში ვერიფიკაცია არ იყო განხორციელებული, ექსპერტების მხრიდან მოხდა მხოლოდ მოდულის სწავლის შედეგების შემოწმების მიზნით შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები.

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** კოლეჯი 2022 წლის 21 თებერვლის N39 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ თანახმად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებები შეინახოს მოდულის დასრულებამდე; მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია, მიღება-ჩაბარების აქტით მოდულის სწავლის შედეგების შეფასების უწყისები წარმოადგინოს სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერთან მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშაო დღისა, ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულზე სწავლის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ამობეჭდილი და ხელმოწერილი სახით; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი სწავლის შედეგების შეფასების უწყისის მონაცემებს ასახავს უწყისების აღრიცხვის ჟურნალში; პროგრამის ხელმძღვანელი, მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლისგან მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, ჩაიბარებს თითოეული პროფესიული სტუდენტის შეფასების მტკიცებულებებს, მოდულზე სწავლის დასრულებიდან არაუმეტეს 5 სამუშოა დღისა; ხოლო, როცა მოდული სხვა განსახორციელებელ მოდულზე დაშვების წინაპირობაა - მოდულის დასრულებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში; სასწავლო



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი და პროგრამის ხელმძღვანელი კოლეჯის საკვალიფიკაციო კომისიას წარუდგენენ ყველა პროფესიული სტუდენტის შეფასების უწყისსა და მტკიცებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, რის საფუძველზეც კომისია მიიღებს გადაწყვეტილებას პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ; სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, ოქმის საფუძველზე, კოლეჯის დირექტორს წარუდგენს ბრძანების პროექტს პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება/არ მინიჭების შესახებ პროფესიულ სტუდენტთა სახელობით სიასთან ერთად. თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღისა, სასწავლო პროცესისა და სასწავლო პრაქტიკის მენეჯერი, მიღება-ჩაბარების აქტით კოლეჯის არქივს გადასცემს სწავლის შედეგების შეფასების უწყისებს, რომლებიც ინახება მუდმივად, ხოლო სწავლის შედეგების შეფასების მტკიცებულებებს - 3 (სამი) წლის ვადით შესანახად, რის შემდეგაც, აქტის საფუძველზე, მოხდება პროფესიული სტუდენტის მიერ სასწავლო პროცესში შექმნილი მტკიცებულებების განკარგვა კანონმდებლობის შესაბამისად; პროფესიული სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ უწყისების დაცვას უზრუნველყოფს კოლეჯის ბიბლიოთეკარ-არქივარიუსი. ინტერვიუს დროს კოლეჯის ადმინისტრაციამ, პროფესიულმა მასწავლებლებმა და პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა აღნიშნული რეგულაციის დაცვა.

4. **„სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროგრამების განვითარების მიზნით, კერძოდ:** პროფესიული მასწავლებელი შედეგის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარსხის სამსახურს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური, სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასების ინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის

PDF Eraser Free

დირექტორს. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ინდივიდუალური უკუავშირის მიღება თუმცა გარკვეული ცვლილებები პროგრამის ფარგლებში ვიზიტის მიმდინარეობისას ჯერ არ იყო განხორციელებული, პროგრამის ხელმძღვანელმა დაადასტურა ცვლილებების აუცილებლობა და ინიცირების დოკუმენტის წარდგენა ხარისხის მენეჯერისათვის, როგორიცა მაგალითად სასწავლო გეგმაში მოდულების განხორციელების პერიოდულობის ცვლილება.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

***პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“***

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | ბუღალტრული აღრიცხვა |

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| პროფესიული განათლების დონე | მე-5 დონე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში / Higher Vocational Qualification in Accounting |
| სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0411 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული ენა |
| პროგრამის განხორციელების ადგილი | ქ. ბაღდათი, შოთა რუსთაველის ქ. N112 |
| პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური) | მოდულური |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა | 30 |
| მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმის შემთხვევაში, რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები (პროგრამაზე მოთხოვნილი საერთო კვოტის ფარგლებში) | - |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 99 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | - |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

| | |
|---|---|
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 129 |

*X. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი*

| სტანდარტი/კომპონენტი | შეესაბამება | მეტწილად შეესაბამება | ნაწილობრივ შეესაბამება | არ შეესაბამება |
|---|---|---|---|---|
| **2) საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება | სრული 3 | სრული 3 | მეტწილი 2 | |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | სრული 3 | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | |
| 2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება | სრული 3 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |
| 2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება | მეტწილი 2 | მეტწილი 2 | ნაწილობრივი 1 | |

**XI. სტანდარტის შეფასება**

**2. საგანმანათლებლო პროგრამები**

**2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება**

**2.1.1** პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, კერძოდ:** სსიპ კოლეჯმა ,,იბერიამ“ წარმოადგინა ბუღალტრული აღრიცხვის პროგრამის

PDF Eraser Free

განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთება, სადაც ზოადად განხილულია პროგრამის აქტუალობა, დასაქმების შესაძლებლობა, მისი შესაბამისობა კოლეჯის მისიასთან და რესურსების არსებობა.

კოლეჯს ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელების და შეფასების მეთოდოლოგია" განსაზღვრული აქვს დირექტორის 2020 წლის 07 ივლისის N126 ბრძანებით. ამავე ბრძანებით ძალადაკარგულად არის გამოცხადებული 2020 წლის 09 ივნისის კოლეჯის დირექტორის N101 ბრანება ,,საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშვების მეთოდოლოგია". თუმცა არც ერთი წინარე დოკუმენტით არ რეგულირდებოდა წარმოდგენილი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისი მიზანშეწონილობა, ვინაიდან პროგრამა თავდაპირველად შემუშავებულია 2018 წელს. ზემოთ თქმულიდან გამომდინარე, კოლეჯის მიერ წარმოდგენილი პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთება ვერ იქნება განხილული შიდა რეგულიაციასთან მიმართებაში, თუმცა, ექსპერტთა მხრიდან აღნიშნულთან დაკავშირებით გაიცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ,*** *მიზანშეწონილია კოლეჯმა გაითვალისწინოს, თავად უზრუნველყოს ან გამოიყენოს არსებული შრომის ბაზრის კვლევა რეგიონალურ კონტექსტში, კონკრეტულად შეაფასოს შესაბამისი რაოდენობრივი ან/და თვისობრივი მაჩვენებლებით ადამიანური და მატერიალური რესურსი, ეკონომიკური მიზანშეწონილობა, ოპერაციული მიზანშეწონიოლობა, რომ პროგრამა მხარდაჭერილი იყოს შესაბამისი ადმინისტრაციული პერსონალით, მით უფრო, რომ კოლეჯი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს ბარდათის ფილიალში.*

ვიზიტის ფარგლებში კოლეჯის ბაღდათის ფილიალის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა შემუშავდა ცენტრალიზებულად, ქუთაისში და მასჩი ჩართული იყო როგორც კოლეჯის ადმინისტრაცია, ასევე დამსაქმებელი და განმახორციელებელი პერსონალი. პროგრამის ხელმძღვანელმა გასაუბრების დროს ვერ დაადასტურა პროგრამის შემუშავებაში ჩართულობა, თუმცა ის ამ პერიოდში დასაქმებული იყო კოლეჯში აღნიშული პროგრამის ფარგლებში როგორც პროფესიული მასწავლებელი და პროგრამის ხელმძღვანელი.მისიასთან მიმართებაში პროგრმა პასუხობს კოლეჯის მისიას. კოლეჯის მისიაა ,,ქართულ და საერთაშორისო შრომითი ბაზრებისთვის მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი, გაცნობიერებული და ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების უნარის მქონე სამუშაო ძალის მომზადება, მათი ინდივიდუალური, პიროვნული და პროფესიული განვითარების ხელშეწყობა".



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „ბუღალტრული აღრიცხვის“ დაშვების წინაპირობა განსაზღვრულია პროგრამით და ითვალისწინებს სრულ ზოგად განათლებას. აღნიშნული შესაბამისობაშია ბურალტრული აღრიცხვის ჩარჩო-დოკუმენტთან. შესაბამისად, უზრუნველყოფილია პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვება, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;

3. **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 28 იანვრის ბრძანება N19-ით დამტკიცებულია ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. რაც თავის მხრივ ითვალისწინებს პროგრამების სპეციფიკას, მატერიალური რესურსის რაოდენობას და მათი სასწავლო პროცესში გამოყენების ინტენსივობას, კერძოდ,

ა) მოდულის განხორციელებისათვის საჭირო სასწავლო (A, B და C) გარემო;

ბ) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;

გ) საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;

დ) მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.

კოლეჯმა თვითშეფასების ანგარიშის ფარგლებში წარმოადგინა მოდულური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,ბუღალტრული აღრიცხვა“ (მე-5დონე) პროფესიულ სტუდენტთა მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის დასაბუთება ბაღდათის ფილიალის ფარგლებში.

წარმოდგენილი დოკუმენტის ფარგლებში პროგრამაზე ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის განხილულია მხოლოდ სასწავლო გარემო, რომელიც ინტეგრირებულად ითვალისწინებს პრაქტიკის გავლას ადგილზე. პროგრამისტვის კოლეჯს ბაღდათში გამოყოფილი აქვს B/C (ინტეგრირებული) A (კაბინეტი N303; N204) გარემო - ფართი 32.45; 32.45 კვ.მ. რომელიც განთავსებულია კოლეჯის ბაღდათის ფილიალის პირველ და მეორე სართულზე პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა - 15; ორცვლიანი სწავლების შემთხვევაში

PDF Eraser Free

პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა არის 30 პროფესიული სტუდენტი. კოლეჯის მიერ შემუშავებული და დღეის მდგომარეობით მოქმედი რეგულაცია პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია შეესაბამება კანონმდებლობის მოთხოვნებს, ითვალისწინებს პროფესიული სწავლებისათვის საჭირო ყველა ასპექტს, თუმცა ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტი არ არის თანხვედრაში. აღნიშნული გარემოება ექსპერტების მხრიდან ვერ იქნება შეფასებული უარყოფითად, ვინაიდან პროგრამის განხორციელების უფლება კოლეჯმა მოიპოვა 2018 წელს, თუმცა ექსპერტთა მხრიდან გაიცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია, რომ,*** *მნიშვნელოვანია კოლეჯმა არსებულ რეგულაციასთან მიმართებაში შეაფასოს პროგრამისთვის რესურსი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობასთან მიმართებაში და დანართის სახით დაურთოს აღნიშნულ დოკუმენტს, რათა თვალსაჩინო იყოს დღეის მდგომარეობით პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის თავსებადობა კოლეჯის მიერ განსაზღვრულ მეთოდოლოგიასთან მიმართებაში.*

ვიზიტის ფარგლებში შესწავლილ კოლეჯის რესურსები პროგრამასთან მიმართებაში, ინტერვიუები განხორციელდა როგორც პროფესიულ სტუდენტებთან, ასევე პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, რომლებმაც ცალსახად დაადასტურეს რესურსებზე ხელმისაწვდომობა. პროგრამის ფარგლებში გაფორმებულია მემორანდუმი ორ დაწესებულებასთან სადაც იგეგმება გაცნობითი პრაქტიკის და პრაქტიკული პროექტის მოდულების გავლა. მემორანდუმის თანახმად გათვალისწინებულია სტუდენტების რაოდენობა 8 პროფესიული სტუდენტის ოდენობით თითოეულ პრაქტიკის ობიეტზე და მემორანდუმი 6 წლის ვადით არის გაფორმებული 2021 წელს.

4. **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, კერძოდ:** კოლეჯის მიერ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამას დანართის სახით აქვს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსის და სასწავლო რესურსის ჩამონათვალი. მოდულებით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რაც დგინდება ვიზუალური დათვალირებით და ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაციით. დაწესებულება ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული

PDF Eraser Free

რესურსების შესაბამისობის კვლევას. პროფესიული განათლების მასწავლებლები ჩართული არიან რესურსების შეფასებისა და საჭიროების განსაზღვრის პროცესში. სტუდენტები აღნიშნული რესურსების შესაბამისობას და ხელმისაწვდომობას აფასებენ დადებითად.

5. საგანმანათლებლო პროგრამის **არჩევითი მოდულები არ აქვს.**

**6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიის“ თანახმად, პროგრამას ამტკიცდებს დაწესებულების დირექტორი, შესაბამისად პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამა „ბუღალტრული აღრიცხვა“ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ.

7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი, კერძოდ:** „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შემუშავებულია ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს, პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს, ასახავს საქმიანობის სფეროს და არ არის შეცდომაში შემყვანი.

**8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა მომზადებულია კანონმდებლობით დამტკიცებული “ბუღალტრული აღრიცხვის” პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე, სადაც განსაზღვრულია: პროგრამის სახელწოდება, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამის მიზანი, პროგრამაზე დაშვების წინაპირობა, კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობები, სტრუქტურა და მოდულები, სწავლის შედეგები, სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება და კრედიტის მინიჭება, პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭება, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების (სსსმ) და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პროფესიული სტუდენტების სწავლება და პროგრამის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები. პროგრამას თან ერთვის ზოგადი და სავალდებულო მოდულები, ინფორმაცია პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური და მატერიალური რესურსის შესახებ, სასწავლო გეგმები ქართულენოვანი და არაქართულენოვანი პროფესიული სტუდენტებისთვის, რომელშიც ასახულია მოდულების შესწავლის

PDF Eraser Free

თანმიმდევრობა, მოდულების წინაპირობების, მოდულის საკონტაქტო დამოუკიდებელი საათების და სტუდენტთა კვირეული დატვირთვის გათვალისწინებით. სტუდენტის შესაძლო კვირეული დატვირთვა, დამოუკიდებელი საათების ჩათვლით, არ აღემატება 40 საათს. პროგრამას დანართის სახით ასევე ახლავს დისტანციური სწავლების დროს სარეკომენდაციო დოკუმენტი, სადაც განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკის გათვალისწნებით დისტანციური სწავლების მიზანშეწონილობა კონკრეტული მოდულების ფარგლებში, შედეგების დადასტურება, სწავლების მეთოდი დისტანციური მეთოდის გამოყენებით, საჭირო რესურსი და სხვ. მოდულებში აღნიშნულია შეფასების მიმართულებები, ინფორმაცია მოდულის განხორციელებასთან დაკავშირებით, საათების გადანაწილების სქემა, საჭირო ლიტერატურის ჩამონათვალი და ინფორმაცია სსსმ სტუდენტების სწავლებასთან დაკავშირებით.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სასწავლო პროცესის მარეულირებელი წესი;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ მისია;
- სსიპ - კოლეჯი „იბერიას“ სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა (მოდულები, სასწავლო გეგმა);
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების ბრძანებით
- სსიპ კოლეჯ „იბერიაში “პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიით“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით
- გასაუბრების შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი**

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, კერძოდ:** წარმოდგენილი მოდულური პროგრამის განსახორციელებლად დაწესებულებას გააჩნია შესაბამისი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული A და B/C გარემო შესაბამისი აღჭურვილობა 15 პროფესიულ სტუდენტზე, რომელიც განკუთვნილია, როგორც თეორიული და ჯგუფური მუშაობისათვის, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობებისათვის. კოლეჯი აღნიშნულ ფართზე ახორციელებს სწავლებას ორ ცვლაში, შესაბამისად აღნიშული ფართი უზრუნველყოფს 30 პროფესიული სტუდენტისთვის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევას, ორ ცვლაში სწავლებით, შესაბამისად თითო ჯგუფი კომპლექტდება 15 პროფესიული სტუდენტით.

ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული პროგრამისათვის გამოყოფილი აუდიტორიების დათვალიერება, აღმოჩნდა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისათვის „ბუღალტრული აღრიცხვა" დაწესებულებას გამოყოფილი აქვს სამი აუდიტორია, მათ შორის 2 აუდიტორია განკუთვნილია B გარემოსთვის, სადაც ამჟამად განთავსებულია 15 - 15 კომპიუტერი პროფესიული სტუდენტისთვის და ორივე აუდიტორიაში თითო კომპიუტერი მასწავლებლისთვის. აღნიშნული აუდიტორიიდან ერთი გამოიყენება ზოგადი მოდულებისთვის როგორც აღნიშნული პროგრამის სტუდენტებისთვის, ასევე სხვა პროფესიული პროგრამებისთვის. მეორე აუდიტორია (B გარემო) გამკუთვნილია მხოლოდ ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის სტუდენტებისთვის და გამოიყენება როგორც B, ასევე C გარემოსთვის პროგრამის ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით. არნიშნული აუდიტორია აღჭურვილია პროექტორით, დაფით, კომბაინით (პრინტერი/სკანერი/ქსეროქსი), მასწავლებლის სამუშაო მაგიდა და სკამით, კომპიუტერებში დაინსტალირებულია საბუღალტრო სასწავლო პროგრამა, რაც უზრუნველყფს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის სწავლებას. აღნიშნული პროგრამისათვის დაწესებულებას გამოყოფილი აქვს, ასევე კიდევ ერთი აუდიტორია, აღჭურვილი მერხებით, სკამებით, დაფით, აღნიშნული აუდიტორია განკუთვნილია პროგრამის ფარგლებში თეორიული კომპონენტის სწავლებისთვის. კოლეჯს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის პრაქტიკის ობიექტზე განხორციელების მიზნით გაფორმებული აქვს ორი მემორანდუმი, თუმცა ინტერვიუს დროს სტუდენტებმა გაცნობითი პრაქტიკის ფარგლებში აღნიშნულ ობიექტებზე ვიზიტი არ დაადასტურეს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**2.პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „ბუღალტრული აღრიცხვა“, განხორციელების მიზნით, კოლეჯს ქ. ზაღდათში განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი ასევე დარგობრივი მოდულის მასწავლებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. პროგრამას დანართის სახით ახლავს განმახორციელებელი პერსონალის სია, რომლის მიხედვით დგინდება, რომ დაწესებულებას რიგ მოდულებზე ჰყავს ორი განმახორციელებელი პერსონალი. ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაესაუბრნენ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელს ასევე განმახორციელებელ პირებს და შესაბამისად, დარგის ექსპერტის მხრიდან გაიცა ***განმავითარებელი რეკომენდაცია** პროგრამის მდგრადობის მიზნით სასურველია პროგრამას დაემატოს ერთი დარგის სპეციალისტი.* თუმცა არსებული რაოდენობა შესაბამისობაშია.

**3.პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია, კერძოდ:** ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის ,,ბუღალტრული აღრიცხვის“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა პროფესიული სტუდენტების გამოკითხვის შედეგები, რომლის მიხედითაც იცინი დადებითად აფასებენ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. პროფესიული სტუდენტების შეფასებით, პროფესიული განათლების მასწავლებლებს აქვთ შესაბამისი დარგობრივი კომპეტენცია და პროფესიულ სტუდენტთათვის სწავლის შედეგების გამომუშავების შესაბამისი კომპეტენცია. პროფესიულ მასწავლებელთა კომპეტენციის შეფასების თვალსაზრისით გამოკითხვის შედეგებით საყურადღებო საკითხი არ გამოკვეთილა, ისევე როგორც მათი რაოდენობისა თუ დატვირთვის კუთხით. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებტან გასაუბრების დროს მათ ცალსახად გამოხატეს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით

PDF Eraser Free

კმაყოფილება. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენცია.

**4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, კერძოდ:** დაწესებულების „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგიით", პროგრამის ხელმძღვანელი უნდა იყოს დარგის სპეციალისტი. განსაზღვრულია მისი ფუნქცია-მოვალეობები, რომელიც მოიცავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილეობას, პროფესიული სტუდენტებისათვის და პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის სწავლების სპეციფიკის გაცნობას, მოდულების განმახორციელებლების კონსულტირებას კალენდარული გეგმებისა და შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებაში, ლექციებზე დასწრებას, შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაცია-ვერიფიკაციაში მონაწილეობას, მართვის კოლეგიალურ ორგანოებში მუშაობას და სხვა. „ბუღალტრული აღრიცხვა" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამით და მტკიცდება ბრძანებით და განსაზღვრულია პროგრამის ავტორიზაციის ვადით. საგანმანათლებლო პროგრამას „ბუღალტრული აღრიცხვა" ჰყავს შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი. პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიუმ აჩვენა, რომ იგი იცნობს პროგრამის ხელმძღვანელის სამუშაო სპეციფიკას და გააჩნია შესაბამისი ცოდნა და უნარები აღნიშნული ფუნქციის შესასრულებლად, რასაც ასევე ადასტურებს ხელმძღვანელის პირადი საქმე-დიპლომით მინიჭებული კვალიფიკაცია და სამუშაო გამცდილების ამსახველი დოკუმენტაცია.

**5.საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში, კერძოდ:** დაწესებულების მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ბეჭდური და ელექტრონული სახით ბიბლიოთეკაში. ბიბლიოთეკაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. შერჩევითი პრინციპით შემოწმდა საგანმანათლებლო რესურსის ფლობა ბიბლიოთეკაში. ყველა რესურსი იყო დამუშვებული და ხელმისაწვდომი. კოლეჯის ბიბლიოთეკაში განთავსებულია ორი კომპიუტერი, მულტიფუნქციური ასლგადამღები, პრინტერი, სკანერით. კომპიუტერში ჩაწერილია პროგრამის ფარგლებში გამოყენებული სასწავლო რესურსის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

ელექტრონული ვერსია. პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს სასწავლო ლიტერატურის ხელმისაწვდომობა. არნიშნული დადებითად არის შეფასებული ასევე პროფესიულ სტუდენტთა გამოკითხვის კითხვარებში.

**6.სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულებას აქვს მზაობა უზრუნველყოს სსსმ პირებისათვის ინიდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული მომსახურება, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობა. კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების „მეთოდოლოგია“, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია ან/და აკომოდაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა იქმნება საჭიროების შემთხვევაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დაწყებიდან ერთი თვის განმავლობაში, პროფესიული განათლების მასწავლებლისა და ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის მიერ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად, დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის ლიფთით, პანდუსით, სველი წერტილებით და სხვა. აღსანიშნავია რომ დაწესებულებას ქ.ბაღდათის მისამართზე არსებულ სასწავლო კორპუსში სსსმ სტუდენტი არ ჰყავს.

**7.პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა, კერძოდ:** სსიპ კოლეჯ „იბერიას“ 2022 წელს სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული აქვს 850 000 ლარის ასიგნება. აღნიშნული ბიუჯეტი გათვლილია შემდეგი მიზნებისთვის: ა) საშტატო განრიგით გათვალისწინებული პერსონალისა და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების შრომის ანაზღაურებისთვის; ბ) ფუნქციონირებისათვის საჭირო აუცილებელი ხარჯებისთვის; გ) სხვა ხარჯების დასაფარად. პროგრამის განხორციელებისათვის ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება 30 პროფესიულ სრუდენტზე შეადგენს **93420** ლარს. სულ ხარჯი არის **68620** ლარი. კოლეჯს ასევე აქვს ეკონომიკური საქმიანობიდან შემოსავალი წელიწადში 60 000 ლარი.ბიუჯეტი საკმარისია პედაგოგების ხელფასისთვის, სასწავლო მასალებისთვის, ადმინისტრაციის და სწავლისათვის საჭირო სხვა აუცილებელი ხარჯებისთვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- „პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია“
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროფესიული პროგრამის ხელმძღვანელის და განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმე;
- მატერიალური რესუსის შესყიდვისა და მირება ჩაბარების დოკუმენტები;
- ბიბლიოთეკაში არსებული საგანმანათლებლო რესუსრი;
- პროგრამის ბიუჯეტით;
- ვიზუალური დათვალიერებით;
- გასაუბრებით.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება**

**2.3.1** პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

12. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;

PDF Eraser Free

13. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

**1.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ., კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია“ დირექტორის მიერ მიმდინარე წლის 18 თებრვალს N 34 ბრძანებით დამტკიცდა „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“. დოკუმენტის თანახმად მოქმედი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასებას კოორდინაციას უწევს კოლეჯის ხარისხის მარტვის მენეჯერი. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის (შემდგომში - „საგანმანათლებლო პროგრამა“) განხორციელების პროცესში არსებული ხარვეზების აღმოფხვრისა და სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით ხარისხის მართვის მენეჯერი ყოველწლიურად ახდენს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასებას „დაგეგმე- განახორციელე-შეამოწმე-განავითარე“ ციკლის შესაბამისად. აღნიშნული ციკლის თითოეული ეტაპი ითვალისწინებს:

- “დაგეგმე“ - წინა შეფასების შედეგების გათვალისწინებით საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების ინდიკატორებისა და კრიტერიუმების განსაზღვრას, განსახორციელებელ სამუშაოთა გრაფიკის შემუშავებასა და მათ გამოცხადებას (გაცნობას ყველა დაინტერესებული მხარისათვის);
- „განახორციელე“ - დაგეგმილი საქმიანობით განსაზღვრული მონაცემების შეგროვებას და დამუშავებას შემუშავებული და შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად;
- „შეამოწმე“ - საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების/მატერიალური რესურსის/პერსონალის პროფესიული განვითარების შეფასებას;

PDF Eraser Free

- „განავითარე“ - შეფასების შედეგების ანალიზით გამოვლენილი ნაკლოვანებების მიზეზების დადგენას, მათი აღმოფხვრის მიზნით სათანადო

რეკომენდაციების შემუშავებას (ან, ნაკლოვანებების არარსებობის შემთხვევაში, არსებული დამაკმაყოფილებელი ვითარების შენარჩუნების მექანიზმების შემუშავებას) და დაწესებულების სათანადო სტრუქტურული ერთეულებისათვის წარდგენას მათზე რეაგირების მიზნით; პროგრამების შეფასება ხორციელდება როგორც შეფასების ინსტრუმენტების, მტკიცებულებების, უწყისების შემოწმების, ასევე გამოკითხვების, ფოკუს ჯგუფებითა და ინტერვიურებით.შეფასების კრიტერიუმებს და კითხვარებს შეიმუშავებს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხარისხის სპეციალისტთან ერთად. კითხვარები ორიენტირებულია პროფესიულ სტუდენტთა, ადმინისტრაციული, დამხმარე, მოწვეული პერსონალის, პროფესიული განათლების მასწავლებლის, დამსაქმებლის, კურსდამთავრებულის კმაყოფილებისა და შრომის ბაზრის კვლევაზე. კვლევების ანალიზს ახორციელებს ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც პროგრამების განვითარება/გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს წინადადებებს და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შევსებულ ფორმასთან ერთად განსახილველად წარუდგენს დაწესებულების ხელმძღვანელს. პროცესი ციკლური ხასიათისაა. კვლევის შედეგების საფუძველზე გამოვლენილი ნაკლოვანებების შესახებ ანგარიში მიეწოდება შემდგომი რეაგირებისთვის. თვითშეფასების ფარგლებში კოლეჯმა წარმოადგინა დაწესებულების ადმინისტრაციული პერსონალის, პროგრამების განმახორციელებელი პერსონალის და პროფესიული სტუდენტის გამოკითხვარის კითხვარები შესაბამისი ანალიზითა და რეკომენდაციებით, თუმცა აღნიშნული გამოკითხვებით ვერ ვიმსჯელებთ, თუ რამდენად იყენებს დაწესებულება აღნიშულ მექანიზმს, ვინაიდან დოკუმენტი დამტკიცებულია 2020 წელს, 2022 წელს განხორციელდა შიდა დაინტერესებული პირების კმაყოფილების კვლევა. აღნიშნული ინტერვიუს დროს დაადასტურებს, როგორც პროფესიულმა სტუდენტებმა, ასვე პროგრამის განმახორციელებელმა პირებმა.

2. **პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად, კერძოდ:** დაწესებულების მიერ შემუშავებული დოკუმენტის „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“ თანახმად, დაწესებულება აანალიზებს პროგრამის



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების მიზნით შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში წესების შესაბამისად. პროგრამის შეფასება ხორციელდება მეცადინეობების და შეფასების პროცესის ანალიზით, პროფესიულ სტუდენტთა, პროფესიულ მასწავლებელთა, კურსდამთავრებულთა, დამსაქმებელთა გამოკითხვების საფუძველზე. პროფესიულ სტუდენტთა, მასწავლებელთა გამოკითხვას უზრუნველყოფს ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა გამოკითხვა ხორციელდება პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერის მიერ, ასევე კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკას აწარმოებს პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერი. ზემოთ მოყვანილი სამუშაო ჯგუფების მიერ შესრულებული სამუშაოების შედეგები გამოიყენება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების გასაუმჯობესებლად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამაში ცვლილების ინიცირება შეუძლია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელს. დაწესებულება აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად. ინტერვიუს ფარგლებში პროგრამის ხელმძღვანელმა და ჩართულმა პირებმა დაადასტურეს, რომ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ასევე მოდულების რიგითობის გადანაცვლება, რაც სწავლების დროს მათი დაკვირვებით და პროფესიულ სტუდენტა საჭიროებიდან გამოიკვეთა.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი“
- დაწესებულების მიერ შემუშავებული კითხვარები;
- საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

- გასაუბრება

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება**

**2.4.1** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**1.პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად, კერძოდ:** პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „ბუღალტრული აღრიცხვა“ შედგენილია სასწავლო გეგმა, მოდულებში განსაზღვრული საათების შესაბამისად. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის შესაბამისად. სასწავლო გეგმა იძლევა ცხად სურათს პროგრამის თანმიმდევრული განხორციელების შესახებ და დაცული არის მოდულებზე დაშვების წინაპირობები. პროფესიული განათლების მასწავლებლების მიერ მოდულის დაწყებამდე შემუშავებულია კალენდარულ გეგმები დაწესებულების დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „კალენდარული გეგმის“ ფორმის შესაბამისად. გეგმაში დაცულია მოდულის წინაპირობები და სტუდენტის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 40 საათს. აღნიშნული გადამოწმდა პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებითაც, თუ რომელ მოდულს გადიოდნენ ვიზიტის მიმდინარეობისას, რაც თანხვედრაში მოდიოდა სასწალო გეგმასთან.

**2.პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე, კერძოდ:** დაწესებულება ცდილობს მაქსიმალურად მხარდაჭერას სტუდენტებისათვის, როგორიცაა მაგალითად ინდივიდუალური სასწავლო გეგმის არსებობა, მეცადინეობა ან / და შესაბამისი კონსულტაციები, და სხვა. თუმცა, არსებული ხელშემწყობი ღონისძიებები პროგრამის ხანგრძლივობას არ უნდა აღემატებოდეს. კოლეჯი უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს მეცადინეობათა განხორციელების განრიგს. აღნიშნული დაადასტურეს პროფესიულმა სტუდენტებმა ინტერვიუს დროს.

**3.სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას, კერძოდ:** კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის მოდულები ითვალისწინებს ჩარჩო დოკუმენტით/მოდულებით განსაზღვრულ სწავლების თანამედროვე მეთოდებსა და დარგის შესაბამის ტექნოლოგიებს, რაც ვალიდურს ხდის სასწავლო პროცესს თანამედროვე მოთხოვნებთან. კოლეჯი ბუღალტრული აღრიცხვის პროფესიული პროგრამის შესწავლისთვის იყენებს სწავლის შედეგის მიღწევისთვის საჭირო ტექნოლოგიურ რესურს, კერძოდ, კომპიუტერულ ტექნიკას, ელექტრონულ საბუღალტრო პროგრამას, რომელიც ჩატვირთულია პრატიკული



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

მეცადინეობისთვის განკუთვნილ კომპიუტერებში. პროგრამის განხორციელების პროცესში კოლეჯის მიერ, ასევე, გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლება, სტაჟირება/ტრენინგები სწავლებაში დარგის უახლესი ტექნოლოგიებისა და თანამედროვე პედაგოგიური მიდგომების დანერგვის მიზნით. აღნიშნული დასტურდება როგორც წარმოდგენილი პირადი საქმეებით, ასევე დადასტურდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს.

**4.პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები, კერძოდ:** სსიპ კოლეჯს „იბერია" შემუშავებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს რეგულაცია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი და სასწავლო რესურსის ადაპტირების მეთოდოლოგია". პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელიც ეფუძნება შესაბამის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას და ამ პროგრამის სხვა ელემენტებთან ერთად აღწერს პროფესიული სტუდენტის მიერ მისაღწევ სწავლის შედეგებს და მათი მიღწევის ინდივიდუალურ გზებს. კოლეჯი ინდივიდუალურ სასწავლო გეგმებს შეიმუშავებს და ახორციელებს შესაბამის პროფესიულ სტუდენტთა ჩართულობითა და მათი ინტერესების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. ინდივიდუალურ საჭიროებად განიხილება ყველა შემთხვევა, როდესაც პროფესიული სტუდენტის ან პროფესიული სტუდენტთა ჯგუფის სწავლება ძირითადი სასწავლო გეგმით ვერ განხორციელდება, როგორიცაა:

- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიული სტუდენტი;
- სტატუს შეჩერებული პროფესიული სტუდენტის დაბრუნება სასწავლო პროცესში;
- მობილობით გადმოსული პროფესიული სტუდენტი;
- წინამსწრები ფორმალური ან არაფორმალური განათლების აღიარება;
- პროგრამაში ცვლილებების შეტანა და სხვა შემთხვევები.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

ინდივიდუალური სასწავლო გეგმა ეფუძნება პროფესიულ მოდულს/სასწავლო კურსს/საგანმანათლებლო პროგრამას და წარმოადგენს მის მოდიფიკაციას (მისაღწევი სწავლის შედეგების თვისობრივ ან რაოდენობრივ ცვლილებას) და/ან აკომოდაციას (სწავლებისა და შეფასების მიდგომებში ცვლილებას მისაღწევი სწავლის შედეგების ცვლილების გარეშე) და, შესაბამისად, აზუსტებს პროფესიული სტუდენტისთვის საჭირო დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას. შესაბამისად, დასაშვებია, მისთვის შედგეს (დაზუსტდეს) იმდენი ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რამდენ სასწავლო კომპონენტშიც გამოვლინდება სწავლასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გამოიყენება, როგორც სახელმძღვანელო პროფესიული სტუდენტის საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებისთვის. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის/სასწავლო კურსის მოთხოვნებთან მიმართებით. სწავლის დაწყებიდან მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი/პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აცნობოს პროფესიული განათლების ცენტრის ხელმძღვანელს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის სასწავლო საჭიროებ(ებ)ის შესახებ სასწავლო პროცესზე დაკვირვების შედეგად. პროფესიული სტუდენტის საჭიროების შესაბამისად, პროფესიული სტუდენტის ჩართულობით იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შესაბამისი მოდულის/სასწავლო კურსის განმახორციელებელი პროფესიული განათლების. დაწესებულებას, ქ.ბაღდათის მისამართზე, სსსმ სტუდენტი არ ყოლია, შესაბამისად ვიზიტის დროს მხოლოდ მექანიზმის შეფასება მოხდა.

**5.პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან / თანა-განმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება, კერძოდ** დაწესებულებას პროგრამის ფარგლებში ყავთ ორი პრაქტიკის ობიექტი, რომელთანაც თანაშრომლობს მემორანდუმის საფუძველზე. მემორანდუმი გაფორმებულია 2021 წელს 6 წლის ვადით. პროფესიული პროგრამის ორი მოდულის ფარგლებში: გაცნობითი პრაქტიკა და პრაქტიკული პროექტი.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**6.სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით, კერძოდ:** კოლეჯს სასწავლო პროცესის უსაფრთხო გარემოში განხორციელების მიზნით შემუშავებული აქვს „საგანგებო სიტუაციების მართვის მექანიზმი“ და „უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი“. კოლეჯი აღჭურვილია თანამედროვე ხარძარ-საწინააღმდეგო სისტემით, ვიდეო სათვალთვლო კამერებით და გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. „ბუღალტრული აღრიცხვა“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსაკუთრებულ უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოს არ ითხოვს.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- საგანამანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო და კალენდარული გეგმები;
- ვიზუალური დათვალიერება
- ინტერვიუს შედეგები

**შეფასება:**

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას**

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

**კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. **პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური, კერძოდ:** სსიპ კოლეჯის „იბერია“, დირექტორის მიერ N34 ბრძანებით, დამტკიცებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები“ რომლის დანართი 1-ის თანახმად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა ეფუძნება პროფესიული სტანდარტის მოთხოვნებს: ვალიდურობა, სანდოობა, გამჭირვალობა, სამართლიანობა, ობიექტურობა. ამ მიზნით ყოველწლიურად, წლის დასაწყისში დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით მტკიცდება ვერიფიკაციის გეგმა და ვერიფიკაციის ჯგუფი. ჯგუფს საერთო ხელმძღვანელობას უწევს ხარისხის მართვის მენეჯერი. მეთოდოლოგიის თანახმად, შეფასების პროცესის დაწყებამდე ორი კვირით ადრე წარადგენს შესაბამის ინსტრუმენტს შესათანხმებლად. მოდულზე სწავლის დაწყებისთანავე მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტებს აცნობს მოდულის სწავლის შედეგების შეფასების პირობებს. პროგრამის ფარგლებში ექპერტების მხრიდან მოხდა გაცნობა შეფასების ინსტრუმენტების, თუმცა გამომდინარე იქედან რომ ახალი პროგრამაა მოდულების უმრავლესობა მიმდინარე იყო და შეფასების არ იყო განხორციელბული, სრული შესწავლა ამ არ მომხდარა.
2. **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს, კერძოდ:** კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმით“ განსაზღვრულია ვერიფიკაციის მექანიზმი. კოლეჯი ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებებით: შეფასების გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; ვერიფიკაციაზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, ხოლო ვერიფიკაციის ჯგუფში შედიან ადმინისტრაციის წარმომადგენლები, დარგის მასწავლებლები და სპეციალისტები. ჯგუფის წევრები ვალდებული არიან ოთხ თვეში ერთხელ წარუდგინონ დასკვნა ვერიფიკაციის პროცესის ხელმძღვანელს მათ მიერ

PDF Eraser Free

განხორციელებული საქმიანობის შესახებ და საჭიროების შემთხვევაში ხდება გეგმაში ცვლილება. ***განმავითარებელი რეკომენდაცია:*** *ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ ყოველ ოთხ თვეში ერთხელ ვერიფიკაციის ჩატარება არარეალურია ვერიფიკაციის პროცესის შრომატევადობიდან გამომდინარე, რაც გასაუბრებისას ასევე დაადასტურა დაწესებულების ხარისხის მართვის მენეჯერმა და აღნიშნა, რომ თვითონაც ხვდებოდა, რომ ყოველ ოთხ თვეში ვერ განახორციელებდა ვერიფიკაციის პროცესს. შესაბამისად გაიცა რეკომენდაცია დაწესებულებამ განსაზღვროს ვერიფიკაციის რეალური პერიოდი, რათა არ მოუწიოს საკუთარი რეგულაციის დარღვევა.*

3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით, კერძოდ:** „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის" თანახმად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ცოდნისა და უნარ-ჩვევების შეფასებისას გამოყენებული დოკუმენტაცია / შეფასების ინსტრუმენტები, ინახება დაწესებულებაში ბიბლიოთეკარ-არქივარიუსის მიერ. პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებიდან არაუმეტს 10 (ათი) სამუშაო დღისა შეფასების ინსტუმენტები და უწყისები გადაეცემა არივს სასწავლო მენეჯერისა და საწარმოო მენეჯერის მიღება ჩაბარების აქტის საფუძველზე და ინახება გაფორმებიდან 3 წლის ვადით. აღნიშნული დოკუმენტი, შესაბამისი ვადის გასვლის შემდეგ ნადგურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო უწყისები სწავლის შედეგების მიღწევის შესახებ ინახება მუდმივად. ვიზიტის დროს პროგრამის ფარგლებში, მსგავის დოკუმენტების შემოწმება არ მოხერხდა, რადგა პროგრამა ეხლა მიმდინარეობს პირველად (2021 წლის საშემოდგომო მიღება).

4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის, კერძოდ: „სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის", თანახმად კოლეჯის პროფესიულ სტუდენტთა სწავლის შეფასების შედეგები გამოიყენება მათი და პროგრამების განვითარების მიზნით. პროფესიული მასწავლებელი შედეგის დადასტურებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შედეგებს აცნობს პროფესიულ სტუდენტებს და ხარსხის სამსახურს, მიღებული უკუკავშირის საფუძველზე ხარისხის სამსახური, სასწავლო პრაქტიკისა და სასწავლო პროცესის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული განათლების მასწავლებლებთან ერთად ახორციელებს სწავლის შედეგების შეფასების სისტემის ანალიზს, გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის მიზნით შეიმუშავებს

PDF Eraser Free

გაუმჯობესების გეგმას პროგრამის განვითარების, მოდულების რიგითობის შეცვლის, სასწავლო გეგმის კორექტირების, სწავლების მეთოდების, შეფასებისინსტრუმენტის, საგანმანათლებლო რესურსების ცვლილების შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგენს კოლეჯის დირექტორს. პროფესიულ სტუდენტებთან გასაუბრებით დასტურდება ინდივიდუალური უკუავშირის მიღება თუმცა გარკვეული ცვლილებები პროგრამის ფარგლებში ვიზიტის მიმდინარეობისას ჯერ არ იყო განხორციელებული, რადგან ამ ეტაპისათვის დარგობრივი მოდულების მიმდინარეობა იყო და არა დასრულებული პროცესი, მხოლოდ რამდენიმე ზოგადი მოდულების ფარგლებში ქონდათ შედეგები დადასტურებული, რაც ერთიან სურათს არ იძლეობა შესაფასებლად.

**დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):**

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი;
- კვალიფიკაციის მინიჭებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;
- ინტერვიუს შედეგები

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*

PDF Eraser Free

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:**

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

**XIII. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

22.07.2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

*თბილისი,2022*